

ვლადიმერ მახარაძე

შ რ თ მ ე ბ ი

ბიობიბლიოგრაფია

ბათუმი - 2020

კრებულში თავმოყრილია ავტორის ორმოცწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში შესრულებული შრომები. მასალები გადმოცემულია იმ სახით, როგორაც ისინი იბეჭდებოდა სხვადასხვა ოფიციალურ გამოცემებში. ზოგიერთი ნაშრომი პირველად ქვეყნდება.

შრომათა კრებული ხუთი ნაწილისაგან შედგება. შრომები დალაგებულია თემატურად, რაც აადვილებს საჭირო მასალის სწრაფად მოძიებასა და სხვა შრომათა კონტექსტში გააზრებას.

კრებულში წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდში შესრულებული გამოკვლევები ფარმაცევტული მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ფარმაკოეკონომიკის, ფარმაცევტული ქიმიისა და ფარმაცევტული ტექნოლოგიის სფეროებში. ცალკე ნაწილადაა წარმოდგენილი მეთოდოლოგიური შრომები.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I. სამეცნიერო-კვლევითი შრომები

თავი I

ფარმაცევტული მარკეტინგი და მენეჯმენტი

1. აჭარის რეგიონში წამლის მოხმარების მარკეტინგული გამოკვლევა -----7
2. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების სამკურნალო ესენციალური პრეპარატების ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევა აჭარის რეგიონში -----19
3. კარდიოლოგიაში გამოყენებული სამკურნალო საშუალებების აჭარის რეგიონალური ბაზრის მარკეტინგული ანალიზი -----29
4. წამალზე ფასწარმოქმნის მეთოდების მარკეტინგული ანალიზი. -----31
5. აჭარის ფარმაცევტული ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები -----39
6. ფუნქციების რეგლამენტაცია ფარმაციის მენეჯმენტის სისტემაში -----50
7. პროვიზორ-მენეჯერის კვალიფიკაცია და საატესტაციო კატეგორიების მინიჭების კრიტერიუმები. -----56
8. „ფარმაცევტული ზრუნვის“ საერთაშორისო გამოცდილების კონტენტ-ანალიზი და მისი განხორციელების სტრატეგიები თანამედროვე პირობებში. -----61

თავი II

ფარმაკოეკონომიკა

1. Фармакоэкономические аспекты лекарственных средств, применяемых при лечении ИБС в условиях стационара. -72

2. Сравнительный фармакоэкономический анализ антигипертензивных лекарственных препаратов. -----77
3. Фармакоэкономические аспекты мбулаторной фармакотерапии кардиологических больных. -----87
4. Фармакоэкономические аспекты стандартных схем лечения нестабильной стенокардии в условиях стационара. -----98

თავი III

ფარმაცევტული ქიმია

1. წამალთა გაუვარგისების მიზეზები და მათი სტაბილიზაციის საშუალებანი. -----107
2. Хроматографическое и спектрофотометрическое определение фенфтина -----128
3. Фармако-химическое изучение различных образцов грузинского прополиса-----137
4. Физико-химическое изучение грузинского прополиса-152

თავი IV

ფარმაცევტული ტექნოლოგია

1. Изыскание возможности уменьшения количества вспомогательных веществ в таблетках амидопирина -----156
2. პურის ახალი სახეობა გამამდიდრებელი საკვები ბოჭკოებით-----170
3. მანდარინის საკვები პრეპარატის მოქმედების სამედიცინო-ბიოლოგიური შეფასება-----177
4. მანდარინის საკვები ბოჭკოების პრეპარატის პროტექტორული მოქმედების შესწავლა სტრონციუმით ინტოქსიკაციისას-----187

ნანილი II
მეთოდოლოგიური შრომები

1. მეთოდური მითითებანი სამეურნეო ანგარიშზე მყოფ აფთიაქებში სრული ფარმაცევტული საქმიანობის შემოწმების ჩატარების შესახებ-----194
2. მეთოდური რეკომენდაციები რეგიონალური და შიდასაავადმყოფო ფორმულარული სიების შედგენის შესახებ კარდიოლოგიური პრეპარატების მაგალითზე -----212

ნანილი III
რეცენზია, გამომხმარება, ოპონირება

1. რეცენზია დოქტორანტ დალი ბერიძის მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე: „აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების ბიოეკოლოგიური და ფარმაკოგნოსტური კვლევა“-----258
2. გამომხმარება ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თეა ოშხერელის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატზე: „რუსტომექტინის ანტი დემოდეკოზური ეფექტურობა“-----257
3. ოფიციალური ოპონენტის დასკვნა ნათია კვიციანიძის სადისერტაციო ნაშრომზე; „სამკურნალ საშუალებების მიმოქცევის თავისებურებები საქართველოში“, რომელიც წარმოდგენილია ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობით სამალთა ტექნოლოგია და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია 15.00.01 -----269
4. ოფიციალური ოპონენტის დასკვნა ნესტან ნიკურაძის სადისერტაციო ნაშრომზე: „ფარმაცევტული ინფორმაცია და ფარმაცევტული ზრუნვის კონცეპტუალური საფუძვლები“, რომელიც წარმოდგენილია ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპე-

ცილობით წამალთა ტექნოლოგია და ფარმაცევტული
საქმის ორგანიზაცია 15.00.01. -----

ნაწილი IV
ბ ი ბ ბ ბ ლ ი ბ რ ა ფ ი ა

- თავი I. გამოქვეყნებული წიგნები
- თავი II - გამოუქვეყნებელი წიგნები
- თავი III - გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები
- თავი IV - გამოუქვეყნებელი სამეცნიერო შრომები
- თავი V-პუბლიცისტიკა (წერილები, სტატიები,ინტერვიუები)
- თავი VI- მნიშვნელოვანი ავტობიოგრაფიული თარიღები
- თავი VII - ვლადიმერ მახარაძის შესახებ

თავი I

აჭარის რეგიონში წამლის მოხმარების მარკეტინგული გამოკვლევა

წამლის მიმოქცევის სფეროში ყოველი სახელწიფოს პოლიტიკა მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ქვეყნის მოსახლეობა და ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნილება ხარისხიან, ეფექტურ და უსაფრთხო სამკურნალო საშუალებებზე. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა და მისი წარმატებით დასრულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის დონეზე და სამკურნალო და დიაგნოსტიკური საშუალებების რაციონალურ გამოყენებაზე.

მედიკამენტების მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება სამკურნალო საშუალებების რეალიზაციის მოცულობა, რაც ერთ სულ მოსახლეზე წამლის მოხმარების საშუალო მაჩვენებლის გაზრდაზე მიუთითებს. მსოფლიო მასშტაბით მკაფიოდ გამოიკვეთა წამლის მოხმარების გაზრდის ფენომენის კავშირი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონესთან მისი სოციალური სტრუქტურის მიუხედავად [6,7]. მთელს მსოფლიოში მოხმარებული წამლების 75% განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, დანარჩენი 25% კი- განვითარებად ქვეყნებზე, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 3/4 ცხოვრობს [6]. იმ ქვეყნებში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მაღალი შემოსავლება, სამკურნალო საშუალებების მოხმარებაც მაღალია, ე.ი. ფორმირდება ტენდენცია წამლის მოხმარების კორელაციისა ცხოვრების დონესთან.

განვითარებულ ქვეყნებში ჯანდაცვაზე იხარჯება ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის 6-8%. ჯანდაცვაზე დახარჯული თანხის 10-20% სამკურნალო საშუალებებზე მოდის [6]. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში გაიზარდა სამკურნალო პრეპარატების მოხმარება თანხობრივი გამოსახულებით. აშშ-

სა და იაპონიაში ყოველწლიურად ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მოიხმარება 111 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის წამლები, ჩინათსა და ინდოეთში ეს ციფრი შესაბამისად 4,4 და 2,3-ია, ბანგლადეშში კი - 1,25 [7].

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ბოლო წლებში საქართველოში წამლის მოხმარება გაიზარდა 1,8-ჯერ, აჭარის რეგიონში კი- 2-ჯერ, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე წამლის მოხმარების საშუალო წლიური მაჩვენებელი 8-10 აშშ დოლარის ეკვივალენტია.

მეცნიერები, ამუშავებენ რა ფარმაცევტული მარკეტინგის სტრატეგიას, მიიჩნევენ, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს სამკურნალო საშუალებების ბაზრის მართვაში ახალი ორიენტაციები, კერძოდ-გარემომცველ გარემოში ოპერატიული ორიენტაციის უნარი მოვლენების წინასწარგანჭვრეტა, მოქნილობა, ინფორმაციული და მეთოდური უზრუნველყოფა, ევოლუციური აზროვნება, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებების განსაზღვრა და სიმძიმის ცენტრის იქ გადატანა და ა.შ.

ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოგვეკვლია აჭარის რეგიონში წამლის მოხმარება, დაგვედგინა მისი ძირითადი ტენდენციები და მოგვეცა უახლესი პერიოდის პროგნოზი.

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ ფარმაცევტული ბაზრის სისტემური მარკეტინგული ანალიზი, რომელიც წამლის ბაზრის კომპლექსურ შესწავლასა და მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის რეგულირების მექანიზმების დადგენას გულისხმობს.

ფარმაცევტული მარკეტინგის სტრატეგიის შერჩევისა და კვლევისას ჩვენ ვეყრდნობოდით წამლის ბაზრის კანონზომიერებებს, მისი კონიუნქტურის სტატისტიკურ შეფასებებს, პროგნოზისა და მიწოდების თანაფარდობას.

სტატისტიკური და დინამიკური მონაცემების ბაზისად გამოვიყენეთ შპს „ჰეკატეფარმის“ ფარმაცევტული ბაზის მიმ-

დინარე და საარქივო მასალები (სხვა ბაზების ანალოგიურ მასალებზე კომერციული მიზეზების გამო ხელი არ მიგვიწვდება). მოპოვებული მასალების აჭარის რეგიონის მასშტაბით განზოგადების ცდომილება 5-7%-ია.

პრაქტიკულად, 2000 წლის დასაწყისისათვის აჭარაში ფუნქციონირებდა 155-მდე 1-ლი, მე-2 და მე-3 ჯგუფის ავთიაქები (ლიცენზირების მიუხედავად). მათ შორის: ქ. ბათუმში - 105-მდე ავთიაქი, ქ. ქობულეთში - 20-მდე, დანარჩენ რაიონებში კი 30-მდე (ზუსტი ციფრები არა გვაქვს იმის გამო, რომ ობიექტები სწრაფად იხსნება და უქმდება, ლიცენზიას ბევრი დროზე არ იღებს ან სულაც ულიცენზიოდ მუშაობს და ა.შ.). ერთ ავთიაქზე ქ. ბათუმში მოდის 1500-მდე მცხოვრები, ქ. ქობულეთში - 1200-მდე, ხოლო აჭარაში მასშტაბით ერთ ავთიაქზე 2500-მდე მცხოვრებია, რაც სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით ძალზე დაბალია. შედარებისთვის - ნორვეგიაში 1 ავთიაქზე 20 000 მცხოვრები, ხოლო დედაქალაქ ოსლოში კი - 10 000 მცხოვრები მოდის.

ავთიაქების სიმრავლე მათი მუშაობის მაღალ ხარისხზე სულაც არ მიუთითებს, პირიქით, თითოეულ მათგანს არარენტაბელურს ხდის და განვითარების საფუძველს აცლის. საავთიაქო დაწესებულებების დისლოკაციაც ასევე სტიქიურია.

წამლის მომზადების უფლება აქვთ მხოლოდ პირველი ჯგუფის ავთიაქებს, რომელთა რიცხვი აჭარაში 5-მდეა. სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სტრუქტურაში ფუნქციონირებს 4-მდე ავთიაქი. მე-2 ჯგუფის ავთიაქი 15-მდეა, დანარჩენები კი მე-3 ჯგუფისაა. მე-2 და მე-3 ჯგუფის ავთიაქები აწარმოებენ მზა წამლის ფორმების რეალიზაციას, ხოლო სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების რეალიზაციას მხოლოდ სპეციალური ნებართვის არსებობის შემთხვევაში. საავთიაქო ფილიალებ-

ში ნებადართულია მხოლოდ ურეცეპტოდ გასაცემი წამლების რეალიზაცია.

ჩატარებულმა მარკეტინგულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აჭარის რეგიონში სამკურნალო საშუალებების მაზრის ფორმირებას ახდენს შემდეგი ძირითადი ფარმაცოთერაპიული ჯგუფები: ანტიბიოტიკები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო საშუალებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალო საშუალებები, სასუნთქი გზების დაავადებათა სამკურნალო პრეპარატები, ანალგეტიკები, ჰიპოტენზიური საშუალებები, დერმატოლოგიური პრეპარატები და სხვ. ამ ჯგუფების ხვედრითი წილი საერთო მოხმარებაში ნაჩვენებია №1 ცხრილი.

ცხრილი №1

სამკურნალო საშუალებების მოხმარების სტრუქტურა ფარმაცოთერაპიული ჯგუფების მიხედვით

№	ფარმაცოთერაპიული ჯგუფი	ხვედრითი წილი საერთო მოხმარებაში
1	ანტიბიოტიკები	17,4%
2	გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალო საშუალებები	15,5%
3	ინფექციების საწინააღმდეგო საშუალებები	13,5%
4	შარდ-სასქესო სისტემის დაავადებათა სამკურნალო საშუალებები	11,9%
5	კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალო საშუალებები	9,4 %
6	ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები	7,6 %
7	სასუნთქი სისტემის დაავადებათა სამკურნალო საშუალებები	6,2 %
8	ანალგეტიკები	4,4 %
9	ანტირევმატიული საშუალებები	2,3 %
10	ვიტამინები	1,8 %
11	სხვა დანარჩენი ჯგუფები	10 %

ცხრილიდან ჩანს, რომ ათამდე ფარმაცოთერაპიულ ჯგუფზე მოდის წამლის საერთო მოხმარების 90%, ხოლო დანარჩენ ჯგუფებზე - 10 %. სხვა ფარმაცოთერაპიული ჯგუფებიდან თითოეულის ხვედრითი წილი 0,4%-დან 0,7%-მდე მერყეობს. დამახასიათებელია, რომ ყველა ჯგუფის პრეპარატების მოხმარების ყოველწლიური მატება ვარირებს 7-12%-ის ფარგლებში.

საინტერესოა წამლის მოხმარების მერყეობა სეზონთან დაკავშირებით. ამ მიზნით ზოგიერთი ფარმაცოთერაპიული ჯგუფის პრეპარატების მოხმარება დავაჯგუფეთ სეზონების მიხედვით და განვსაზღვრეთ თითოეული ჯგუფის სეზონური მოხმარების ხვედრითი წილი საერთო წლიურ ბრუნვაში. კვლევის შედეგები ნაჩვენებია №2 ცხრილში.

ცხრილი №2

**ზოგიერთი ფარმაცოთერაპიული ჯგუფის
სამკურნალო საშუალებების მოხმარება წლის
სეზონების მიხედვით**

№	ფარმაცოთერაპიული ჯგუფი	სეზონი				სულ %
		გაზაფ. %	ზაფხ. %	შემო. %	ზამ. %	
1	ანტიბიოტიკები	21.4	20.7	27.4	30.5	100
2	ანტირევმატიული საშუალებები	29.2	21.0	28.6	21.2	100
3	კუჭ-ნაწლავის დაავადებ. სამკურნალო საშუალებები	31.5	30.2	18.3	20.0	100
4	სასუნთქი გზების ანთებითი დაავად. სამკურ. საშუალებები	24.0	21.0	26.5	28.5	100
5	ინფექციების საწინააღმდეგო საშუალებები	24.2	26.0	22.3	27.5	100

შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რომელი ქვეყნებიდან შემოტანილი წამლები იყიდება მეტად აჭარის რეგიონში. ამ მიზ-

ნით გამოვიყენეთ 1999 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე განხორციელებული მედიკამენტების იმპორტის საინფორმაციო - ანალიტიკური მონაცემები წარმოშობის ქვეყნების მიხედვით და შპს „ჰეკატეფარმის“ ფარმაცევტული ბაზის ანალოგიური მონაცემები.

შედეგები მოყვანილია №3 ცხრილში. აჭარის რეგიონში, როგორც ცხრილიდან ჩანს, უპირატესი პოპულარობით სარგებლობს ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების ფარმაცევტული პროდუქცია და ძალიან ნაკლებად აზიისა და ამერიკის განვითარებადი ან საშუალო დონის ქვეყნების პრეპარატები.

ცხრილი №3

1999 წელს აჭარაში რეალიზებული მედიკამენტების ხვედრითი წილი საერთო ბრუნვაში წამლის მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით

№	წამლის მწარმოებელი ქვეყანა	წილი საერთო მოხმარებაში %	№	წამლის მწარმოებელი ქვეყანა	წილი საერთო მოხმარებაში %
1	გერმანია	13.5	11	უკრაინა	3.5
2	საფრანგეთი	11.7	12	ბრიტანეთი	3.2
3	რუსეთი	10.8	13	ბულგარეთი	2.8
4	პოლონეთი	8.8	14	ჩეხეთი	2.3
5	უნგრეთი	6.5	15	ბელგია	1.9
6	სლოვენია	5.4	16	ავსტრია	1.5
7	ინდოეთი	4.5	17	იტალია	1.5
8	შვეიცარია	4.4	18	ნიდერლანდები	1.4
9	დანია	4.4	19	ლიტვა	0.6
10	აშშ	3.6	20	იუგოსლავია	0.6

მსოფლიოში მოხმარებული წამლების 90%-ზე მეტი იწარმოება 7 ქვეყანაში: აშშ (30%), იაპონიაში (24%), გერ (13%), საფრანგეთი (9%), დიდი ბრიტანეთი (6,4%), იტალია (6%), შვეიცარია (4%).

სამკურნალო საშუალებებს აწარმოებს მსოფლიოს 10000-ზე მეტი ფარმაცევტული კომპანია, რომელთაგან 15 უმსხვილეს მრავალეროვნულ კორპორაციაზე მოდის მთელი ფარმაცევტული პროდუქციის 80%.

1999 წელს აჭარაში რეალიზებული მედიკამენტების ხვედრითი წილი მწარმოებელი ფარმაცევტული ფირმების მიხედვით ნაჩვენებია №4 ცხრილში, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ პირველ ადგილზეა გერმანული ფირმა „ხიოხსტ მარიონ რუსელი“, მე-2 ადგილზე - პოლონური ფირმა „პოლფა“, მე-2 ადგილზე კი - შვეიცარული ფირმა „ჰოფმან ლა როშე“.

ცხრილი №4

1999 წელს აჭარაში რეალიზებული მედიკამენტების ხვედრითი წილი საერთო ბრუნვაში მწარმოებელი ფარმაცევტული ფირმების მიხედვით

№	ფარმაცევტული ფირმის დასახელება	პროცენტული წილი საერთო მოხმარებაში	შენიშვნა
1	ხიოხსტ მარიონ რუსელი	7.1%	გერმანია
2	პოლფა	6.0%	პოლონეთი
3	ჰოლფმან ლა როშე	3.9%	შვეიცარია
4	გლაქსო ველქომი	2.9%	ინგლისი
5	ლეკი	2.8%	სლოვენია
6	რონ-პულენკ რორერი	2.7%	საფრანგეთი
7	გედეონ-რიხტერი	2.5%	უნგრეთი
8	ბერლინ-ხემი	2.4%	გერმანია
9	სანოფი	2.3%	სლოვენია
10	კრკა	2.2%	უნგრეთი
11	ეგისი	1.7%	საფრანგეთი
12	ტროია-ფარმი	1.5%	ბულგარეთი
13	გალენა	1.3%	ჩეხეთი
14	შერინგი	1.2%	ჩეხეთი
15	ლეჩივა	1.1%	გერმანია

აჭარის რეგიონში მოხმარებული წამლების ასორტიმენტული ანალიზით გაირკვა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე მიმოქცევაშია 1800-დან 2500-მდე დასახელების წამლის ფორმა. შედარებისათვის: ნორვეგიაში - 1800 დასახელებაა მიმოქცევაში, შვეიცარიაში - 3 000, ესპანეთში - 7 000, საფრანგეთში - 8 000, იტალიაში - 13 000, იაპონიაში - 16 000, გერ-ში - 26 000 და ა.შ. განვითარებულ ქვეყნებში მოხმარებული წამლის დასახელებათა დიდი რიცხვი აიხსნება საფირმო (სავაჭრო, სამარკო) სახელწოდებათა მრავალფეროვნებით, ანუ სინონიმიზითა და წამლის ფორმებისა და დოზების დიდი ნაირსახეობით.

ყოველწლიურად იცვლება სამკურნალო საშუალებების ნომენკლატურა ფარმაცევტულ ბაზარზე. მას ტოვებს მოძველებული, დაბალეფექტური და მოთხოვნის არმქონე პრეპარატები და მათ ადგილს იკავებს ეფექტური, ახალი, ხშირად უფრო ძვირი წამლები, რომლებიც შექმნილია ბიოტექნოლოგიის უახლესი მიღწევების საფუძველზე. ძვირი წამლების ხვედრითი წილის გაზრდა იწვევს ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული წამლების საშუალო ღირებულების გაზრდასაც.

აჭარის რეგიონის ფარმაცევტული ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევის შედეგებში გამოიკვეთა რამდენიმე საყურადღებო ტენდენცია, რომელთაგან ზოგიერთზე ქვემოთ შევჩერდებით.

სერიოზული ტენდენციაა წამლების ურეცეპტოდ დანიშვნა და მოხმარება. სპეცკონტროლს დაქვემდებარებული შხამიანი, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი სამკურნალო საშუალებების გარდა სხვა რეცეპტურული წამლების ასორტიმენტის 85-90% აფთიაქებში იყიდება ექიმის რეცეპტის გარეშე (ან ექიმი უნიშნავს, მაგრამ არ უწერს სარეცეპტურო ბლანკზე), ან მომხმარებელი თვითონ ინიშნავს. ბათუმის სხვადასხვა აფთიაქებში ურეცეპტოდ გაცემული წა-

მღების ხვედრითი წილი რეცეპტურული პრეპარატების საერთო მასაში ფარმაკოთერაპიული ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება: ანალგეტიკები 25-80%, ანთების საწინააღმდეგო საშუალებები 12-55%, ვიტამინები 6-50%, ხველების საწინააღმდეგო საშუალებები 8-18%, საფადართოები 15-74%, დერმატოლოგიური საშუალებები 7-48%, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები 15-30%, მატონიზირებული საშუალებები 26-32%, კუჭ-ნაწლავის 8-74%, სოკოვანი დაავადებების და სადეზინფექციო საშუალებები 11-33% და ა.შ.

წამლის ურეცეპტოდ მოხმარებას ხელს უწყობს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება იმოქმედონ მუდმივად, დროებით ან შემთხვევით. ეს ფაქტორებია: მზა წამლის ფორმების ხვედრითი წილის ზრდა, მოსახლეობის თანდათანობითი დაბერება, თანამედროვე ადამიანის ზოგადი და სამედიცინო კულტურის ამაღლება, რწმენა წამლის ყოვლისშემძლეობის შესახებ, შრომისა და ყოფაცხოვრების ახალი პირობები, ტექნიკური მიღწევები და ა.შ.

წამლის ურეცეპტოდ მოხმარების უარყოფითი მხარეებია: თვითმკურნალობა, მედიკამენტების უკონტროლო მოხმარება, წამლისმიერი დაავადებები და გართულებები.

წამლის მომხმარებელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია ხანდაზმული ასაკის ადამიანები (42-44%). წამლის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი ამ ჯგუფში დაახლოებით 2-2,7-ჯერ მაღალია, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობაში.

მნიშვნელოვანი წილი წამლის მომხმარებლებისა (25-26%) მოდის ბავშვებზე და ახალგაზრდობაზე.

გამოიკვეთა წამლის მომხმარებელთა შორის ქალების ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია და ის 62-66%-ს შეადგენს.

აჭარის რეგიონში სამკურნალო საშუალებების მოხმარების მარკეტინგული გამოკვლევის ზემოთმოყვანილი შედეგების

განზოგადებით შეიძლება გაკეთდეს წამლის მოხმარების პროგნოზი უახლესი 5-10 წლისათვის.

ფარმაცევტული ბაზარი გაიზრდება 15-20%-ით გულსისხლძარღვთა, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი და რევმატიზმის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებების ხარჯზე, ხოლო წამლის ბაზრის მთლიანი მოცულობა გაიზრდება დაახლოებით 2-ჯერ, საგრძნობლად გაიზრდება მოთხოვნილება ნეიროგენულ პეპტიდებზე. ვინაიდან არსებობს ვარაუდი, რომ ფსიქოტროპული საშუალებები აუცილებელი იქნება არა მარტო ავადმყოფებისათვის, არამედ ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც ძილის პროგრამირებისათვის, მეხსიერების გასაუმჯობესებლად და ა.შ.

მნიშვნელოვნად გაიზარდება ანალგეტიკებისა და ვიტამინების მოხმარება და შეიძლება მიაღწიოს ანტიბიოტიკებისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალო საშუალებების მოხმარების დონეს. გაიზარდა ჰორმონალური პრეპარატების ასორტიმენტი.

კიდევ უფრო გაიზარდა საექიმო შეცდომები, რასაც ხელს შეუწყობს ზერელე განათლების მქონე კომერციული კერძო ფასიანი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მომრავლება სამედიცინო და ფარმაცევტულ ქსელში. გამოიკვეთება წამლის დამნიშვნელი პირების მიერ ფარმაკოლოგიისა და თერაპიის თანამედროვე პრობლემების შეზღუდული ცოდნა. ყოველივე ეს კი დღის წესრიგში დააყენებს უწყვეტი სამედიცინო და ფარმაცევტული საფეხურებრივი განათლების შემოღებისა და დამკვიდრების აუცილებლობას.

V. MAKHARADZE

Marketing research of use of medicaments in Ajara

Here we have learned the general condition of pharmacological market in Ajara Use of the pharmacological and therapeutic groups of medicines has been researched and seasonal character of use of medicines from some of pharmacological and therapeutic groups has been established.

Specific gravity of some of higher developed countries and big transnational pharmaceutical corporations in whole volume of medicines sold at the territory of Ajara has been established.

It has been cleared that level of use of medicines without receipts has been much increased. This points at self – treatment causing medicinal diseases and other complications. The most numerous groups among users of medicines are elderly and old people (42-44%) and children of earlier age and youth (25-26%).

Also prognosis of developing of pharmaceutical market in Ajara for nearest 5-10 years has been composed.

ლიტერატურა

1. ვ. მახარაძე, ფარმაცოის მარკეტინგი. თბილისი, 1998.
2. Ф. Котлер, Основы маркетинга, М. Прогресс, 1992.
3. Ф. Котлер, Менеджмент и маркетинг Москва, 1999.
4. Д.В. Рейхарт, В.А. Сухина, Ю.В. Шиленко, Фарма–цвети-ческий Рынок, его особенности, проблемы и перспективы, 1995.
5. Р.Я. Скулкова, У.С. Зверева, И.А. Левицкая, А.Н. Уздеников, Оценка сложившегося механизма формирования цен на лекарствен-ные средства. Ж. "Фармация"- 1995. №4. – С. 11-14.
6. Ф.Е. Вартанян, С.В. Мкртчян, Состояние и проблемы лекарст-венного обеспечения за рубежом. Ж. "Фармация"-1992-№4. -С. 53-56.
7. Н.Б. Дремова, Исследование тенденций потребления лекарст-венных средств за рубежом. Ж. "Фармация"- 1992- №4. – С. 49-52.
8. Е.А. Тельнова, Р.С. Скулкова, Регулирование механизма фо-рмирования цен на лекарственные средства. Ж. "Фармация"- 1998- №2. – С. 13-15.
9. Э.А. Коржавых, Системы обеспечения лекарственными сре-дствами за рубежом. Ж. "Фармация"- 1998- №2. – С. 54-55.
10. Р.С. Скулкова, Е.А. Тельнова, Характеристика зарубежного опыта совершенствования системы, лекарственного обеспечения на-селения. Ж. "Фармация"- 1998- №6. – С. 36-40.

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, შრომები, ტ. III, 2001 წ, გვ.150-158.*

**გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების
სამკურნალო ესენციალური პრეპარატების ბაზრის
მარკეტინგული გამოკვლევა აჭარის რეგიონში**


საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე მკვეთრად იმატა გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებმა. სიკვდილიანობის რეგისტრირებულ ყველა შემთხვევათა შორის გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოდის 70%-მდე(1,6). განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფაზე დანახარჯები განუწყვეტლივ იზრდება, საქართველოში კი პირიქით - ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში შეზღუდულია მედიკამენტური მკურნალობისათვის საჭირო სახსრები. აქედან გამომდინარე, მარკეტინგული და ფარმაცოეკონომიკური კვლევების საფუძველზე გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ეკონომიკურად და კლინიკურად ეფექტური სამკურნალო საშუალებებისა და ფარმაცოთერაპიული სქემების გამოვლენა და შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა თანამედროვე მედიცინისა და ფარმაციისათვის. კარდიოლოგიური დაავადებები ითვლება ერთ-ერთ ყველაზე „დანახარჯიან“ ნოზოლოგიად(5), რაც უფრო აქტუალურს ხდის ფარმაცოეკონომიკურ კვლევებს ამ მიმართულებით.

საქართველოში ამ კუთხით ერთეული შრომებია (2,3), რაც უდაოდ არასაკმარისია და შემდგომი გაღრმავებული გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს კარდიოლოგიური ესენციალური სამკურნალო პრეპარატების ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევა და ამ სეგმენტის ფარმაცოეკონომიკური შეფასება.

ნახ. 1. აჭარის ფარმაცევტული ბაზრის ძირითადი სეგმენტები:

1. ანტიბიოტიკები (17,4%);
2. ინფექციების საწინააღმდეგო საშუალებები (17,5%);
3. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების სამკურნალო საშუალებები (15,5%);
4. შარდ-სასქესო სისტემის დაავადებების სამკურნალო საშუალებები (14,9%);
5. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალო საშუალებები (9,4%);
6. სხვა დანარჩენი ფარმაცოთერაპიული ჯგუფები.



კვლევისას გამოყენებულ იქნა ეკონომიკურ-სტატისტიკური, დროებითი მწკრივების ანალიზისა და გრაფიკული მეთოდები.

ვაწარმოეთ აჭარის რეგიონის ფარმაცევტული ბაზრის სეგმენტირება გამსხვილებული ფარმაცოთერაპიული ჯგუფების მიხედვით. გაირკვა, რომ ანტიბიოტიკებისა და ინფექციების საწინააღმდეგო საშუალებების შემდეგ ბაზრის ყველაზე დიდი სეგმენტი (15,5%) მოდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე (ნახ №1).

კარდიოლოგიური ესენციალური სამკურნალო პრეპარატების ბრუნვამ 1999 წელს შეადგინა 273,2 ათასი აშშ დოლარი საბითუმო ფასებში, ხოლო 2000 წელს 270,0 ათასი აშშ დოლარი, რაც მთლიანი ფარმაცევტული ბაზრის შესაბამისად 5,47% და 5,43%-ია (ცხრ.№1).

აჭარის რეგიონის ფარმაცევტული ბაზარი შეფასებელია 5 მლნ. აშშ დოლარად საბითუმო ფასებში და მოიცავს დაახლოებით 2500 დასახელების სამკურნალო საშუალებას. ყველა სახის კარდიოლოგიური პრეპარატის წლიური ბრუნვა შეადგენს 770-780 ათას აშშ დოლარს საბითუმო ფასებში. აქედან ესენციალური სამკურნალო საშუალებების ხვედრითმა წილმა 1999 წელს შეადგინა 35,25%, ხოლო 2000 წელს 35,12% (ცხრილი№2).

**კარდიოლოგიური ესენციალური სამკურნალო პრეპარატების
ბრუნვა აჭარის რეგიონში 1999-2000 წლებში
(აბსოლუტური და ხვედრითი მაჩვენებლები)**

ცხრილი №1

ფარმაკოლოგიური ჯგუფები	ბრუნვა აშშ დოლარში		ხვედრითი წილი მთლიან ფარმაცევტულ ბაზარზე, %-ში	
	1999 წ.	2000 წ.	1999წ.	2000წ.
ანტიანგინალური საშუალებები	32 085,0	43 150,0	0,64	0,86
ანტიარითმული საშუალებები	55 973,0	40 852,0	1,12	0,82
ანტიჰიპერტენზიული საშუალებები	67 769,0	66 687,0	1,36	1,33
საგულე გლიკოზიდები	7 834,0	6 735,0	0,16	0,13
სისხლმარღვოვანი შოკის დროს გამოსაყენებელი საშუალებები	3 712,0	4 234,0	0,07	0,08
ანტითრომბოზული საშუალებები	105 840,0	110 405,0	2,12	2,21
სულ	273 213,0	272 063,0	5,47	5,43


კარდიოლოგიური ესენციალური სამკურნალო პრეპარატების რეალიზაცია ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით 1999-2000 წლებში წარმოდგენილია №2 და №3 ნახაზზე.

როგორც №1 და №2 ცხრილებიდან ჩანს, ესენციალური სამკურნალო პრეპარატების ხვედრითი წილი ყველა სახის კარდიოლოგიური პრეპარატების საერთო ბრუნვაში შედარებით დაბალია და იგი შეადგენს 35%-ს. ეს აიხსნება ერთის მხრივ იმით, რომ ესენციალური სამკურნალო საშუალებების სია შეზღუდულია, სულ 16 დასახელებაა, რომლებიც სინონიმების, წამლის ფორმებისა და დოზების მრავალფეროვნების გათვალისწინებით 1999 წელს ბაზარზე წარმოდგენილი იყო 68 პოზიციად, ხოლო 2000 წელს - 94 პოზიციად.


ცხრილი №2

კარდიოლოგიური ესენციალური სამკურნალო პრეპარატების ხვედრითი წილი ყველა სახის კარდიოლოგიური პრეპარატების საერთო ბრუნვაში აჭარის რეგიონში 1999-2000 წლებში

ფარმაკოლოგიური ჯგუფი	ბრუნვა აშშ დოლარში, %-ში	
	1999	2000
ანტიანგინალური საშუალებები	4,14	5,57
ანტიარითმიული საშუალებები	7,22	5,27
ანტიჰიპერტენზიული საშუალებები	8,74	8,61
საგულე გლიკოზიდები	1,01	0,87
სისხლმარღვოვანი შოკის დროს გამოსაყენებელი საშუალებები	0,48	0,55
ანტითრომბოზული საშუალებები	13,66	14,25
სულ	35,25	35,12



ახ. №2 კარდიოლოგიური ესენციალური სამკურნალო პრეპარატების რეალიზაცია ფარმაცოლოგიური ჯგუფების მიხედვით აჭარის რეგიონში 1999 წელს (აშშ დოლარებში): 1-ანტიანგინალური საშუალებები; 2-ანტიარითმიული საშუალებები; 3-ანტიჰიპერტენზიული საშუალებები; 4-საგულე გლიკოზიდები; 5-სისხლძარღვოვანი შოკის დროს გამოსაყენებელი საშუალებები; 6-ანტირომბოზული საშუალებები.



ნახ. №3 კარდიოლოგიური ესენციალური სამკურნალო პრეპარატების რეალიზაცია ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით აჭარის რეგიონში 2000 წელს (აშშ დოლარში); 1-ანტიანგინალური საშუალებები; 2-ანტიარითმიული საშუალებები; 3-ანტიჰიპერტენზიული საშუალებები; 4-საგულე გლიკოზიდები; 5-სისხლძარღვოვანი შოკის დროს გამოსაყენებელი საშუალებები; 6-ანტიტრომბოზული საშუალებები.

მეორეს მხრივ, ექიმები ინტენსიურად არ იყენებენ ესენციალური პრეპარატების ასორტიმენტს. ასევე გარკვეულ როლს თამაშობს ბაზარზე პრეპარატების არარიტმული მიწოდება, დისტრიბუტორებთან, მწარმოებლებთან და მომხმარებლებთან ურთიერთკავშირები და სხვა ფაქტორები.

კარდიოლოგიური ესენციალური პრეპარატებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (13-14%) მოდის ანტიტრომბოზულ საშუალებებზე, თუმცა იგი სრულად არ ასახავს რეალობას. ანტიტრომბოზული ესენციალური სამკურნალო საშუალებების სიაში შედის სტრეპტოკინაზა და აცეტილსალიცილის მჟავა (ასპირინი). ეს უკანასკნელი იწარმოება საქართველოში და იმპორტირდება მრავალი ქვეყნიდან სხვადასხვა სახელებითა და დოზებით, ამასთანავე გამოიყენება არა მარტო კარდიოლოგიაში, მაგრამ მათი რაოდენობრივი გამოიჯვანა არ ხერხდება და ჩვენს შემთხვევაშიც ყველა სახის ასპირინი მოხდა ანტიტრომბოზული საშუალებების ჯგუფში.

ანტიჰიპერტენზიული და ანტიარითმიული საშუალებების შედარებით დიდი ხვედრითი წილი მიუთითებს ამ დაავადებათა გავრცელების მასშტაბებსა და ინტენსივობაზე.

ნახ. №2 და ნახ №3 ურთიერთშედარებიდან ჩანს, რომ 2000 წელს 1999 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იმატა ანტიანგინალური და ანტიტრომბოზული საშუალებების რეალიზაციამ, ხოლო ანტიარითმიული საშუალებების მოხმარებამ ასევე საგრძნობლად იკლო. რაც შეეხება ანტიჰიპერტენზიული საშუალებებსა და საგულე გლიკოზიდებს, მათი მოხმარება შემცირდა უმნიშვნელოდ.

დასკვნები

1. შესწავლილ იქნა კარდიოლოგიური ესენციალური სამკურნალო საშუალებების მარკეტინგული პარამეტრები ცალკეული ფარმაცოთერაპიული ჯგუფების მიხედვით და გამოვლინდა მათი კორელაცია დაავადებების ნოზოლოგიურ ჯგუფებთან კავშირში.

2. გულ-სისხძარღვთა სისტემის დაავადებების სამკურნალო საშუალებების საერთო ბრუნვაში ესენციალური პრეპარატების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად დაბალია (35%), რაც მიუთითებს ესენციალური ჩამონათვლის გაფართოების აუცილებლობაზე ადეკვატური ფარმაცოთერაპიული ეფექტის მქონე ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი პრეპარატების ხარჯზე.

3. კარდიოლოგიური ესენციალური პრეპარატების ფარმაბაზარი ყალიბდება ქაოსურად და არა განსაზღვრული სისტემით. ქვეყანაში იმპორტირებული ესენციალური პრეპარატების დიდი რიცხვი მოდის არა ორიგინალურ, არამედ შედარებით იაფ ჯენერიკებზე, რომელთა ნაწილი საქართველოში იწარმოება, თუმცა ნაკლებად გამოიყენება.

ლიტერატურა:

1. ჯანმრთელობის დაცვა. საქართველო, 1997. სტატისტიკური ცნობარი. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი. თბილისი, 1998.
2. მახარაძე ვ. ი. აჭარის რეგიონში წამლის მოხმარების მარკეტინგული გამოკვლევა. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2001, ტ. III, გვ. 150-158.
3. მახარაძე ვ. ი. აჭარის ფარმაცევტული ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში. ბათუმი-თბილისი, 2001, გვ. 247-255.
4. Овчаров В.К., Быстрова В.А., закономерности и тенденции смертности болезней системы кровообращения в странах мира – Сов. Здравоохран., 1982, №5, с. 33-39.
5. Кобзар Л.В., Алешенкова Е.Г., Современная концепция фармакоэкономических исследований. Фармация, 2000, № 5-6, стр. 10-12.
6. Арешидзе Т.Руруа Л., Нозологические структуры смертности от сердечно-сосудистых заболеваний и её тенденция в некоторых регионах Груз. ССР. Сборник трудов НИИ Кардиологий ГССР. 1988, с. 89-97.

**МАРКЕТИНГОВОЕ ИССЛЕДОВАНИЕ
СЕРДЕЧНО-СОСУДИСТЫХ
ЛЕЧЕБНЫХ ЭССЕНЦИАЛЬНЫХ ПРЕПАРАТОВ
В АДЖАРСКОМ РЕГИОНЕ**

Р Е З Ю М Е

Изучены маркетинговые параметры кардиологических эссенциальных лечебных средств по отдельным фармакотерапевтическим группам и установлена их корреляция с нозологическими группами болезней.

Удельная доля эссенциальных препаратов в общем обороте лечебных средств сердечно-сосудистой системы существенно низкая (35%), что указывает на необходимость расширения эссенциального списка за счет экономически более выгодных препаратов с адекватным фармакотерапевтическим эффектом.

Фармацевтический рынок кардиологических эссенциальных препаратов образуется не по определенной системе, а хаотично.

Большое число импортированных эссенциальных препаратов составляют не оригинальные, а сравнительно дешевые дженерики, часть которых производится в стране но, используются меньше.

INVESTIGATION OF CARDIO-VASCULAR ESSENTIAL PREPARATIONS IN ADJARA REGION.

S U M M A R Y

Marketing parameters of cardio-vascular essential preparations were studied and their correlation with nosological groups of diseases was established.

Part of essential preparations in a turnover of cardio-vascular medications is (35%), which indicates on necessity of widening of a list of essential preparations with adequate pharmacological effect.

The market of cardiological essential preparations is formed chaotically. A large number of imported essential preparations are not original instead they are relatively cheap generics, part of which are produced in Georgia, but they are less used.

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.
სამეცნიერო
შრომთა კრებული. ტომი XXXVII, თბილისი, 2001,
გვ.288-293.*

**კარდიოლოგიაში გამოყენებული სამკურნალო
საშუალებების აჭარის რეგიონალური ბაზრის
მარკეტინგული**

ა ნ ა ლ ი ზ ი

კვლევის მიზანს შეადგენდა კარდიოლოგიაში გამოყენებული სამკურნალო საშუალებების ბაზრის შეფასება.

გამოყენებული იქნა სეგმენტაციური ანალიზის, ეკონომიკურ-სტატისტიკური, სტრუქტურულ-ლოგიკური, გრაფიკული და ABC-ანალიზის მეთოდები. ანალიზი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: საქართველოს ბაზარზე რეგისტრირებული კარდიოლოგიური პრეპარატების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, განაწილების არხების შესწავლა, მიმოქცევაში მყოფი პრეპარატების ბაზრის თერაპიული სტრუქტურის ანალიზი ნატურალურ და ფულად გამოსახულებათა ჭრილში. სამკურნალო პრეპარატებზე დანახარჯების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი.

ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული იყო 34 ქვეყნის 396 დასახელების კარდიოლოგიური პრეპარატი (მათ შორის 27 ქართული წარმოების), მათგან აჭარის რეგიონში ბრუნვაში მოხვდა 310 დასახელება (ქართული-18).

აჭარის რეგიონში 2001 წელს რეალიზებულ იქნა 724 ათ. აშშ დოლარის ღირებულების (საბითუმო ფასებით) კარდიოლოგიური პრეპარატები, რაც საერთო ფარმაცევტული ბაზრის 15,5% შეადგენს.

კარდიოლოგიური სამკურნალო საშუალებების საერთო მოხმარებაში საქართველოში წარმოებული პრეპარატების ხვედრითი წილი ძალზე დაბალია და შეადგენს 2%. ასევე დაბალია ასორტიმენტის მდგრადობისა და გაჯერების კოეფიციენტების მაჩვენებლები.

პრეპარატები საბითუმო ღირებულებით 1-დან 4 აშშ დოლარამდე შეადგენს ბაზრის ყველაზე დიდ წილს-45,7%, 1 აშშ დოლარამდე-28,4%, 4-დან 10 აშშ დოლარამდე-17,1% და 10 აშშ დოლარზე ზევით 8,8%-ს.

საერთაშორისო არაპატენტირებული (გენერიული) სახელწოდებების ჭრილში ათი პრეპარატის ჯამურმა ბრუნვამ 2001 წელს შეადგინა 230 ათ. აშშ დოლარი (საბითუმო ფასებით), რაც კარდიოლოგიური პრეპარატების ბაზრის 31,7%-ია (მაგ. ენალაპრილის შემცველი პრეპარატების ბრუნვამ შეადგინა 4,4%, ნიფედიპინის-4,3%, კაკტოპრილის-4,1%, ნიმოდიპინის-3,9% და ა.შ.). აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს რაციონალური ფარმაცოთერაპიის ჩატარების მიზნით სამკურნალო პრეპარატების ფორმულარული სიების შედგენის აუცილებლობას და რეგიონალური ფორმულარული სისტემების არსებობას.

MAKHARADZE V.

MARKETING THE AJARIAN REGIONAL MARKET OF MEDIKAL PREPARATIONS APPLIED IN CARDIOLOGY

We have studied the marketing of cardiologikal preparations on the names of example of the Ajarian region. In 2001 these was US \$ 724 thousands (retail prices) 310 names preparations in calculation which makes 15.5% of \$ 230 thousand or 31.7%, which proves once more the of formulare records and the esistence of regional formulary system.

ფარმაცევტთა I საერთაშორისო კონგრესის თეზისები.
თბილისი, 28-30 ოქტომბერი, 2002, გვ. 52.

წამალზე ფასწარმოქმნის მეთოდების

მარკეტინგული

ანალიზი

სამკურნალო საშუალებების ფასწარმოქმნის რეგულირების, კომპენსაციების სისტემის და სხვა ეკონომიკურ-სამართლებრივი ღონისძიებების შემუშავება შეუძლებელია ფასწარმოქმნის მეთოდების მარკეტინგული ანალიზის გარეშე.

მედიკამენტებზე ფასების მკვეთრ ცვლილებებს იწვევს ჯერ კიდევ მოქმედი წამლის ველური ბაზარი, წამლის არალეგალური ე.წ. კონტრაბანდული შემოტანა, ფალსიფიცირებული და ვადაგასული წამლები და ა.შ. ასეთ შემთხვევაში წამალზე ფასწარმოქმნის რაიმე რეგულირებადი სისტემის შექმნაზე მსჯელობა საფუძველს მოკლებულია.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან მოჰყვა წამალზე ფასწარმოქმნის რეფორმა. წამლის ფასი გახდა მოქნილი, თავისუფალი და საკმაოდ ასახავს მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი მეწარმეობისა და ფასების თავისუფლად დაწესება პრინციპი ურყევად მოქმედებს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, სახელმწიფო გარკვეულ მარეგულირებელ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროზე, რაც კრიზისული ვითარების თავიდან აცილებისა და საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დაცვისკენა მიმართული.

ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფასების რეგულირება ხდება ძირითადად „სამკურნალო საშუალებებზე დანახარჯების კონტროლის საერთო მეთოდებით“ და „დანახარჯების შერჩევის მეთოდებით“.

მოთხოვნის, დანახარჯებისა და კონკურენტების საქონლის ფასის ცოდნის საფუძველზე შეირჩევა ფასწარმოქმნის

მეთოდი, რომლის საშუალებითაც განსაზღვრავენ საქონლის ფასს.

ფასწარმოქმნისა და ფასების სახელმწიფო რეგულაციის სისტემის წინაპირობაა ფასების მონიტორინგი. წამალზე ფასების რეგულირების სისტემის შემუშავებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ თუ ფასწარმოქმნის მრავალი მეთოდიდან რომელს ანიჭებენ უპირატესობას ქართველი ბიზნესმენები, როგორია საბითუმო და საცალო ფასწარმოქმნის მექანიზმები და ფასდარიცხვის დონე და ა.შ. ამ მიზნით კვლევის ობიექტად გამოვიყენეთ ფასწარმოქმნის ცნობილი მარკეტინგული მეთოდები: „დანახარჯები +დანამატი“, „ფასწარმოქმნა საქონლის აღქმული ღირებულების საფუძველზე“, „ფასწარმოქმნა მიმდინარე ფასების საფუძველზე“, „დალუქული კონვერტის მეთოდი ანუ ტენდერული ფასწარმოქმნა“, „ფასწარმოქმნა ინვესტირებული კაპიტალიდან მიზნობრივი მოგების მიღების საფუძველზე“.

ბოლო წლებში გაიზარდა სამკურნალო საშუალებების რეალიზაცია, რაც მედიკამენტების მოხმარების გაზრდითაა გამოწვეული. ეს კი თავის მხრივ გამოწვეულია სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური მიზეზებით.

1999 წელს საქართველოში განხორციელებულ მედიკამენტების იმპორტში ესენციალური წამლების ნუსხაში შემავალი მედიკამენტების ღირებულება ფარმაკოლოგიური ჯგუფის მიხედვით ასეთია:

1. სხვადასხვა ჯგუფის ანტიბაქტერიული საშუალებები - 3,47%.
2. ცეფალოსპორინები - 3,34%.
3. არაოპიოდური ანალგეზიური საშუალებები - 2,23%.
4. პენიცილინები - 1,08%.
5. პარენტერალური ხსნარები - 1,05%.
6. ვიტამინები და მინერალები - 0,7% და ა.შ.

ფასწარმოქმნის მეთოდების და დონის გასარკვევად ვაწარმოეთ ფასების მონიტორინგა ზემოთ ჩამოთვლილი ესენციალური წამლების ფგუფების მედიკამენტებზე ქ. ბათუმის სხვადასხვა აფთიაქში. აფთიაქები შევარჩიეთ ყველა კატეგორიის (I, II და III), რათა განსხვავება მათი სამუშაოს მოცულობისა და ფარმაცევტული საქმიანობის დონეს შორის ასახულიყო ფასებშიც. გამოკვლევათა შედეგები მოყვანილია №1 ცხრილში.

ცხრილში აღნიშნული საბითუმო ფასები აღებულია შპს „ჰეკატეფარმის“ ფარმაცევტული ბაზის პრაისიდან, თუმცა იგი არ განსხვავდება საქართველოს წამყვანი ფარმაცევტული ბაზების ფასებისაგან.

აფთიაქები, რომლებმაც მასალები მოგვაწოდეს და ხელი შეგვიწყვეს ფასების მონიტორინგში, აღნიშნულია პირობითად ლათინური ასოებით (მაგ. „აფთიაქი A“, „აფთიაქი B“ და ა.შ.) და ფრჩხილებში მითითებულია მათი კატეგორია. იმის გამო, რომ ფასწარმოქმნის მეთოდები და დონე კონკურენტებისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო, აფთიაქების ხელმძღვანელებმა გვთხოვეს დაგვეცა კონფიდენციალობა, რასაც დასახული მიზნის შესრულებაში ხელი არ შეუშლია.

ცხრილიდან ჩანს, რომ გასაყიდ ფასში დანამატის პროცენტი სხვადასხვა აფთიაქში სხვადასხვაა, მაგრამ საშუალო დონე 20%-ს არ აღემატება (შედარებისათვის აშშ-ში სამკურნალო საშუალებებზე ფასის დანამატის პროცენტი შეადგენს 28-33%-ს, თურქეთში 30% და ა.შ.). იგი მერყეობს 5-20%-ის ფარგლებში და დიფერენცირებულია საწყისი ფასის დონისგან დამოკიდებლობით (რაც უფრო ძვირია წამალი, მით უფრო დაბალია ფასნამატის პროცენტი).

წამლის დასახელება მწარმ.	მწარ. ქვეყანა	ქვეყ. საბით. ლარში	საცალო ფასი				
			ლარში				
ანტიბაქტერიული საშუალებები			A. (I)	B. (III)	C. (II)	D. (II)	E. (III)
			1. აბაქტალი 400 მგ № 20 ტ	სლოვ.	8,12	8,93	8,81
2. ბაქტრიმი 480მგ № 20 ტ.	იუგ.	4,40	4,84	4,80	5,06	5,06	4,62
3. ბეტადინი 20 მგ მალა.	უნგრ.	4,34	4,77	4,71	4,99	5,00	4,56
4. კლიონი 250 მგ № 20 ტ.	უნგრ.	1,92	2,30	2,10	2,21	2,30	2,11
5. ციპროინოლი 250 მგ № 10	სლოვ.	4,70	5,17	-	5,41	5,42	4,93
6. ტრიბოპოლი 0,25 № 20	პოლ.	1,90	2,18	2,10	2,19	2,28	2,09
ცეფალოსპორინები							
1. ცეფაზოლინი 0,5 საინ.	ავსტრ.	2,62	3,01	-	3,02	-	2,75
2. " - - - - " 1.0 საინ.	რუს.	2,40	2,76	-	-	2,88	-
3. ცეფაღესინ 025N ^o 10კავ	ბელ.	1,58	1,90	2,20	1,95	1,89	1,74
4. " - - - " 125 მგ 60 მგ სუსპ	ბულგ.	3,62	3,98	3,80	3,95	4,16	3,80
5. ცეფამეზინი 1,0	სლოვ.	5,20	5,72	-	-	5,80	5,46
ანალგეტიკები (არაოპიდური)							
1. ანალგინი 0,5 № 10	ბულგ.	0,26	0,34	0,20	0,30	0,31	0,29
2. " - - - - " 0,5 № 10	საქ.	0,15	0,20	0,20	0,17	0,18	0,17
3. პანადოლი ტ. № 10	ინდ.	0,81	1,01	0,93	0,93	0,97	0,89
4. კოლდრექსი ტ. № 12	ინგლ.	4,59	5,05	-	5,05	5,27	4,82
5. ზარალგინი ტ. № 10	ინდ.	0,39	0,50	0,60	0,49	0,47	0,43
6. " - - - - " 5 მგ № 5 აძვ.	იუგ.	3,51	3,86	3,86	3,93	4,04	3,69
პენიცილინები							
1. პენიცილინი ნატ. 1.0	რუს.	0,17	0,21	0,20	0,20	0,21	0,19
2. ამპიცილინი 0,5 საინ.	რუს.	0,29	0,38	0,34	0,33	0,35	0,32
3. " - - - - " 0,25 № 10 ტ.	საქ.	0,56	0,70	-	0,64	0,67	0,62
4. ოქსაცილინი 0,5 საინ.	რუს.	0,22	0,29	0,26	0,25	0,26	0,24
5. ამპიოქსი 0,25 № 20 კავ.	საქ.	2,40	2,76	2,65	2,76	2,88	2,64
6. ამოქსაცილინი 500 მგ №10 კავ	გერმ.	1,56	1,87	1,80	1,79	1,87	1,72

ფასდარიცხვის საერთოდ დაბალი დონე საქართველოში განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, უნდა აიხსნას მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარიტა და ბაზრის ფორმირების ეტაპზე მძაფრი საფასო კონკურენციით, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფასის ადაპტირებას.

აფთიაქები ბაზებისაგან იღებენ ფასდათმობებს, რომლის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობის შესყიდვებს აკეთებს აფთიაქი, როგორია ღირებულების ანაზღაურების ფორმა (ნაღდი თუ საკონსიგნაციო) და მიმწოდებლის მარკეტინგული სტრატეგიები.

ბაზებისაგან მიღებული მაღალი ფასდათმობა აფთიაქს საშუალებებს აძლევს საბითუმო ფასზე ზევით კონკურენტებთან შედარებით ნაკლები ფასნამატი დაარიცხოს ისე, რომ არ შეამციროს რენტაბელობა. ასეთი აფთიაქები მიკრორეგიონების ლიდერებად იკვეთებიან და სხვები უკვე იძულებულნი არიან მიბაძონ მათ ფასებს ისე, რომ ნაკლები ყურადღება მიაქციონ საკუთარ დანახარჯებს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ აფთიაქის საერთო დანახარჯების დაყვანა წამლის ერთეულ შეფუთვამდე შეუძლებელია, ხოლო საბითუმო ფასებზე საერთო დანახარჯების პროცენტული დარიცხვა ქმნის ჯამურ თვითღირებულებას, საიდანაც ცალკეული წამლის ფასის რეგულირება შეუძლებელია.

აღნიშნული ტენდენციები უპირატესობას ანიჭებს მიმდინარე ფასების საფუძველზე ფასწარმოქმნის მეთოდს, რადგანაც ასეთ დროს ფირმის ხელმძღვანელობა უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს საკუთარ დანახარჯებსა და მოთხოვნას და ძირითადად ეყრდნობა კონკურენტების საქონლის ფასს (ნაკლები, მეტი ან იგივე ფასი).

საქართველოს სხვადასხვა ფარმაცევტული ბაზების საბითუმო ფასების შედარებითი ანალიზით გაირკვა, რომ ისინი ძირითადად მიჰყვებიან დარგის ლიდერის საფასო პოლიტიკას. ასეთ ლიდერად საქართველოში აღიარებულია შპს „ავერ-

სი”. საშუალო და მცირე ზომის, ასევე რეგიონული ფარმაცევტული ბაზების საბაზრო ფასად, ანუ ორიენტირად იღებენ „ავერსის” ფასებს და შესაძლებლობის ფარგლებში ზოგიერთ პოზიციებს უმნიშვნელოდ აიაფებენ მყიდველების მიზიდვის მიზნით.

კვლევის შედეგები:

ფარმაცევტული ბაზრის მაღალი ჰეტეროგენულობის გამო საცალო აფთიაქების მიერ ნაკლებად გამოიყენება ფასწარმოქმნის ისეთი მეთოდი, როგორცაა ”საშუალო დანახარჯები + დანამატი”.

აფთიაქების უმრავლესობის მიერ გამოიყენება მიმდინარე ფასების საფუძველზე ფასწარმოქმნის მეთოდი, რომლის გამო ისინი კონკურენტის ფასებს უფრო ეყრდნობიან, ვიდრე საკუთარ დანახარჯებსა და მოთხოვნას.

ფარმაცევტულ ბაზებში ძალზე პოპულარულია „ფასწარმოქმნა მიმდინარე ფასების საფუძველზე”. საბითუმო ფასების რეგულირებას ფაქტობრივად ახდენს დარგის ლიდერი - შპს „ავერსი”. საშუალო და მცირე ზომის ფარმბაზები ფასებში მიჰყვებიან ლიდერის სტრატეგიას თავიანთი დანახარჯებისა და მოთხოვნის მიუხედავად.

РЕЗЮМЕ

Маркетинговый анализ методов ценообразования На лекарственные средства

С целью проведения маркетингового анализа методов ценообразования на медикаменты было проведено мониторинг розничных цен на базе нескольких аптек г. Батуми. Аптеки представляют собой частную собственность и принадлежат разным категориям (I, II и III).

В результате исследований было выявлено, что аптеки придерживаются устанавливать цены на медикаменты в зависимости от действий конкурентов. При этом, меньше уделяют показателям собственных издержек и спроса. Некоторые аптеки устанавливают цены несколько меньше, чем лидеры, но разница в ценах остаётся стабильное.

Использование метода «ценообразования на основе текущих цен преобладает, чем метод, средние расходы + надбавка».

Методом сравнительной оценки оптовых цен ряда фармацевтических фирм Грузии на медикаменты, было выявлено, что в фармацевтической отрасли Грузии, в сфере оптовой торговли имеется лидер - ооо «Аверси». Установлено, что большинство оптовых фармацевтических компаний в своей ценовой политике придерживаются стратегиям лидера. Небольшие или региональные оптовые базы изменяют цены вслед за лидером вне зависимости от колебаний спроса на медикаменты или собственных издержек.

ლიტერატურა

1. მ. გიორგობიანი, თ. შუბითიძე - „წამალზე ფასების რეგულირების სისტემის შემუშავება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით“. თბილისი, ჟ. „ფარმაცია“. 1997, №1 გვ. 9-12.
2. სამკურნალო საშუალებათა ფასების რეგულირების სისტემებისა და სააფთიაქო საქმის ორგანიზების სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები ევროპაში. თბილისი, ჟ. „ფარმაცია“. 1997, №2 გვ. 12-17.
3. Ф. Котлер и др. „Основы маркетинга“ Пер. с англ – 2-е европ. Изд. М. Издательский дом „Вильямс“, 1998.

4. Г. Ассэль - Маркетинг: принципы и стратегия, М: ИН-ФРА-М. 1999.
5. Т. Амблер - Практический маркетинг. Издательство „Питер” 1999.
6. П.Н. Шуляк – Ценообразование, М: Издателский Дом „Дашков и К” 2000.

*ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი.
სამეცნიერო სესია (მიმდევნილი ინსტიტუტის 10 წლისთავისადმი)
21 ივნისი 2001 წ. შრომები. ტ. III, ბათუმი, 2001, გვ. 61-65.*

აჭარის ფარმაცევტული ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

წამლის მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ქვეყნის მოსახლეობისა და ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნილება ხარისხიან, ეფექტურ და უსაფრთხო სამკურნალო საშუალებებზე. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა და მისი წარმატებით დასრულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის დონეზე და სამკურნალო და დიაგნოსტიკური საშუალებების რაციონალურ გამოყენებაზე.

თანამედროვე მსოფლიოში, უპირველესად ცივილიზებულ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ მძლავრი ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული პოტენციალი, განვითარებული პოლიტიკური სისტემა, ადამიანთა ჯანმრთელობა უმაღლესი სოციალური ფასეულობაა, უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მონაპოვარია.

მედიკამენტებით დახმარება მოწოდებულია უზრუნველყოს უმნიშვნელოვანესი სოციალური პრიორიტეტის, მოქალაქეთა ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაუმჯობესობა-რეალიზაცია, მათთვის მაღალკვალიფიციური სამკურნალო, სამედიცინო-სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური მომსახურების აღმოჩენა. ამასთანავე, მოსახლეობის წამლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ფარმაცევტული პროფესიის წარმომადგენლებსაც. მათი სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემა ხასგასმულ იქნა ფარმაცევტთა მსოფლიო კონგრესზე, რომელიც გაიმართა ლისაბონში 1994 წელს და რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს 100 ქვეყნის წარმომადგენლები. კონგრესზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანთა ცხოვრების დონისა და მათი კეთილდღეობის, წამ-

ლით დახმარების ხარისხისა და ეთიკურ-ფარმაცევტული სტანდარტების სრულყოფის დონისაგან დამოკიდებულების საკითხებს.

ცნობილია, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა უპირატესად გულისხმობს მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას. ეს ნიშნავს მართვის სისტემის ძირფესვიან ცვლილებას, როგორც მთლიანად ფარმაცევტული დარგის, ასევე მისი ცალკეული რგოლებისა და დაწესებულებების, მათი მუშაობისა და ფინანსირების დაგეგმვის პროცესების რადიკალურ რეფორმირებას. მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით უნდა მოხდეს სამკურნალო საშუალებების წარმოების, იმპორტისა და განაწილების პროცესების ინტენსიფიცირება, უნდა ამაღლდეს მომზადებული ფარმპრეპარატების ხარისხი და ეფექტურობა, სრულყოფილ იქნეს ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზებულ-სტრუქტურული ფორმები.

მედიკამენტების მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება სამკურნალო საშუალებების რეალიზაციის მოცულობა, რაც ერთ სულ მოსახლეზე წამლის მოხმარების საშუალო მაჩვენებლის გაზრდაზე მიუთითებს. მსოფლიო მასშტაბით მკაფიოდ გამოიკვეთა წამლის მოხმარების გაზრდის ფენომენის კავშირი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონესთან მისი სოციალური სტრუქტურის მიუხედავად. მთელს მსოფლიოში მოხმარებული წამლების 75% განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, დანარჩენი 25% კი- განვითარებად ქვეყნებზე, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 3/4 ცხოვრობს. იმ ქვეყნებში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მაღალი შემოსავლებია, სამკურნალო საშუალებების მოხმარებაც მაღალია, ე.ი. ფორმირდება ტენდენცია წამლის მოხმარების კორელაციისა ცხოვრების დონესთან.

განვითარებულ ქვეყნებში ჯანდაცვაზე იხარჯება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 6-8%. ჯანდაცვაზე დახარჯუ-

ლი თანხის 10-20% სამკურნალო საშუალებებზე მოდის. პრაქტიკულად ყველა ქვეყნებში გაიზარდა სამკურნალო პრეპარატების მოხმარება თანხობრივი გამოსახულებით. აშშ-სა და იაპონიაში ყოველწლიურად ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მოიხმარება 111 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის წამლები, ჩინეთსა და ინდოეთში ეს ციფრი შესაბამისად 4,4 და 2,3-ია, ბანგლადეშში კი-1,25.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ბოლო წლებში საქართველოში წამლის მოხმარება გაიზარდა 1,8-ჯერ, აჭარის რეგიონში კი 2-ჯერ, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე წამლის მოხმარების საშუალო წლიური მაჩვენებელი 8-10 აშშ დოლარია.

ფარმაცევტული ბაზრის მდგომარეობის დახასიათება კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს მყიდველებს, მიმწოდებლებს, პრეპარატების ასორტიმენტს და მათი მოცულობის მოთხოვნას და მიწოდებას.

აჭარის რეგიონის მყიდველობითი პოტენციური სამკურნალო საშუალებებზე განპირობებულია მოსახლეობის რიცხვით, რაც 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (შეფასებით) 409 ათასს შეადგენს, რომელთა შორის 21,1% შრომისუნარიანი ასაკზე უფროსია, 19,7% 10 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდებია. მოქალაქეთა 41,5% ცხოვრობს ქალაქში, სადაც დაავადებათა ალბათობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე სოფლად.

2001 წლის 1 აგვისტოსათვის აჭარის ფარმაცევტულ ბაზარზე მოქმედებდა 105 ლიცენზირებული აფთიაქი და აფთიაქის ფილიალი და 5 ლიცენზირებული ფარმაცევტული ბაზა. ჩვენი და სხვა ექსპერტების შეფასებით ამ დროისათვის მოქმედებდა 30-ზე მეტი ულიცენზიო აფთიაქი, როგორც ქ. ბათუმში, ასევე ქ. ქობულეთში (იშვიათად რეგიონებში და სოფლად). ერთ ლიცენზირებულ აფთიაქზე საშუალოდ ქ. ბათუმში მოდის 1700 მცხოვრები (ულიცენზიო აფთიაქების გა-

თვალისწინებით, უფრო ნაკლები-1500), ქ. ქობულეთში 1 აფთიაქზე 1200-მდე მცხოვრები მოდის, აჭარის მასშტაბით კი 2500, რაც სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით ძალზე დაბალია. შედარებისათვის ნორვეგიაში 1 აფთიაქზე 20 000 მცხოვრები, ხოლო მის დედაქალაქ ოსლოში კი-10 000 მცხოვრები მოდის.

ზემოხსენებული 105 ლიცენზირებული აფთიაქიდან წამლის მომზადების უფლებითაა 5 აფთიაქი (1-ლი ჯგ-ის). სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულების სტრუქტურაში ფუნქციონირებს 5 აფთიაქი. მე-2 ჯგუფისაა 15-მდე აფთიაქი, მე-3 ჯგუფისაა-67 აფთიაქი, ხოლო 13 აფთიაქის ფილიალია. მე-2 და მე-3 ჯგუფის აფთიაქები აწარმოებენ მზა წამლის ფორმების რეალიზაციას, ხოლო სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ 1 და 2 ჯგუფის აფთიაქებს.

ფარმაცევტული ბაზარი ფორმირდება როგორც შემოტანილი, ასევე სამამულო მრეწველობის მიერ გამომუშავებული ფარმაკოპარატების ხარჯზე.

აჭარის რეგიონის ფარმაცევტული ბაზრის მარკეტინგული ანალიზით გაირკვა, რომ აჭარის რეგიონში სამკურნალო საშუალებების ბაზრის ფორმირებას ახდენს შემდეგი ძირითადი ფარმაცოთერაპიული ჯგუფები: ანტიბიოტიკები (17,4 %), გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების სამკურნალო საშუალებები (15,5%), ინფექციების საწინააღმდეგო საშუალებები (17,5%), შარდ-სასქესო სისტემის დაავადებათა სამკურნალო საშუალებები (14,9%), კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალო საშუალებები (9,4%), და სხვა. სულ ათამდე ფარმაცოთერაპიულ ჯგუფზე მოდის წამლის საერთო მოხმარების 90%, ხოლო დანარჩენ ჯგუფებზე -10%.

გაირკვა, რომ აჭარის რეგიონში (ისევე როგორც საქართველოში საერთოდ) უპირატესი პოპულარობით სარგებლობს ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების ფარმაცევტული

პროდუქცია და ძალიან ნაკლებად აზიისა და ამერიკის განვითარებადი ან საშუალო დონის ქვეყნების პრეპარატები. ჩვენთვის საინტერესო ექსპორტიორი ქვეყნების პირველ ხუთეულშია-გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი და რუსეთი.

მსოფლიოში მოხმარებული წამლების 90%-ზე მეტი იწარმოება 7 ქვეყანაში: აშშ-ში (30%), იაპონიაში (24%), გერ (13%), საფრანგეთში (6,4%), იტალიაში (6%), შვეიცარიაში (4%).

აჭარაში რეალიზებული მედიკამენტების რანჟირებამ მწარმოებელი ფირმების მიხედვით აჩვენა, რომ ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავია ფირმებს-ხიოხსტ მარიონ რუსელს (გერმანია), ჰოფმან ლა როშეს (შვეიცარია), გლაქსო ველქამს (ინგლისი), ლეკს (სლოვენია), გედეონ-რიხტერს (უნგრეთი) და ა.შ.

აჭარის რეგიონში მოხმარებული წამლების ასორტიმენტული ანალიზით გაირკვა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე მიმოქცევაშია 1800-დან 2500-მდე დასახელების პრეპარატი. შედარებისათვის: ნორვეგიაში-1800 დასახელებაა მიმოქცევაში, შვეიცარიაში-3000, ესპანეთში-7000, საფრანგეთში-8000, იტალიაში-13000, იაპონიაში-16000, გერ-ში 26000 და ა.შ. განვითარებულ ქვეყნებში მოხმარებული წამლის დასახელებათა დიდი რიცხვი აიხსნება სავაჭრო (საფირმო, სამარკო) სახელწოდებათა მრავალფეროვნებით და წამლის ფორმების და დოზების დიდი ნაირსახეობით.

წამლის მომხმარებელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია ხანდაზმული ასაკის ადამიანები (42-44%). წამლის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი ამ ჯგუფში დაახლოებით 2-2,7-ჯერ მაღალია, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობაში.

წამლის მომხმარებლების მნიშვნელოვანი წილი მოდის ბავშვებზე და ახალგაზრდებზე (25-26%).

გამოიკვეთა წამლის მომხმარებელთა შორის ქალების ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია და ის 62-66%-ს შეადგენს.

აჭარაში (ისევე როგორც საქართველოში) მოთხოვნილება სასიცოცხლოდ აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს სამკურნალო საშუალებებზე (რაც წამლის საერთო მოხმარების 60%-ზე მეტია), დღეისათვის კმაყოფილდება 90%-ით (მათგან მხოლოდ 1%-ია ქართული წარმოების). ფარმპრეპარატებზე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მოთხოვნილება კმაყოფილდება 60-70%-ით.

მოსახლეობის წამლით დახმარებას მრავალი სპეციფიკური თავისებურება გააჩნია, რომლებიც ობიექტურად ზღუდავენ ბაზრის კანონების მოქმედებას ამ სოციალურად მნიშვნელოვან სფეროში. ამის მიზეზებია:

1. მედიკამენტოზური დახმარების აღმოჩენა (რაც ბევრად უფრო დიდია, ვიდრე სხვა რომელიმე სოციალური მომსახურება) მოითხოვს პირად კონტაქტებს ექიმისა და ფარმაცევტისა, ერთის მხრივ, და მომხმარებლისა (პაციენტისა)- მეორეს მხრივ. ასეთი დახმარების აღმოჩენა ხასიათდება მაღალი ინდივიდუალობით და პაციენტისადმი საექიმო-ფარმაცევტული მიდგომის არასტანდარტულობით.

2. პაციენტისათვის წამლის შერჩევის დროს დამატებით სიმწელებებს ქმის ფარმაცევტული მომსახურების დიდი ინფორმაციული და სამეცნიერო ტევადობა. წამლის გაცემა ავთიაქიდან ხასიათდება უნიკალური თავისებურებით-დამკვეთი (ექიმი) არ ყიდულობს, ხოლო მყიდველი (პაციენტი) არ უკვეთს წამალს. ფარმაცევტული მომსახურების ბაზარზე შეუძლებელია მომხმარებლის ჭეშმარიტი სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, რადგან იგი (პაციენტი) იძულებულია დაეყრდნოს ექიმისა და ფარმაცევტის რჩევებს, მათ პროფესიულ კვალიფიკაციასა და ზნეობრიობას.

3. სასიცოცხლოდ აუცილებელ წამლებზე მოთხოვნილება - ესაა მოთხოვნილება, რომელიც უშუალო კავშირშია ფასდა-

უდებელ სიკეთესთან - ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან. წამლის მაღალი სოციალური პრიორიტეტი წინასწარ განსაზღვრავს მათზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირებას. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ფარმპრეპარატების მაღალი სოციალური პრიორიტეტულობა შეხამებულია მათზე მოთხოვნის დაბალ ელასტიურობასთან. წამალზე მოთხოვნილება კარნახობს საოჯახო სამომხმარებლო ბიუჯეტში სხვა მოთხოვნილებებზე დანახარჯების შემცირებას.

4. ფარმაცევტული ბაზარი ხასიათდება დიდი ჰეტეროგენულობით, ანუ ძალიან დიდი მრავალფეროვნებით. კატალოგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამრეწველო წარმოების სამკურნალო საშუალებების რაოდენობა 110 ათას პოზიციას აღემატება, თუმცა ნომენკლატურის დიდი ნაწილი, არსებითად არის რამდენიმე მოქმედი ნივთიერების კომბინაციები. უფრო მეტიც, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ყოველწლიურად იწარმოება რამდენიმე ასეული წამლის ფორმა, რომელსაც ამზადებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 10 000-ზე მეტი მწარმოებელი.

5. წამლის მიღების გადავადების შეუძლებლობა ავადმყოფის მიერ მისი შემოსავლების დონის მიუხედავად. ასეთ სიტუაციაში, როცა ავადმყოფი იძულებულია დათანხმდეს ფარმპრეპარატის ნებისმიერ ფასზე, საჭიროა სპეციალური სახელწიფო ღონისძიებები, რომლებიც დაარეგულირებენ არა მარტო ხარისხს, არამედ ფასებსაც როგორც განსაკუთრებული სახის საქონელზე. ამდენად პრინციპული მნიშვნელობა აქვს წამლის სამართლიან განაწილებას, განსაკუთრებით მოსახლეობის ნაკლებად შეძლებულ ფენებში.

ფარმაცევტულ ბაზარზე, ამჟამად კვლავ არის გადაუჭრელი პრობლემები, რომელთაგან ამ ეტაპზე გამოვყოფდით რამდენიმეს:

1. წამლის ურეცეპტოდ და დაუსაბუთებლად მოხმარება.

სერიოზული ტენდენციაა წამლის ურეცეპტოდ დანიშვნა და მისი მოხმარება. სპეცკონტროლს დაქვემდებარებული შხამიანი, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი სამკურნალო საშუალებების გარდა, სხვა რეცეპტურული წამლების ასორტიმენტის 85-90% აფთიაქში იყიდება ექიმის რეცეპტის გარეშე (ან ექიმი უნიშნავს, მაგრამ არ უწერს სარეცეპტურო ბლანკზე), ან მომხმარებელი თვითონ ინიშნავს. ბათუმის სხვადასხვა აფთიაქებში ურეცეპტოდ გაცემული წამლების ხვედრითი წილი რეცეპტურული პრეპარატების საერთო მასაში ფარმაკოთერაპიული ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება: ანალგეტიკები 25-80%, ანთების საწინააღმდეგო საშუალებები - 12-55%, ვიტამინები - 6-50%, ხველების საწინააღმდეგო საშუალებები - 8-18%, საფადარათოები-15-74%, დერმატოლოგიური საშუალებები - 7-48%, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები - 15-30%, მატონიზირებელი საშუალებები- 26-32%, კუჭ-ნაწლავის- 8-74%, სოკოვანი დაავადებების და სადუზინფექციო საშუალებები- 11-33% და ა.შ.

წამლის ურეცეპტოდ მოხმარებას ხელს უწყობს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება იმოქმედონ მუდმივად, დროებით ან შემთხვევით. ეს ფაქტორებია: მზა წამლის ფორმების ხვედრითი წილის ზრდა, მოსახლეობის თანდათანობით დაბერება, თანამედროვე ადამიანის ზოგადი და სამედიცინო კულტურის ამაღლება, რწმენა წამლის ყოვლისშემძლეობის შესახებ, შრომისა და ყოფაცხოვრების ახალი პირობები, ტექნიკური მიღწევები და ა.შ.

წამლის ურეცეპტოდ მოხმარების უარყოფითი მხარეებია ის, რომ თვითმკურნალობა, მედიკამენტების უკონტროლოდ მოხმარება, იწვევს წამლისმიერ დაავადებებს და გართულებებს, უნაყოფო ხარჯებს ოჯახის ბიუჯეტიდან.

2. *ულიცენზიო აფთიაქები*, ექსპერტული შეფასებით, 30-ზე მეტია. ასეთი აფთიაქების გაკონტროლება ფაქტიურად

შეუძლებელია. რა არ იყიდება იქ-არარეგისტრირებული კონდრაბანდული წამლები, ფალსიფიცირებული პრეპარატები, განვითარებადი ქვეყნების იაფფასიანი წამლები (უფრო სუროგატები) და ა.შ. ულიცენზიო აფთიაქებს ბიუჯეტში არაფერი არ შეაქვთ, თანხები ილექება კერძო პირების ჯიბეებში.

3. **წამალზე ფასწარმოქმნის საკითხებისადმი** კომპეტენტურმა მიდგომამ აჩვენა, რომ ამჟამად მოქმედი ფასწარმოქმნის სისტემა ვერ ჭრის სააფთიაქო დაწესებულებების პრობლემას და ვერც მოსახლეობის სოციალურ დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა წამალზე ფასების სახელმწიფო რეგულირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მონოპოლიურად დაბალი და მაღალი ფასები. წამალზე დარიცხვის ქვედა და ზედა ზღვრული განაკვეთების სახელმწიფოს მიერ დაწესების შემთხვევაში დაცული იქნება არა მარტო მოქალაქეთა სოციალური უფლებები, არამედ წვრილი და საშუალო რგოლის მეწარმეებისა და ბიუჯეტის ინტერესებიც.

4. მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვან ამოცანად მიგვაჩნია **სოციალურად ნაკლებად დაცული და დაუცველი ფენების წამლით უზრუნველყოფის საკითხების მოგვარება**. მართალია „ველური ბაზრისა“ და „პირველყოფილი ბიზნესის“ შემცვლელად ნელ-ნელა მოდის ცივილიზებული ბაზარი, მაგრამ გარდამავალ პერიოდში ძალიან გაუარესდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, პენსიონერების, მარტოხელების, მრავალშვილიანი დედებისა და სხვა ფენების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

წამალი განსაკუთრებული პროდუქტია და მისი შეძენის გადავადება არ შეიძლება, ამიტომ შეღავათებს ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია ქ. ბათუმში გამოჩნდა ერთი აფთიაქი (შპს „მერკური“), რომელიც გარკვეულ შეღავათებს აწესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა

და პენსიონერებისათვის, მაგრამ ეს სურათს ვერ ცვლის. ამ პრობლემიდან გამოსავალი იქნება მუნიციპალური აფთიაქის შექმნა, რომელიც დოტაციური წესით შეძლებს შეღავათებით მოემსახუროს ქალაქის პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მარტოხელა მოხუცებსა თუ სხვა სოციალურად უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეებს.

5. **ფარმაცევტულ ბიზნესში კვლავ აქტუალურია პიროვნული ფაქტორი** (ისევე, როგორც ჯანდაცვაში საერთოდ). ფარმაციაში ბიზნესის კულტურა იქმნება ამ სფეროში დაკავებული ადამიანების პროფესიონალიზმის, ინტელექტის, ზნეობისა და ეთიკის შერწყმით. გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში მომხდარი კარდინალური ცვლილებები მოითხოვს პრინციპულად სხვა, ვიდრე ადრე, ფარმაცევტული დაწესებულების მართვის მეთოდებს, შესაბამისად მის კვალიფიციურ ხელმძღვანელობას. სააფთიაქო დაწესებულების თანამედროვე ხელმძღვანელი - ეს არის ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს ღრმა და მრავალმხრივ პროფესიულ ცოდნას, უნარი აქვს მიიღოს მრავალმხრივ მოფიქრებული და გულდასმით აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებები. ალტერნატივა, ფარმაციის სფეროში საბაზრო ურთიერთობები გახდება ექსპლუატაციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავების იარაღი, თუ პირიქით, ხელს შეუწყობს გაივსოს ქვეყნის აფთიაქები ჯერ ძვირადღირებული, შემდგომ კი ყოველი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი მაღალხარისხოვანი წამლით, ბევრადაა დამოკიდებული არა მარტო მენეჯერის მეწარმეობით უნარზე, არამედ შინაგან კულტურაზეც.

ზემოთ განხილული საკითხების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ უმნიშვნელოვანესი დასკვნები და რეკომენდაციები.

1. ფარმაცევტული ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევისა და ამ სფეროში მოღვაწე მეწარმეების უფლებებისა და მოვალეობების შესწავლისას აუცილებელია გათვალისწინებულ

იქნეს ამ ბაზრის სოციალური ორიენტაცია, რაც თავის მხრივ, საფუძვლად უნდა დაედოს მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებას.

2. ფარმაცევტული ბაზრის მონოპოლიზაციის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია მედიკამენტებზე ფასების სახელმწიფო რეგულირება-ფასების ზღვრული ქვედა და ზედა დონეების დაწესების გზით. ასეთი ღონისძიება ზრდის, ერთი მხრივ, აფთიაქების რენტაბელობას, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვნად მოიმატებს საბიუჯეტო შენატანები.

3. წამლის რაციონალური და დასაბუთებული გამოყენების მიზნით უნდა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ექიმებს შორის, რათა აღდგეს რეცეპტის გამოწერის პრაქტიკა. მკაცრად უნდა გაკონტროლდეს რეცეპტურული წამლების გაცემის და წამლის დანიშვნის საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა.

4. მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების წამლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია ქალაქში ერთი მუნიციპალური აფთიაქის დაარსება, სადაც თავს მოიყრის შეზღუდული შესაძლებლობის, პენსიონერების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და სხვა კატეგორიის მომხმარებლები, რომელთათვისაც დაწესდება უფასო და შეღავათიანი რეცეპტებით წამლების გაცემის პრაქტიკა. ფინანსირების წყაროებად გვესახება ბიუჯეტი, ფედერალური და მუნიციპალური პროგრამები, ჯანდაცვის სახელწიფო სადაზღვეო კომპანია და სხვა შემოწირულობანი.

5. ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების აქტიური ჩარევით საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი ულიცენზიო აფთიაქების ფუნქციონირებას. ამით მნიშვნელოვანი საყრდენი გამოეცლება კონდრაბანდას, ალურიცხავ მედიკამენტებს, ფალსიფიცირებულ და საეჭვოდ იაფი წამლების რეალიზაციას და შედეგად გაიზრდება საბიუჯეტო შენატანებიც.

ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და არაუსაფრთხო წამლების რეალიზაციისაგან მოსახლეობის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანაა, რომლის გადაჭრის გადავადებით ხელი შეეწყობა მრავალრიცხოვანი ნეგატიური შედეგების აღმოცენებას.

*„საქართველოს რეგიონების
ეკონომიკური და სოციალური განვითარების
მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“, ბათუმი, 2001,
გვ.247-255.*

ფუნქციების რეგლამენტაცია ფარმაცის ბენეჯემენტის სისტემაში

მენეჯმენტის თეორიაში ფუნქციების კვლევას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. დიდია მისი მნიშვნელობა მენეჯმენტის პრაქტიკისთვისაც. მის საფუძველზე ხდება მმართველობითი სტრუქტურის, მისი სიდიდის განსაზღვრა, მენეჯერთა და სხვა შემსრულებელთა უფლება-მოვალეობების დადგენა, ამიტომ იგი მართვის სისტემის შემაკავშირებელი რგოლია.

შრომის დანაწილებას ვხვდებით ჯერ კიდევ პირველყოფილ ადამიანებში (ერთნი ნადირობდნენ, სხვები შრომის იარაღებს ამზადებდნენ და ა.შ.). სპეციალიზაციის კვალი შეიმჩნევა ჩინეთში ჩვ.წ.აღ-მდე მეხუთე ათასწლეულში. ევროპის შუასაუკუნეებში გილდიები უფრო შორს წავიდნენ სპეციალიზაციის საკითხებში, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ იმათ, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდნენ ამა თუ იმ საქმეს. მაგრამ ფუნქციების დიფერენციაცია და სრულყოფილი სპეციალიზაცია მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იწყება.

ფუნქციების სწორად გამოიჯენა და დაკონკრეტება, მისი შემსრულებლის სწორად განსაზღვრა უფრო მენეჯმენტის ხელოვნებაა, ვიდრე მეცნიერება. ნორმალურ ვითარებაში ყოველთვის ყალიბდება სავსებით გამოკვეთილი ფუნქციები მენეჯმენტის სისტემის სხვადასხვა დონეებს შორის, მაგრამ თუ უგულებელყოფილია უფლება-მოვალეობათა რეალური განაწილება, მაშინ ეს პროცესი სტიქიურად მიმდინარეობს. მენეჯმენტის მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნორმატიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ფუნქციების რეგლამენტაცია ყველაზე სანდო და ეფექტური საშუალებაა საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მისი მართვის სისტემის რაციონალური ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

თანამედროვე ორგანიზაციის უმრავლესობაში შრომის დანაწილება სულაც არ ნიშნავს სამუშაოს შემთხვევით განაწილებას ადამიანებს შორის. დამახასიათებელი თავისებურებაა შრომის სპეციალიზირებული დანაწილება, ამა თუ იმ საქმის მინდობა იმ სპეციალისტზე, რომელიც ყველაზე უფრო უკეთ შეასრულებს მას.

ფარმაცია საკმაოდ რთული და სპეციფიკური დარგია. ფარმაცევტულ დაწესებულებებში შრომის მკაფიო დანაწილება ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოვლენას. ფარმაციის მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკაში პროვიზორ-მენეჯერის უფლება-მოვალეობათა რეგლამენტაცია იწყება ყველა დონის მენეჯერთა და ხელმძღვანელთა დაჯგუფებით ხაზობრივ, ფუნქციონალურ და კომბინირებულ (საშტაბო) ხელმძღვანელებად.

ხაზობრივი ხელმძღვანელები და პროვიზორ-მენეჯერები სათავეში უდგანან ფარმაცევტულ საწარმოს ძირითად სამსახურებსა და განყოფილებებს. ხაზობრივი სისტემისათვის დამახასიათებელია მმართველობითი ურთიერთობა „ხელმძღვანელი-დაქვემდებარებული“, რომლის დროსაც თითოეულ შემსრულებელს ჰყავს მხოლოდ ერთი უშუალო მენეჯერი, რომელსაც თავის მხრივ ერთი უშუალო ხელმძღვანელი მეთაურობს და ა.შ.

ფუნქციონალური მენეჯერები ხელმძღვანელობენ არასაწარმოო (დამხმარე) სამსახურებსა და ქვედანაყოფებს. ისინი არ არიან ძირითადი ფუნქციის უშუალო მონაწილენი, ამიტომ მათი უფლებები რესურსების განკარგვაზე შეზღუდულია ხაზობრივ ხელმძღვანელთა მიერ. ფუნქციონალური ხელმძღვანელები გასცემენ განკარგულებებს მათზე დაკისრებული ფუნქციის ფარგლებში ისეთი ამოცანების გადაწყვეტისათვის, როგორცაა კადრები, ფინანსები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, საწარმოო ჰიგიენა და ა.შ. ფუნქციონალურ მენეჯერთა განკარგულებების შესრულება სავალდებუ-

ბულოა, ვინაიდან ისინი წარმოების ინტერესებს ემსახურებ-
იან. მათი შესრულების თუ არ შესრულების შემთხვევაში
დისციპლინური ზომების გატარება შეუძლია მხოლოდ უშუ-
ალო ხაზობრივ ხელმძღვანელს.

კომბინირებული ანუ საშტაბო სამსახურები, როგორც წე-
სი, პასუხს აგებენ მენეჯმენტის ცალკეული ფუნქციის რეა-
ლიზაციისათვის. საშტაბო სამსახურების ხელმძღვანელთა
გადაწყვეტილებები აუცილებელია მხოლოდ ამ სამსახურე-
ბის თანამშრომლებისათვის. საშტაბო სამსახურებია: გამოთვ-
ლითი ცენტრი, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბო-
რატორია, მარკეტოლოგთა ჯგუფები, სარეკლამო სამსახური
და ა.შ. საშტაბო სამსახურები მენეჯერისათვის ასრულებენ
კვლევითი და საკონსულტაციო ცენტრების როლს.

ფარმაციის მენეჯმენტის მიზნების, სტრუქტურისა და
ამოცანის ურთიერთდამოკიდებულებათა კვლევის შედეგად
ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ პროვიზორ-მენეჯერმა
დაქვემდებარებულ მენეჯერთა და შემსრულებელთა ფუნქ-
ციების სწორად ფიქსირებისათვის უნდა შექმნას შემდეგი სა-
ხის ნორმატიულ-უფლებრივი დოკუმენტები:

მენეჯერთა, შემსრულებელთა, სპეციალისტთა თანამდე-
ბობრივი ინსტრუქციები;

- ორგანიზაციის, საწარმოს, დაწესებულების (მათი ქვე-
დანაყოფის) დებულებები;
- შრომითი კონტრაქტი;

თანამდებობრივ ინსტრუქციაში უნდა აისახოს შემდეგი
ნაწილები:

1. ზოგადი დებულებები;
2. მუშაკის ძირითადი ამოცანები;
3. უფლება-მოვალეობანი;
4. პასუხისმგებლობები;

5. ინტერუქციის დასკვნით ნაწილში უნდა იყოს ჩამოთვლილი წახალისების მორალური და მატერიალური ფორმები.

ორგანიზაციის, საწარმოს, დაწესებულებების (მათი ქვედანაყოფის) დებულებებში უნდა აისახოს:

1. ზოგადი დებულებები;
2. ძირითადი ამოცანები;
3. ფუნქციები;
4. უფლებები;
5. ხელმძღვანელობა (მართვა);
6. რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის წესი.

კონტრაქტი შრომითი ხელშეკრულების განსაკუთრებული სახეა, რომელიც ფორმდება მხოლოდ წერილობით და არა უმეტეს 5 წლით.

შრომითი კონტრაქტი აზუსტებს შემსრულებლის (მუშაკის) უფლება-მოვალეობებს და განსაზღვრავს მის ადგილს საწარმოო სტრუქტურაში. შრომით კონტრაქტში უნდა აისახოს შემდეგი მუხლები:

1. ზოგადი დებულებები (ვინ ვისთან დებს კონტრაქტს, მისი მოქმედების ვადა);
2. მუშაკის ვალდებულებანი (პროფესია, სპეციალობა, კვალიფიკაცია, შრომითი ფუნქციები და სხვა);
3. საწარმოს ვალდებულებები შრომის პირობების შექმნის შესახებ;
4. ხელფასის ანაზღაურების წესი;
5. სამუშაო დროის რეჟიმი;
6. დასვენების დრო;
7. სოციალური მომსახურება;
8. შეღავათები სოციალურ მომსახურებაში;
9. მხარეთა პასუხისმგებლობა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

10. კონტრაქტის დებულებების გადასინჯვის პირობები;
11. მუშაკის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები;
12. დამატებითი წახალისებანი.

განსაკუთრებული სამეცნიერო-ეკონომიკური ამოცანების გამო შეუძლებელია ერთი რომელიმე უნიფიცირებული ნორმატივის დაწესება და გამოყენება ყველა ტიპის საწარმოსათვის. ამიტომ ყოველ კერძო შემთხვევაში ტიპიური დოკუმენტების საფუძველზე ხდება მართვის ობიექტისადმი ზუსტად შესაბამისი ნორმატივების შემუშავება.

РЕЗЮМЕ

Регламентация функций в системе Менеджмента фармации

В труде обосновано необходимость регламентаций функций на основе современной теории менеджмента. Все провизоры-менеджеры сгруппирован как руководители линейные, функциональные и комбинированные(штабные) и определены характеристики этих групп.

Классифицированы основные функционально -регламентирующие документы: должностная инструкция, положение организации, учреждений, предприятия и трудовой контракт. Определены общие правила составления указанных документов.

*ნაშრომი გამოქვეყნებულია ბათუმის სამედიცინო-
ეკოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის(1995 წლის 26-27
აპრილი) კრებულში „შრომები, ბათუმი, 1995, ტ.1, გვ.23-25.*

**პროვიზორ-მენეჯერის კვალიფიკაცია და
საათმსტაციო კაბეჟორიების
მინიჭების კრიტერიუმები**

ფარმაცევტულ საწარმოთა მრავალფეროვნება (აფთიაქები, სააფთიაქო მაღაზიები, საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიები, ფარმაცევტული ფირმები მასში შემავალი ფარმაცევტული ობიექტებით, ფარმაცევტული ქარხნები და ა.შ.) გულისხმობს შესაბამისი კვალიფიკაციის პროვიზორ-მენეჯერთა მომზადებასა და გამოყენებას. ამის გამო მრავალწახნაგოვანია პროვიზორ-მენეჯერთა მმართველობითი ფუნქციები, რომელთა კონკრეტიზაცია დამოკიდებულია საწარმოს რაობასა და მის წინაშე მდგარ ამოცანაზე.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა დაგვედგინა კრიტერიუმები, რითაც შეიძლება განისაზღვროს პროვიზორ-მენეჯერის კვალიფიკაცია. კამოკვლევებისა და ანალიზის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყველა რგოლის პროვიზორ-მენეჯერებს უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის გარკვეული სტაჟი, მაღალი თეორიული და პრაქტიკული პროფესიული მომზადება, მათ უნდა ახასიათებდეს კომპეტენტურობა, ახლის ძიებისა და რისკის უნარი, ღირსებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, მაღალი შრომისუნარიანობა, გრძნობიერება და სიმარდე.

ყველა რგოლის პროვიზორ-მენეჯერი უნდა ფლობდეს მენეჯმენტისა და მარკეტინგის თეორიას და პრაქტიკას, დაუფლებული უნდა იყოს მართვის ხელოვნებას. გარდა ამისა, როგორც ფარმაციის კვალიფიციურ სპეციალისტებს, მათ უნდა შეეძლოთ:

- გამოიყენონ ნორმატიული, საცნობარო და სამეცნიერო ლიტერატურა პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად; ფლობდნენ ერთ-ერთ უცხო ენას, წაიკითხონ და გადაწერონ რეცეპტები ლათინურ ენაზე;

- დაიცვან დეონტოლოგიის პრინციპები სააფთიაქო დაწესებულებათა კოლექტივებში, ასევე ავადმყოფებთან და მათ ნათესავებთან, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ექიმებთან ურთიერთობაში;

- ჩაატარონ სააფთიაქო დაწესებულებათა საქმიანობის ყველა სახის ანალიზი, ასევე გამოკვლევები და მიზნობრივი შემოწმებები;

- განსაზღვრონ მოთხოვნები სამკურნალო საშუალებებზე და სამედიცინო დანიშნულების საგნებზე;

- მართონ მედიკამენტებისა და სხვა სახის სამედიცინო ნაწარმის ხარისხის კონტროლის სისტემა;

- უზრუნველყონ მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმით მომარაგების ორგანიზაცია.

- ერკვეოდნენ მედიკამენტების შენახვის, აღრიცხვის, გაცემის წესებში, მათი ვარგისობის ვადებში, ფიზიკურ-ქიმიურ და ფარმაკოლოგიურ თვისებებში.

- იცოდნენ სამკურნალო საშუალებათა თანამედროვე ასორტიმენტი, მათი წარმოების თეორიული საფუძვლები, სამკურნალო პრეპარატების ადეკვატური შეცვლის შესაძლებლობანი;

- დროულად დაიყვანონ დაქვემდებარებულ შემსრულებლებამდე ნორმატიული დოკუმენტები, მთავრობის დადგენილებები, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები, ინსტრუქციები და სხვა სახის მოთხოვნები;

- კერძომფლობელობისა და საბაზო ეკონომიკის პრინციპები შეუხამონ სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს, ხალხის სოციალური დაცვის ამოცანებს.

მიგვაჩნია, რომ შემოდებულ უნდა იქნას პროვიზორ-მენეჯერთა ატესტაცია და შესაბამისად განსაზღვრულ იქნეს კვა-

ლიფიკაცია. ატესტაციის გავლის შემდეგ პროვიზორ-მენეჯერებს შეიძლება მიენიჭოთ შემდეგი სახის კატეგორიები:

1. უმაღლესი რგოლის პროვიზორ-მენეჯერი;
2. საშუალო რგოლის პროვიზორ-მენეჯერი და
3. ძირითადი რგოლის პროვიზორ-მენეჯერი.

ატესტაციის ჩატარების წესის განსაზღვრა ცალკე კვლევის საგანია. ჩვენ აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ კრიტერიუმების კვლევით, რაც შემდგომში დაეხმარება საატესტაციო კომისიებს პროვიზორ-მენეჯერთა საკვალიფიკაციო კატეგორიის დადგენაში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საერთო ხასიათის მოთხოვნებისა, უმაღლესი რგოლის პროვიზორ-მენეჯერები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი თეორიული და პრაქტიკული პროფესიული მომზადებით, სრულყოფილად ფლობდნენ თავის სპეციალობაში ფარმაცევტული მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევებს, აგრეთვე კარგად ერკვეოდნენ მომიჯნავე ფარმაცევტულ დისციპლინებში. მათ კარგად უნდა იცოდნენ განვითარებული ქვეყნების ფარმაცევტული ფირმებისა და საწარმოების მოწინავე გამოცდილება, აქტიურად მონაწილეობდნენ ფარმაცევტული განათლების სპეციალისტების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. უმაღლესი რგოლის პროვიზორ-მენეჯერს შეუძლია მართოს ფარმაციის სამსახური სახელმწიფო დონეზე და ასევე ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ფარმაცევტული საწარმო.

საშუალო რგოლის პროვიზორ-მენეჯერის საკვალიფიკაციო კატეგორიის მინიჭებისას პრეტენდენტი უნდა ფლობდეს თავის სპეციალობაში ფარმაცევტული მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევებს, კარგად ერკვეოდეს მომიჯნავე ფარმაცევტულ დისციპლინებში, ჰქონდეს მუშაობის მაღალი მაჩვენებელი, მოწინავე სააფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაობის გამოცდილება, აქტიურად

მონაწილეობდეს შრომისნაყოფიერების ამაღლების რეალიზაციაში, ფარმაცევტული განათლების სპეციალისტების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, თავის საქმიანობაში კარგად უხამებდეს სახელმწიფო და კერძო ინტერესებს.

საშუალო რგოლის პროვიზორ-მენეჯერებს შეუძლიათ წარმატებით მართონ რეგიონალური, საქალაქო და რაიონული დონის სტრუქტურები, მსხვილი სააფთიაქო დაწესებულებები და ფარმაცევტული საწარმოები.

ძირითადი რგოლის პროვიზორ-მენეჯერები ფლობენ კარგ ცოდნას თავიანთ სპეციალობაში, იცნობენ მომიჯნავე ფარმაცევტული მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს, განუხრელად ნერგავენ თავიანთ საქმიანობაში მოწინავე გამოცდილებას. მონაწილეობენ ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტების ცოდნის დონის ამაღლებაში, კარგად ფლობენ ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის პრინციპებს, შეუძლიათ კვალიფიციურად უხელმძღვანელონ სააფთიაქო დაწესებულებებისა და ფარმაცევტული საწარმოების განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების საქმიანობას.

მოწოდებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დროული დანერგვა აამაღლებს პროვიზორების ღირსებასა და ავტორიტეტს, გაზრდის მათ დაინტერესებას კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლების მიზნით და ხელს შეუწყობს ფარმაციის დარგში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ეფექტურ დანერგვას.

РЕЗЮМЕ

Квалификация провизоров-менеджеров и критерии присвоения аттестационных категории

На современном этапе развития большое внимание уделяется подготовке специалистов-провизоров нового профиля: Провизоров-менеджеров. В труде конкретизированы требования, определяющие квалификацию провизоров-менеджеров. Обоснована необходимость аттестации провизоров и присвоение им квалификационных категорий. Рекомендовано установить три вида квалификационных категорий:

1. провизор-менеджер высшего звена;
2. провизор-менеджер среднего звена;
3. провизор-менеджер основного звена.

Определены примерные должности, которые могут занимать провизоры-менеджеры соответствующих категорий.

*ნაშრომი გამოქვეყნებულია
ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის
(1996 წლის 3-4 დეკემბერი) კრებულში „შრომები,
ბათუმი, 1996, ტ.2, გვ.23-25.*

**„ფარმაცევტული ზრუნვის“ საერთაშორისო
გამოცდილების კონტენტ-ანალიზი და
მის განხორციელების
სტრატეგიები თანამედროვე პირობებში**

მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის სფეროში დაგროვილია პრობლემები-რეცეპტის ინსტიტუტის მოშლა, მედიკამენტების დისტრიბუციაში აგრესიული მეთოდების გამოყენება, მომსახურების ნაკლებად ეფექტური ფორმები, ფალსიფიკაციის მოძალეობა, თვითმკურნალობის მასშტაბების ზრდა და სხვ. რომელთა გადაჭრა მოითხოვს ახალ, კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს პაციენტზე უწყვეტი ზედამხედველობის პირობებში ფარმაცოთერაპიის ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე.

შრომის მიზანია ფარმაცევტული ზრუნვის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო წყაროების კონტენტ-ანალიზი.

კვლევისას გამოყენებულია სისტემურ - ინფორმაციული, რეტროსპექტული და კონტენტ-ანალიზის მეთოდები.

ფარმაცევტული ზრუნვის განვითარება, რაც ფარმაცევტის, როგორც წამლის მწარმოებლისა და დისტრიბუტორის უწინდელი საზოგადოებრივი როლისგან განსხვავებით საქმიანობისა და პასუხისმგებლობის ახალ სპექტრს გულისხმობს, იწყება 60-70-იანი წლებიდან კლინიკური ფარმაციით. ფარმაცევტულ ზრუნვას კლასიკური კლინიკური ფარმაციისგან ორი თავისებურება განასხვავებს: დროის ასპექტი და ზედამხედველობის მიზნის განსაზღვრა. ორივე ეს ფაქტორი აისახება ფარმაცევტული ზრუნვის ყველაზე ხშირად გამოყენებულ დეფინიციაში, რომელიც ინტერვენციის სასურველ საბოლოო შედეგად სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას ასახელებს.

ფარმაცევტულ ზრუნვის პირველი დეფინიცია 1975 წელს იქნა მოწოდებული, რომლის თანახმადაც ესაა „ზედამხედველობა, რომელსაც საჭიროებს და იღებს პაციენტი უსაფრთხო და რაციონალური ფარმაცოთერაპიის უზრუნველსაყოფად”.

ფარმაცოთერაპიის ოპტიმიზაციისათვის ხელის შესაწყობად 90-იან წლებში ამერიკელ ფარმაცევტთა მიერ შემუშავდა ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფცია (“Pharmaceutical Care”), რომელიც სხვადასხვა ინტენსივობით მრავალ ქვეყანაში ხორციელდება. გერმანიაში ფარმაცევტული ზრუნვის განვითარების დასაწყისად მიიჩნევა 1993 წელი. 1997 წელს გერმანიაში შეიქმნა ფარმაცევტული ზრუნვის (Pharmaceutischen Betreuung) ხელშემწყობი ინიციატივის კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს ფარმაცევტული ინდუსტრიისა და ჯგუფური პროექტების გაერთიანებას, რესურსების კონცენტრაციასა და ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფციის გავრცელებას.

1998 წლისათვის „ზრუნვის” პრაქტიკა დამკვიდრდა რუსეთში-„Фармацевтическая опека, Фармацевтический уход”, რომელიც გარკვეულწილად დაესესხა „ზრუნვის” ამერიკულ პრაქტიკას.

ამავე პერიოდში უკრაინაში ოჯახის ფარმაცევტის სპეციალიზაცია დაინერგა. უკრაინული Фармацевтический догляд, ჩимейний фармацевт - ფარმაცევტული ზრუნვის ეგიდით მუშაობს, რომლის ფოკუსშიც თვითონ ფარმაცევტია.


საქართველოში კლინიკის ფარმაცევტის საქმიანობა არ არის გამოკვეთილი. ასევე არაა დანერგილი ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფციები, თუმცა “უბნებზე”, რაიონებისა და სოფლის აფთიაქებში „მუშაობს” “ფარმაცევტული ზრუნვის” სახეცვლილი ფორმები.

ჯანმო/სფფ-ის სტანდარტების შესაბამისად, ევროპის მოწინავე ქვეყნების, ამერიკის, რუსეთის, უკრაინის საზოგადოებრივი აფთიაქები ორ გენერალურ მიმართულებაზე -

სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის მოთხოვნებზე და პაციენტ-ზე უწყვეტი ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფციებზეა ორიენტირებული.

სხვადასხვა ქვეყნის ფარმაცევტული ზრუნვის სისტემა კონტენტ-ანალიზისათვის მოცემულია №1 ნახაზზე.

ნახ. №1



ჩვეატარეთ რა ნახ. 2-ზე წარმოდგენილი საერთაშორისო პრაქტიკის კონტენტ - ანალიზი, შესაძლებელი გახდა გამოგვეყო ფარმაცევტული ზრუნვის ძირითადი მახასიათებლები, რაც განასხვავებს მას აქამდე არსებული სააფთიაქო პრაქტიკისაგან. ეს მახასიათებლები წარმოდგენილია №1 ცხრილში.

ცხრილი №1.

ფარმაცევტული ზრუნვის ძირითადი მახასიათებლები, რაც განასხვავებს მას აქამდე არსებულ სააფთიაქო პრაქტიკისაგან

1. პაციენტზე ორიენტირებულობა და ფარმაცევტისა და პაციენტს შორის პროფესიონალური ურთიერთობის ჩამოყალიბება.
2. უწყვეტობა და შეფასებულობა (წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივი კრიტერიუმების მონიტორინგი).
3. პასუხისმგებლობა და ეთიკა.
4. ურთიერთთანამშრომლობა (კოოპერაცია)
5. მონაცემების მიღება, დოკუმენტირება და მიზნობრივი კრიტერიუმების განსაზღვრა.

ასევე მოვახდინეთ ფარმაცევტული ზრუნვის მოდიფიკაციების გაგებისა და მნიშვნელოვანი განსხვავებების დადგენა და გამოყოფა:

1. ამერიკული პროფესიული ორგანიზაციის კონცეფციები ფარმაცევტულ ზრუნვაში მედიკამენტების მიღების ზედამხედველობასთან ერთად დახმარების გაწევასაც გულისხმობს.

2. ამერიკელთა აზრით, ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფცია არ არის ფარმაცევტთა ექსკლუზივი, იგი სხვა პროფესიების წარმომადგენლებმაც შეიძლება განახორციელონ.

3. ფარმაცევტულ ზრუნვას ახასიათებს ხასიათის უწყვეტი გაუმჯობესების ელემენტები

4. განსხვავებული მოსაზრებანია იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი სააფთიაქო საქმიანობა ფარმაცევტულ ზრუნვაზე უნდა იყოს მიმართული თუ ეს კონცეფცია მხოლოდ დამატებითი სააფთიაქო მომსახურების გაწევით უნდა შემოიფარგლებოდეს.

5. როგორც პაციენტზე ორიენტირებული თანამედროვე ჯანდაცვითი კონცეფცია, ფარმაცევტული ზრუნვა მიმართულია პაციენტის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე, რომელიც კორექტირებას უკეთებს წამლის დოზირების რეჟიმს ავადმყოფის თანმხლები დაავადების, ასაკის, ფიზიოლოგიური მდგომარეობისა და სხვა ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით.

6. ფარმაცევტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ფარმაცევტული ზრუნვა აფთიაქის სოციალური და ეკონომიკური გამოღიერების აუცილებელი გზაა, ხოლო მეორე ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ ფარმაცევტული ზრუნვის მეშვეობით ფარმაცევტს შეუძლია ფარმაკოთერაპიისა და პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება.

„ფარმაცევტული ზრუნვის“ განხორციელების სტრატეგია

„ზრუნვის“ სტრატეგიების შემუშავების მიზანია უზრუნველყოს ფარმაცევტ-მენეჯერები, კონსულტანტ-ფარმაცევტები და ზოგადად, პრაქტიკოსი ფარმაცევტები იმ მეთოდოლოგიითა და ინსტრუმენტებით, რაც საჭიროა მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადო შესრულებისათვის, ფარმაცევტულ ზრუნვაში სტრატეგიული კურსის შემუშავებისა და რეალიზაციის ხარისხი ადეკვატურად აისახება არა მარტო ფარმაცოთერაპიის წარმატებულობაზე, არამედ აფთიაქის მარკეტინგულ სფეროზეც. ყოველივე ეს კი კრიზისულ სიტუაციაში აფთიაქის გადარჩენის ერთ-ერთი მაღალეფექტური ღონისძიებაა.

არარეცეპტურული პრეპარატების აფთიაქიდან გაცემისას ფარმაცევტული ზრუნვის განსახორციელებლად, ფარმაცევტმა სათანადო სააფთიაქო პრაქტიკით გათვალისწინებული შემდეგი აუცილებელი ქმედებები უნდა განახორციელოს.

1. პაციენტის პრობლემა შეაფასოს სწორად.

2. უზრუნველყოს პაციენტი არარეცეპტურული სამკურნალო საშუალებით.

3. პაციენტი უზრუნველყოს შემდგომი დაკვირვებით ანუ შეაფასოს პრეპარატის ეფექტიანობა მასთან ერთად.

არარეცეპტურული წამლების გაცემისას პაციენტთა ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებისათვის ფარმაცევტთა მოქმედების ალგორითმი მოცემულია №2 სქემაზე.

კონკრეტული პაციენტისათვის წამლის ამორჩევის დროს ძალიან მნიშვნელოვანია წამლისმიერი ანამნეზი, ადრინდელი ფარმაცოთერაპიის შესახებ ცნობების შეკრება.


წამლისმიერი ანამნეზის შეკრება აუცილებელია, რადგან ხშირ შემთხვევაში წამალი შეიძლება დაავადების მიზეზი

გახდეს, ან გამოიწვიოს სიმპტომები, რომლებიც დაავადების სიმულაციას მოახდენს.

არარეცეპტურული წამლის გაცემისას ფარმაცევტმა პაციენტი უნდა უზრუნველყოს წამლის მოქმედების, მისი გამოყენების წესის (როგორ, როდის, რა დოზით), მკურნალობის ხანგრძლივობის, შესაძლო თანამოვლენების და სხვ. შესახებ სრული ინფორმაციით. ამ ღონისძიებათა ალგორითმი ნაჩვენებია №3 სქემაზე.

ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელების ალგორითმი

სქემა №2



**ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებისას
ფარმაცევტის მიერ წაშლის შესახებ სათანადო
ინფორმაციის გაცემის**

სქემა №3

ა ლ გ ო რ ი თ მ ი

ინფორმაცია სამკურნალო პრეპარატის შესახებ

<p><u>პრეპარატის მოქმედება</u></p> <p>- რისთვისაა საჭირო მოცემული პრეპარატი? - დაავადების რომელი სიმპტომები გაქრება და რომელი არა? - როდის გამოვლინდება პრეპარატის მოქმედება? - რაა მოსალოდნელი წამლის არასწორ მიღების ან არმიღების შემთხვევაში?</p>	<p><u>თანამოვლენები</u></p> <p>- რა თანამოვლენები შეიძლება გაჩნდეს? - როგორ გამოვიცნოთ იგი! - რამდენ ხანს შეიძლება იყოს შენარჩუნებული? - რამდენად სერიოზულია? - რა უნდა ვილონოთ?</p>	<p><u>პრეპარატის რაციონალური მიღების პირობები</u></p> <p>- როგორ მივიღოთ პრეპარატი? - როდის მივიღოთ იგი? - რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს მკურნალობა? - როგორ შევინახოთ პრეპარატი? - გამოუყენებელ პრეპარატს რა მოვუხერხოთ</p>	<p><u>სიფრთხილის ზომები</u></p> <p>- როდის არ შეიძლება პრეპარატის მიღება? - როგორია მაქსიმალური დოზა? - რატომაა აუცილებელი მკურნალობის სრული კურსის გავლა? - რატომაა აუცილებელი ორდიანი მკურნალობის შემდეგ ექიმის კონსულტაცია</p>
---	---	---	--

წამლის შესახებ ინფორმაციის კონტროლი

- ვკითხოთ პაციენტს, ყველაფერი თუა გასაგები
- ვკითხოთ პაციენტს, გაიმეოროს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია
- ვკითხოთ პაციენტს, ხომ არ დარჩა კიდევ რაიმე კითხვა

და ბოლოს, ავთიაქში ფარმაცევტული ზრუნვის პრაქტიკის დანერგვის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სტრატეგიებიდან გვინდა გამოვყოთ პაციენტთა მიღების კაბინეტების (ან როგორც ზოგიერთ ლიტერატურაშია-კონფიდენცია-

ლური საუბრის ოთახების) და საინფორმაციო - საგანმანათლებლო ცენტრების მოწყობის აუცილებლობა.

ამრიგად, განვითარებულ ქვეყნებში ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფციების კონტენტ-ანალიზმა აჩვენა, რომ განმარტებები, ცვლილებები და კატეგორიები პრაქტიკულად იდენტურია და მდგომარეობს შემდეგში: ფარმაცევტული ზრუნვა როგორც სათანადო ფარმაცევტული მომსახურების პრაქტიკა, იდეოლოგია, ინფორმაციული სტრუქტურა პაციენტზე ორიენტირებული პროფესიული საქმიანობაა, რომელშიც ფარმაცევტი პაციენტთან და პროცესში მონაწილე ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, პასუხისმგებლობას იღებს მედიკამენტების გამოყენების ეფექტიანობაზე, უსაფრთხოობაზე.

ფარმაცევტულ ზრუნვას ახასიათებს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება. როგორც პაციენტზე ორიენტირებული თანამედროვე კონცეფცია, ფარმაცევტული ზრუნვა მიმართულია პაციენტის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე. ამიტომ კრიტიკულად უნდა იქნეს განხილული ყველა კვლევა, რომლებიც მხოლოდ კლინიკურ ან ეკონომიკურ პარამეტრებს ეყრდნობა და არ ითვალისწინებს პაციენტის სუბიექტურ მდგომარეობას. როგორც ინდივიდუალიზირებული საქმიანობა, ფარმაცევტული ზრუნვა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემოსავლიან და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობად, რომლის ხარისხი ადეკვატურად აისახება არამარტო პაციენტების ფარამაკოთერაპიის წარმატებულობაზე, არამედ აფთიაქის მარკეტინგულ სექტორზეც.

ლიტერატურა

1. ნიკურიძე ნესტან, ფარმაცევტული ინფორმაცია და ფარმაცევტული ზრუნვის კონცეპტუალური საფუძვლები. ფარმაც. მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2006.
2. Надлежащая аптечная практика (НАП) в общественных и больничных аптеках. ж. «Провизор», №7, харков, 1998.
3. Парновский Б.Л. Яцкова Г.Ю., Залиская О.Н. Клиническая фармация и её роль в профессиональном обучении провизоров аптек. Ж. «Провизор» №6 Харьков, 2003.
4. фармацевтическая опека: курс лекций для провизоров и семейных врачей, под ред Черных В.П. Харьков, 2006-536с.

რეზიუმე

შესწავლილია ფარმაცევტული ზრუნვის, როგორც პაციენტზე ორიენტირებული თანამედროვე ჯანდაცვითი კონცეფციის ამერიკული, გერმანული, რუსული და უკრაინული გამოცდილება. გამოვლენილია ზოგადი ხასიათის ძირითადი მახასიათებლები, რაც განასხვავებს ფარმაცევტულ ზრუნვას აქამდე არსებული სააფთიაქო პრაქტიკისაგან. ეს მახასიათებლებია: პაციენტზე ორიენტირებულობა, უწყვეტობა და შეფასებითობა (წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივი კრიტერიუმების მონიტორინგი), პასუხისმგებლობა და ეთიკა, ურთიერთთანამშრომლობა (კოოპერაცია), მონაცემების მიღება, დოკუმენტირება და მიზნობრივი კრიტერიუმების განსაზღვრა.

ფარმაცევტულ ზრუნვას ახასიათებს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება. როგორც პაციენტზე ორიენტირებული თანამედროვე კონცეფცია, ფარმაცევტული ზრუნვა მიმართულია პაციენტის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე. ამიტომ

კრიტიკულად უნდა იქნეს განხილული ყველა კვლევა, რომლებიც მხოლოდ კლინიკურ ან ეკონომიკურ პარამეტრებს ეყრდნობა და არ ითვალისწინებს პაციენტის სუბიექტურ მდგომარეობას. როგორც ინდივიდუალიზირებული საქმიანობა, ფარმაცევტული ზრუნვა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემოსავლიან და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობად, რომლის ხარისხი ადეკვატურად აისახება არამარტო პაციენტების ფარამაკოთერაპიის წარმატებულობაზე, არამედ ავთიაქის მარკეტინგულ სექტორზეც.

ВЛАДИМИР МАХАРАДЗЕ

Контэнт-анализ международного опыта «Фармацевтической опеки» и стратегий его реализаций на современном этапе

РЕЗЮМЕ

Изучена и проведена сравнительный анализ американского, немецкого и украинского опыта «Фармацевтической опеки», как современной концепций здравоохранения, ориентированного на пациента, выявлена основные характеристики, которые отличают фармацевтическую опеку от существующей аптечной практики. Этим являются: ориентированность на пациента, бесперебойность и оценка (мониторинг заранее заданных целевых критериев); Ответственность и этика, взаимосотрудничество (кооперация), полученные данных, документирование и определение целевых критериев.

Для фармацевтической опеки характерна постоянное усовершенствование качества. Как современная концепция, ориентированная на пациента, фармацевтическая опека направлена на индивидуальные потребности больного. Следует критичес-

ки рассматривать все исследования, которые опираются только на клинические и экономические параметры и не учитывают субъективное состояние пациента. Фармацевтическая опека может стать составной частью прибыльности и общественно полезной деятельности, качество которого адекватно будет отражаться не только на успешную фармакотерапию пациентов, но и на аптечный маркетинг тоже.

საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო
ჟურნალი ინტელექტი,
თბილისი, აგვისტო, 2010, №2(37), გვ.177-180.

ფარმაკოეკონომიკა

**ФАРМАКОЭКОНОМИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ЛЕКАРСТВЕННЫХ
СРЕДСТВ, ПРИМЕНЯЕМЫХ ПРИ ЛЕЧЕНИИ ИБС В УСЛОВИЯХ
СТАЦИОНАРА**

Ишемические болезни сердца (ИБС) являются наиболее широко распространенными среди сердечно-сосудистых заболеваний и лидируют среди причин смертности(1,5) . Стабильная стенокардия и острые инфаркты миокарда являются основными клиническими формами ИБС, которые в структуре зарегистрированных сердечно-сосудистых заболеваний составляют 33,0%(1). Исследованию факторов, влияющих на назначение лекарственных средств антиангинального действия и расчету стоимости лечения больных с острым инфарктом миокарда посвящены ряд работ(2,3,4).

Цель данной работы – фармакоэкономический анализ антиангинальных лекарственных средств, применяемых для лечения ИБС в условиях стационара.

Задачами исследования являются: оптимизация антиангинальной фармакотерапии, определение экономической эффективности применения тех или иных препаратов и методов лечения в нашей стране, выявления приоритетных категорий лекарственных средств для снабжения и составления больничных и региональных формулярных списков.

Исследования проводились на базе кардиологического отделения ООО «Республиканской Клинической Больницы г. Батуми». Объектом исследования служили медицинские карты стационарных больных (история болезни) с диагнозом ИБС.

Для анализа был выбран период 2002 года и отобраны 199 историй болезни с диагнозом «острый инфаркт миокарда» и 194 историй болезни с диагнозом «нестабильная стенокардия».

Методами исследования служили ретроспективный анализ фармакотерапии у 393 больных ИБС, контент-анализ и определение расходов на лекарственную помощь путем группировки и вычисления усредненных величин.

В результате исследования выявлено, что среди всех сердечно-сосудистых больных, проходивших лечение в 2002 году в специализированном кардиологическом отделении Республиканской больницы г. Батуми, пациенты с диагнозом нестабильной стенокардии составили 31,9%, а с диагнозом- острый инфаркт миокарда-32,7%. Летальность для нестабильной стенокардии составил 3,5%, а с острым инфарктом миокарда-10,8%.

По данным контент-анализа историй болезней установлен ассортимент лекарственных средств (ЛС) для лечения ИБС. Отдельным больным назначались от 7 до 21 наименований. Общий ассортимент не превышал 38 наименований (с учетом лекарственных форм и генериков), когда по состоянию на январь 2002 года в Грузии было зарегистрировано 212 позиций лекарственных средств для лечения ИБС (в том числе: антиангинальных-76 позиций, бета адреноблокаторов -72 позиций и антагонистов кальция - 64 позиций).

Практически всем больным с нестабильной стенокардией назначаются ненаркотические болеутоляющие и нестероидные противовоспалительные средства (анальгин 81,9% пациентам, аспирин – 79,4%), антикоагулянты (гепарин -73,7%), электролиты (изотонический р-р. хлорида натрия -79,9%), нитраты (изосорбида динитрат -97,4%). Морфий был назначен 18% больным, баральгин -28,3%. Из числа β –адреноблокато-

ров чаще всего назначаются: бисопролол (41,7%), из антиаллергических средств – димедрол амп. (51,0%).

Больным с острым инфарктом миокарда чаще всего назначаются: транквилизаторы (седуксен таб. 89,4% пациентам, седуксен амп. -50,3%), болеутоляющие средства центрального действия (морфин – 51,7%, фентанил – 16,1%), ненаркотические болеутоляющие и нестероидные противовоспалительные средства (анальгин амп. 87,4% пациентам, аспирин – 80,4%, баральгин амп. 53,7%), адреноблокаторы (бисопролол -51,7%), средства для местной анестезии (лидокаин амп. -50,3%), диуретические средства (фуросемид табл. и амп. -59,3%), антикоагулянты (гепарин – 91,0%), электролиты (физраствор - 94,5%), нитраты (нитросорбид таб.-94,5%), ингибиторы АКФ (АПФ) (каптоприл -53,8, капотен-28,6%), антагонисты кальция (верапамил -35%).

Вышеперечисленные препараты предусмотрены госстандартами Грузии 2002 год, но в практике врачами используются ряд препаратов из различных фармакотерапевтических групп, которые не предусмотрены стандартом. Так, например, больным с нестабильной стенокардией назначался седуксен амп. и таб., лидокаин амп, кордиамин амп., новокаин таб. и амп., платифилин амп., каптоприл табл., фуросемид таб. и амп, преднизолон амп., дигоксин таб. и т.д. Больным с острым инфарктом миокарда тоже назначались препараты, непредусмотренные стандартом: димедрол амп., преднизолон таб; кордиамин амп., новокаин амп, антибиотики (пеницилин, клафоран), платифилин амп, атропин амп, мезатон амп. и т.д.

С другой стороны, стенокардическим больным вообще не назначались антагонисты кальция (верапамил таб. амп. и нифедипин таб.) предусмотренные Госстандартом. Больным с острым инфарктом миокарда из антагонистов кальция изоптин в таб. (верапамил) назначался в редких случаях (3,5% пацие-

нтов), а нейролептические средства (дроперидол, галоперидол), также предусмотренные стандартом, вообще не назначались.

Экономический анализ стоимости лекарственной терапии одного койкодня, выявил вариабельность в пределах 1,5-5,0 у.е. больных стенокардией и 2,7-12,4 у.е. с острым инфарктом миокарда. Удельный вес лекарственных затрат в общих расходах составил от 7,4% до 37,3% (среднем 13,06%) для больных с инфарктом миокарда и 5,4% до 34,7% (среднем 13,63%) для стенокардических больных. На основании группировки определены границы низкой, средней и высокой стоимости лечения. У 52,3% пациентов с нестабильной стенокардией стоимость лечения низкая, у 34,7% - средняя, у 13%-высокая.

Стоимость лечения пациентов с острым инфарктом миокарда у 30,7% пациентов низкая, у 38,5%-средняя, а у 30,8%-высокая, что связано с осложнениями при лечении инфаркта.

Определена средняя стоимость курса лекарственной терапии, что составляет для стенокардии 5,3 у.е., а для острого инфаркта миокарда 18,2 у.е., которым соответствует среднее количество койко-дня соответственно 4,3 и 9,7.

Среди больных с ИБС работающих пациентов составил 23,6% остальные пенсионеры и безработные, из числа которых 32,3 % женщины и 67,7% мужчины. Среди больных стенокардией лица среднего и пожилого возраста (от 45 до 75 лет) составили 79,9%, а с диагнозом острого инфаркта миокарда соответствующий показатель составляет 81,4%.

В Ы В О Д Ы :

1. Сложившаяся система лекарственного обеспечения кардиологических больных характеризуется существенными недостатками. Разрешение имеющегося несоответствия исполь-

зования ЛС, предусмотренных Госстандартом, перечнем жизненно необходимых и важнейших лекарственных препаратов и по историям болезней возможно при комплексном подходе к вопросу выбора рациональной фармакотерапии.

2. Данные расходов на лекарственную терапию можно использовать для определения потребности кардиологического отделения в финансовых средствах в зависимости от количества больных с ишемическими болезнями сердца.

3. Фармакоэкономический анализ ЛС, использованных для лечения больных с ИБС в условиях стационара, позволяет выбрать препараты, наиболее оптимальные по отношению затраты/ эффективность и рекомендовать их при составлении Госстандартов и внутрибольничных формуляров.

Список использованных источников:

1. Здравоохранение. Грузия, 2001. Статистический справочник. Тбилиси, 2002 г.

2. Чабашвили Н., Ломтадзе Л. Особенности распространения острых ишемических заболеваний сердца в Грузии // Сб. науч. тр. .. Тбилиси, 1998 г., том . I. – с. 45-52.

3. Глезер М.Г., Бондарева О.Г. Фармакоэкономическая оценка больных острым инфарктом миокарда в отделении кардиореанимации. VIII Российский национальный конгресс «Человек и лекарство». Тез. докл. Москва, 2001 г.

4. Подколзина Н.В., Немченко А.С. Фармакоэкономический анализ. Проблемы доступности сердечно-сосудистых лекарственных средств // Провизор. – 2000. - №6. – с. 20-22.

5. Мнушко З.Н., Труфан С.Б. Фармакоэкономическая оценка гиполипидемических лекарственных препаратов. // Провизор – 2002.- № 21. – с. 25-27.

ЗДОБУТКИ ТА ПЕРСПЕКТИВИ РОЗВИТКУ УПРАВЛІННЯ
ФАРМАЦЕВТИЧНИМИ
ОРГАНІЗАЦІЯМИ В УМОВАХ РИНКОВОЇ ЕКОНОМІКИ
МАТЕРІАЛИ МІЖНАРОДНОЇ НАУКОВО-ПРАКТИЧНОЇ
КОНФЕРЕНЦІЇ

26 березня 2003 року м. Харків, Видавництво НФаУ,
2003.-Стр. - 204-207.

СРАВНИТЕЛЬНЫЙ ФАРМАКОЭКОНОМИЧЕСКИЙ АНАЛИЗ АНТИГИПЕРТЕНЗИВНЫХ ЛЕКАРСТВЕННЫХ ПРЕПАРАТОВ

Проблема рационального использования лекарственных средств является основой эффективной работы всей системы здравоохранения. Важным этапом в повышении терапевтической отдачи от закупки лекарств является затратно-эффективный отбор лекарственных средств [3].

В структуре зарегистрированных сердечно-сосудистых заболеваний 44,6% занимает гипертонические, 33% - ИБС и 7% - ревматоидные заболевания. Уровень заболеваемости для гипертонических больных, по последним статистическим данным, составил 535,6 на каждые 100000 населения, и начиная с 1995 года постоянно растет [2]. Гипертонические болезни стали одним из ведущими риск-факторами в развитии острого инфаркта миокарда [1].

К началу 2003 года, в Грузии для лечения сердечно-сосудистых заболеваний было зарегистрировано более 450 ассортиментной позиции лекарственных препаратов, из них в практике использовалось около 288 наименований (32-35%). Среди сердечно-сосудистых препаратов только ингибиторы АПФ составляют 19% [2].

Цель данной работы – проведение сравнительного фармакоэкономического анализа антигипертензивных лекарственных средств, доступность которых по требованиям международного союза кардиологов и ВОЗ должна быть обеспечена в странах, входящих в состав этих организаций [6-8].

Материал и методы .

Материалом для анализа служили статистические данные реализации антигипертензивных препаратов в Аджарской автономной республике за период 1999-2002гг.

Сбор материала проводили на базе ООО «Гекате» г. Батуми.

ემბრიოტოქსიკური მოქმედების განსაზღვრის მიზნით ცდა ჩავატარეთ 40 მდედრ ვირთაგვაზე, რომლებიც დაყოფილი იყო ორ ჯგუფად - საცდელ და საკონტროლო (თითოეულში 20 ვირთაგვა). კვლევის ჩატარებას წინ უძღვოდა სქესობრივი ციკლის შესწავლა კაბაკის მეთოდი (12). ვაგინალურ ნაცხში სპერმატოზოიდების აღმოჩენის დღე ითვლებოდა მაკეობის პირველ დღედ და ამ დროიდან ვირთაგვები იკვებებოდნენ ნახევრადსინთეზური რაციონებით. მაკეობის მთელი პერიოდის (1-20 დღე) განმავლობაში საცდელი ჯგუფის ცხოველები საკვებთან ერთად იღებდნენ 18% კაზეინს და 3% მანდარინის საკვები ბოჭკოების პრეპარატს, ხოლო საკონტროლოს-18% კაზეინს. მაკეობის მე-20 დღეს ცხოველებს ვკლავდით დეკაპიტაციით, ნაყოფებს ვიღებდით საშვილოსნოდან და ვსწავლობდით მათ მდგომარეობას. ემბრიოტოქსიკური მოქმედების შესწავლისას აღვრიცხეთ: ყვითელი სხეულაკების რიცხვი, პლაცენტის მასა, იმპლანტაციის და რეზორბციის ადგილები, ცოცხალი ემბრიონების რაოდენობა, ნაყოფის გარე და შიდა ანომალიების არსებობა. იმპლანტაციის წონა, იმპლანტაციის შემდგომი და საერთო სიკვდილიანობა გამოვიანგარიშეთ საერთოდ მიღებული ფორმულების მიხედვით (13).

ამ პრეპარატის ტერატოგენული მოქმედების დადგენის მიზნით შევისწავლეთ შინაგანი ორგანოების მდგომარეობა. ემბრიონების როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ანომალიების

დადგენის მიზნით ემბრიონები გავჭერთ 9 განსაზღვრული ხაზის მიხედვით და ანათლები გამოვიკვლიეთ (14). ჩონჩხის ანომალიების შესწავლისათვის ემბრიონები შევღებეთ ალიზარინით დაუსონის მეთოდით. ვსაზღვრავდით ძვლების შესაძლო გამრუდების არსებობას (15).

მანდარინის კანის საკვები ბოჭკოების პრეპარატი შესაძლო არაკეთილსასურველი ზემოქმედების გამოკვლევისას ექსპერიმენტში ცხოველების მასის დინამიკაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ცდის პერიოდში მათმა ნამატმა საკონტროლო ჯგუფში შეადგინა $125 \pm 16,0$ გ, ხოლო საცდელ ჯგუფში - $118,0 \pm 9,0$ გ. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საკონტროლო ჯგუფში აღინიშნებოდა სტატისტიკურად არასარწმუნო სხეულის მასის მატება საცდელთან შედარებით. ცხოველების მიერ საცდელი პრეპარატის მოხმარება სტატისტიკურად სარწმუნოდ არ აისახებოდა ვირთაგვების შინაგანი ორგანოების შეფარდებითი მასური კოეფიციენტების ცვლილებებზე.

პერიფერიული სისხლის მორფოლოგიური შემადგენლობის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ცდის განმავლობაში ცხოველებში, რომლებიც საკვების შემადგენლობაში იღებდნენ საკვები ბოჭკოების პრეპარატს, სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები სისხლში ჰემოგლობინის, ერითროციტების, ლეიკოციტების შემცველობაში საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების მიმართ აღნიშნული არ იყო (ცხრილი 1).

ცხოველების სისხლის შრატის ანალიზმა საერთო ცილის და ცილის ფრაქციების შემცველობაზე არსებითი განსხვავებანი არ გამოავლინა. ცილის ფრაქციების შეფარდებების სიდიდეებში სარწმუნო განსხვავებანი საცდელ და საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვებს შორის არ აღინიშნებოდა. საცდელი ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში ამინოტრანსფერაზების აქტივობის მაჩვენებლებში.

ცხრილი №1

ექსპერიმენტული ცხოველების სისხლის ბიოქიმიური და ჰემატოლოგიური მაჩვენებლები, რომლებიც იღებდნენ საკვები ბოჭკოების პრეპარატს (n=20)

მაჩვენებლები	საცდელი ჯგუფი	საკონტროლო ჯგუფი
საერთო ცილა, გ/ლ	59,8 ± 2	66,0 ± 3,3
ალბუმინები, %	51,0 ± 5,8	53,9 ± 7,1
გლობულინები, %	49,0 ± 5,8	46,1 ± 7,1
შეფარდება ალ/გლ	1,04 ± 0	1,1 ± 0,1
ჰემოგლობინი, გ/ლ	154,0 ± 3,3	162,0 ± 6,6
ერთროციტები, 10 ¹⁴ ლ	6,4 ± 0,7	6,6 ± 0,2
ლეიკოციტები, 10 ⁹ /ლ	9,4 ± 0,7	9,6 ± 0,8
ალანინამინოტრანსფერაზა, მმოლი/გ-სთ	0,16 ± 0,04	0,15 ± 0,04
ასპარტატამინოტრანსფერაზა, მმოლი/გ-სთ	0,11 ± 0,04	0,11 ± 0,03

საკონტროლოსთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებები დადგენილი არ იყო.

შინაგანი ორგანოების პათომორფოლოგიური გამოკვლევისას მათ პარენქიმასა და სტრომაში მორფოლოგიური ცვლილებები არ აღინიშნებოდა.

ამრიგად, ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ვირთაგვების მიერ საკვლევი პრეპარატის მოხმარება არ დაეტყობა მათ საერთო მდგომარეობას და არ იძლევა საფუძველს, რათა ვიმსჯელოთ მის რაიმე არაკეთილსასურველ მოქმედებაზე.

საკვები ბოჭკოების პრეპარატის ემბრიოტოქსიკური მოქმედების გამოკვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 2-ში.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ერთ ვირთაგვაზე ყვითელი სხეულაკების საშუალო რიცხვი საცდელ და საკონტროლო ჯგუფში სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა (შესაბამისად 8,6 ± 0,5 და 9,4 ± 0,4). ნაყოფების სიკვდილიანობის გაანგარიშებისას დადგინდა განსხვავებანი იმპლანტაციის შემდგომ და საერთო სიკვდილიანობის ამსახველ

მონაცემებში. ამასთან, მაჩვენებლები საცდელი ჯგუფის ვირთაგვებში უფრო მაღალი იყო, ვიდრე საკონტროლოში ($18,6 \pm 0,9$ და $16,3 \pm 0,8$), მაგრამ ეს სიდიდეები სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა.

ემბრიონის საშუალო მასა საცდელ ჯგუფში, ასევე სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა ამ მაჩვენებლისგან საკონტროლო ჯგუფში.

ორივე ჯგუფის მდებრი ვირთაგვებიდან აღებული ემბრიონების ვიზუალურმა დათვალიერებამ კანის საფარის კარგი განვითარება, ჰემატომების და შეშუპებების არარსებობა გამოავლინა. ნაყოფის განვითარების გარეგანი ანომალიები არც ერთ შემთხვევაში არ იყო აღნიშნული. შინაგანი ორგანოების აგებულების და განლაგების გამოკვლევამ არ მოგვცა საშუალება დაგვედგინა რაიმე გადახრები და განსხვავებები საცდელ და საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ნაყოფებს შორის.

ცხრილი №2

თეთრი ვირთაგვების ემბრიონალური განვითარების მდგომარეობის მაჩვენებლები (n=20)

მაჩვენებლები	საცდელი ჯგუფი	საკონტროლო ჯგუფი
ყვითელი სხეულაკების რიცხვი	172	188
ყვითელი სხეულაკების საშუალო რიცხვი	$8,6 \pm 0,5$	$9,4 \pm 0,4$
იმპლანტაციის ადგილების რიცხვი	172	184
ცოცხალი ემბრიონების რიცხვი	140	154
მკვდარი ემბრიონების რიცხვი	32	30
სიკვდილიანობა, %	-	-
იმპლანტაციისწინა	0,0	0,0
იმპლანტაციის შემდგომი	$18,6 \pm 0,9$	$16,3 \pm 0,8$
საერთო ემბრიონალური	$18,6 \pm 0,9$	$16,3 \pm 0,8$
ემბრიონის მასა, გ	$2,5 \pm 0,1$	$2,7 \pm 0,2$

ჩონჩხის ძვლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი კარგად იღებება ალიზარინით. რეგისტრირდება 20 დღიანი ემბრიონებისათვის დამახასიათებელი გამვალეების მონაკვეთები, ჩონჩხის განვითარების ანომალია და ძვლების გამრუდების დადგენა აღნიშნული არ იყო.

ამრიგად, ჩატარებულმა გამოკვლევებმა არ გამოავლინეს მანდარინის საკვები ბოჭკოების პრეპარატის ემბრიოტოქსიკური და ტერატოგენული მოქმედება.

ჩატარებული გამოკვლევები, რომლებიც მიუთითებენ მანდარინის კანის საკვები ბოჭკოების პრეპარატის უვნებლობას საფუძვლად დაედო მისი საკვები მიზნით გამოყენებას ადამიანის საკვებში.

მანდარინის საკვები ბოჭკოების პრეპარატის ორგანიზმის კლინიკურ-ბიოქიმიურ სტატუსზე გავლენის მიზნით გამოკვლევა ჩავატარეთ ათი პრაქტიკულად ჯანმრთელი მამაკაცის (მოხალისის) მონაწილეობით (ასაკი $31,8 \pm 1,4$ წელი, სიმაღლე $178 \pm 1,8$ სმ. და სხეულის მასა $75,8 \pm 2,5$ კგ.) დაკვირვების პერიოდში (20 დღე) გამოსაკვლევი პირები იღებდნენ დიეტას №15-ს, რომელშიც ცილის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ცხოველური და მცენარეული პროდუქტები (ხაჭო, კვერცხი, სოსისი, მაწონი, კარტოფილი, კომბოსტო) და საკვები ბოჭკოებით გამდიდრებულ პურს (400 გ-ის რაოდენობით).

გამოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში მოხალისეები სადღეღამისოდ იმყოფებოდნენ სტაციონარის პირობებში დღის ნორმალური რეჟიმით და დასვენებით.

ყოველდღიურად ვაწარმოებდით მოხალისეების სამედიცინო კონტროლს. დაკვირვების დასაწყისში და დასასრულს განვსაზღვრეთ მათი ორგანიზმის კლინიკო-ბიოქიმიური მაჩვენებლები:

სისხლის მორფოლოგიური შემადგენლობა (9), სისხლის შრატში საერთო ცილის (10) და ცილის ფრაქციების (11) შემცველობა, ამინოტრანსფერაზების აქტივობა (12).

დაკვირვების შედეგები წარმოდგენილია ცხრილი № 3-ში.

სისხლის მორფოლოგიური შემადგენლობის განსაზღვრამ აჩვენა, რომ მისი რაოდენობრივი მაჩვენებლები დაკვირვების პერიოდში საწყის მონაცემებთან შედარებით არ იცვლება. ასევე არ აღინიშნებოდა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებები სისხლის შრატში საერთო ცილის და ცილის ფრაქციების შემცველობაში. არ იყო დადგენილი სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები ამონატრანსფერაზების აქტივობის მაჩვენებლებშიც. ამრიგად, ჩატარებული გამოკვლევები არ მიუთითებენ მანდარინის საკვები ბოჭკოების პრეპარატის უარყოფით გავლენაზე ადამიანის ორგანიზმზე. კვლევის შედეგები მიუთითებენ მის კარგ ამტანობას და უვნებლობას.

ჩატარებული გამოკვლევები საშუალებას იძლევა შემუშავდეს გამოკვლეული მანდარინის კანის საკვები ბოჭკოების პრეპარატის პრაქტიკული გამოყენების ოპტიმალური გზები.

ცხრილი №3

მოხალისეების ორგანიზმის კლინიკო-ბიოქიმიური მაჩვენებლები

მა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	მონაცემები	
	საწყისი	20 დღის შემდეგ
საერთო ცილა, გლ	83,7 ± 4,1	88,0 ± 4,4
ალბუმინები, %	53,3 ± 1,8	57,7 ± 1,8
გლობულინები, %	46,7 ± 1,8	42,3 ± 2,8
შეფარდება ალ/გლ	1,14 ± 0,2	1,36 ± 0,16
ალანინამინოტრანსფერაზა, მმოლი/გ-სთ	0,60 ± 0,10	0,68 ± 0,10
ასპარტატამინოტრანსფერაზა, მმოლი/გ-სთ	0,49 ± 0,1	0,41 ± 0,05
ჰემოგლობინი, გლ	143,0 ± 3,0	146,7 ± 1,3
ერთროციტები, 10 ¹² /ლ	4,4 ± 0,1	4,5 ± 0,2
ლეიკოციტები, 10 ⁹ /ლ	7,0 ± 0,2	6,9 ± 0,2

РЕЗЮМЕ

Медико-биологическая оценка действия препарата пищевых волокон мандарина

Потребление лабораторными животными препарата пищевых волокон мандарина не вызывало в их организме проявлений неблагоприятных эффектов, оценивавшихся по результатам исследований возможно токсичного действия и отдаленных последствий.

Клиническим испытанием установлена биологическая эффективность этого препарата и его хорошая переносимость организмом здорового человека.

ლიტერატურა

1. Григоров Ю.Г., Козловская С.Г. Вопросы питания, 1984, №5, ст. 22-27.
2. Kasper H., Rabats V., Ehi M. Nurt. A. metab., 1980, №2, p. 102-109.
3. Дубинин А.В., Корнева Т.К., Минаева О.Л. Клиническая медицина, 1987, №3, ст. 71-73.
4. Вайштейн С.Г., Масик А.М., Вопросы питания, 1984, №3, ст. 6-12.
5. Риго Я. Вопросы питания, 1989, №4, ст. 26-29.
6. Мансуров Х.Х. Советская медицина, 1989, №7, ст. 60-63.
7. Мониава, И.И., Леквеишвили М.В., Чаганова А.А., Григорашвили Г.З., Каландадзе В.Д. Способ переработки сухих отжимов плодов цитрусовых А.С. №1556681, 1987.
8. Методические рекомендации по определению биологической ценности продуктов животного происхождения. М., 1986, ст. 75.

9. Колб В.Б., Калышников В.С. Справочник по клинической химии. Минск, 1989.
10. Елиазарова О.И., Жидкова Л.В., Кочеткова Г.А. Пособие по токсикологии для лаборантов. М., 1984.
11. Ронин В.С., Старобинец Г.М., Утевский И.Л. Руководство к практическим занятиям по методам клинических лабораторных исследований. М., 1986.
12. Кабак Я.М. Основные методы экспериментальных эндокринологических исследований. Практикум по эндокринологии, М., 1988.
13. Саноцкий И.Ф., Фоменко В.М. Отдаление последствия влияния химических соединений на организм, М., 1989.
14. Дыбак А.П. Гигиена окружающей среды, Моринленд, 1986, М 1987, ст. 77-81.
15. Методические указания по тестированию и эмбриотоксической активности новых лекарственных веществ. М., 1982.

*სამედიცინო სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი
„მკურნალი“,
ქ.თბილისი, 2000, N 1(30), გვ. 6-40.*

**მანდარინის საკვები ბოჭკოების პრეპარატის
პროტაქტორული მოქმედების შესწავლა
სტრონციუმით ინტოქსიკაციისას**

თანამედროვე პირობებში ორგანიზმიდან სტაბილური და რადიოაქტიური მეტალების გამოყვანის ეფექტური საშუალებების ძიების პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს ატომური ენერჯის და რადიოაქტიური იზოტოპების ტექნიკის, მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში ფართო გამოყენებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აქტუალურია ორგანიზმიდან რადიოაქტიური სტრონციუმის გამოყვანის საშუალების ძიება.

ამ რადიონუკლიდის ორგანიზმში შესვლის თავიდან აცილების ან მისი შემცირების მიზნით გამოიყენებენ ადსორბენტებს, ცელულოზებს, სორბენტებს, ალგინატებს, კალიუმის ფერიციანიდს. ლიტერატურაში მოიპოვება მონაცემები (1, 2) მიღებული ექსპერიმენტში და მოხალისეებზე ბერლინის ლაჟვარდის, ნატრიუმის ალგინატის, კალიუმის ფოსფატის ერთობლივი მიღების ეფექტურობაზე, ასევე ამ დამცველი საშუალებების კომპლექსში ვიტამინებთან და ამინომჟავებთან ორგანიზმში, მუდმივად Sr^{90} და ^{137}Cs მუდმივი მიღებისას. ნაშრომში (3, 4) წარმოდგენილია დამაჯერებელი ექსპერიმენტული და კლინიკური მონაცემები პექტინის გამოსახულ მოქმედებაზე რადიონუკლიდების ორგანიზმში შესვლისას. შემუშავებულია რეკომენდაციები პექტინისა და პექტინემცველი პროდუქტების სხვადასხვა ფორმების გამოყენებაზე რადიონუკლიდების შესაწოვად (5).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრეპარატი ცუდად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. ისინი ეფექტურად ურთიერთქმედებენ მეტალების კათიონებთან აქტიური ფუნქციონალური ჯგუფების ხარჯზე, რასაც საკვებთან შესული რადიონუკლიდების ინკორპორაციის მექანიზმის ბლოკირება მოსდევს.

მაგრამ ამ პრეპარატების დეკორპორირებული მოქმედება შეზღუდულია. ისინი ეფექტურია რადიონუკლიდების შემცველი საკვებისა და წყლის მუდმივი მიღებისას. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ადსორბენტების დასახელებული სორბენტების კლასის ეფექტური გამოყენება გამორიცხულია. უფრო აქტუალურია პრეპარატების და საკვები დანამატების შექმნა, რომლებიც არამხოლოდ ბლოკირებენ რადიონუკლიდების შეწოვას, არამედ ხელს უწყობენ მათ ეფექტურ დეკორპორირებას. ასეთი ტიპის პრეპარატები უნდა შეიცავდნენ ნივთიერებებს, რომლებიც სელექტიურად შებოჭავენ რადიონუკლიდებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, გავლენას მოახდენენ საერთო მინერალურ ცვლაზე, მაგრამ არ გამოიწვევენ დისბალანსს.

პრეპარატების შერჩევას, რომლებიც აჩქარებენ რადიონუკლიდების ორგანიზმიდან გამოყვანას ან კიდევ ხელს უშლიან მის შეწოვას, უნდა გათვალისწინებული იყოს, რომ ნივთიერებები, რომლებიც ჩვეულებრივ არ შედიან ბუნებრივი მეტაბოლიტების ციკლში (მაგ., ფარმაკოლოგიური) მოითხოვს მეტად რთულ დასაბუთებას, რადგან მხოლოდ ევოლუციის გამოცდილება წარმოადგენს დამაჯერებელ მტკიცებულებას მათი გამოყენების შესაძლებლობაზე. ამასთან დაკავშირებით მასობრივი პროფილაქტიკური საშუალებები პირველყოფლისა უნდა მოიძებნოს საკვებ ნივთიერებებს შორის.

წინამდებარე ნაშრომში ჩატარებულია გამოკვლევა საკვები ბოჭკოების პრეპარატის გამოყენების შესაძლებლობაზე (რომელსაც აქვს მეტალებთან რეაგირების უნარი) სტრონციუმის შებოჭვისათვის მისი შემდგომში დეტოქსიკანტის სახით გამოყენების მიზნით.

ამ მიზნით ჩვენს მიერ შემუშავებულია ციტრუსის-მანდარინის საწარმოო გადამუშავების ნარჩენიდან (კანიდან) საკვები ბოჭკოების მიღების მეთოდი. პრეპარატი დიდი რაოდე-

ნობით შეიცავს პექტინს, უჯრედანას და პემიცელულოზას (ჯამური შემცველობა 82,1%).

გამოკვლეულია საკვები ბოჭკოების პრეპარატის ურთიერთქმედება სტრონციუმთან pH სარეაქციო არეს სხვადასხვა მნიშვნელობისას : 3,6; 2,0; 7,6.

ცდის ჩატარებისას საკვები ბოჭკოების ხსნარი შეიროდა სტრონციუმის ქლორიდის ან აზოტმჟავა სტრონციუმის ხსნარებთან მარილმჟავას ან სოდის ხსნარის დამატების გზით ნარევებში იქნებოდა ხსნარის განსაზღვრული pH არე. ნარევეს ვფილტრავდით, ნალექს ვრეცხავდით წყლით. ფილტრი ნალექით და ფილტრატები ცალკ-ცალკე მინერალიზდებოდა. სტრონციუმის განსაზღვრას ფილტრაზე ნალექში და ფილტრატში ვაწარმოებდით მეთოდით, რომელიც დაფუძნებულია სტრონციუმის სულფატის სახით და ამ უკანასკნელის რაოდენობრივ განსაზღვრაზე ნალექის წონის მიხედვით (6).

ცდების პირველ სერიაში ჩატარებული იყო ნარევის-საკვები ბოჭკოების პრეპარატის და სტრონციუმის მარილების $SrCl_2$ და $Sr(NO_3)_2$ წყალხსნარების pH არეს მნიშვნელობისას 3,6; გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ საკვები ბოჭკოების პრეპარატის გამოყენებისათვის პროფილაქტიკური ან სამკურნალო მიზნებისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკურ კვებაში, მისი ურთიერთქმედება სტრონციუმთან კუჭში იწარმოებს უფრო მჟავე არეში, ჩვენს მიერ ცდების მეორე სერია ჩატარებული იყო ნარევის pH არეს მნიშვნელობისას 2,0.

პექტინის დალექვის თეორიიდან ცნობილია, რომ pH არეს ცვლილება მოქმედებს პექტინის უნარზე დაილექოს პოლივალენტური მეტალების იონებით. ამასთან დაკავშირებით ცდების მესამე სერია ჩავატარეთ pH არეს მნიშვნელობისას - 7,6.

ჩატარებული ცდების შედეგი წარმოდგენილია ცხრილ 1-ში.

სტრონციუმის რაოდენობრივი განსაზღვრის მაჩვენებლები
ნალექში და ფილტრატში

გამოსაკვლე ვად აღებული მასალა	pH	პრეპ. რ-ბა რეაქ- ში მგ.	Sr-ის რაოდენობა მგ.				ნალ- ექში	ფილ- ტრში
			შეყვა- ნილი	ნალ- ექში	ფილ- ტრში	განსა- ზღვ. საერთ ო	%ში შეყვანილი Sr- ის მიმართ	
რეაქცია Sr(NO ₃) ₂ - თან	3,6	15	3,7	2,07	1,63	3,7	56,0	44,0
	2,6	15	3,7	1,15	2,55	3,7	31,0	69,0
	7,6	15	3,7	2,80	0,90	3,7	76,0	24,0
რეაქცია SrCl ₂ ·6H ₂ O- თან	3,6	15	3,6	2,03	1,57	3,6	56,4	43,6
	2,0	15	3,6	1,39	2,21	3,6	38,5	61,5
	7,6	15	3,6	2,75	0,85	3,6	76,2	23,8

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საკვები ბოჭკოე-
ბის პრეპარატს უნარი აქვს შებოჭოს სტრონციუმის მნიშვნე-
ლოვანი რაოდენობები რეაქციებში სტრონციუმის მარილებ-
თან წყლიან არეში.

ცდებმა აჩვენეს, რომ კუჭის წვენი pH რამდენადმე ამცი-
რებდა საკვები ბოჭკოების უნარს შეებოჭა Sr, რეაქციაში სტ-
რონციუმის ძირითადი ნაწილი ფილტრატში ისაზღვრებო-
და. როგორც ჩანს საკვები ბოჭკოები სტრონციუმთან წარ-
მოქმნიან პექტინატებს და პექტატებს, რომლებიც ნაწილობ-
რივ იხსნებიან მჟავე არეში.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საკვები ბოჭკოე-
ბის უნარი შებოჭოს სტრონციუმი სუსტ ტუტე არეში უფრო
მაღალია, ვიდრე მჟავე არეში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციტრუსის საკვები ბოჭკოების
პრეპარატს აღმოაჩნდა სტრონციუმის მიმართ უფრო მაღალი
სარეაქციო უნარი. სხვა წყაროებიდან (მზესუმზირა, ჭარხა-
ლი) მიღებულ პექტინთან შედარებით ანალოგიურად ჩატა-
რებულ ცდებში pH არეს მნიშვნელობისას 3,6 მზესუმზირის

პექტინის პრეპარატმა სტრონციუმის მარილებთან რეაქციაში შებოჭა სტრონციუმის საერთო რაოდენობის 52,0%, ხოლო ჭარხლის პექტინმა 34-36,0%, მაშინ როდესაც ჩვენმა პრეპარატმა -56,0% (7). კუჭის წვენის pH მნიშვნელობისას პექტინის სარეაქციო უნარი რამდენადმე შემცირდა და შებოჭილი სტრონციუმის რაოდენობამ მზესუმზირის პექტინისათვის შეადგინა 28,5%, ხოლო ჭარხლის 26,4%, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი საკვები ბოჭკოების პრეპარატისათვის 31,0-38,5%-ს.

ყველაზე აქტიურ სარეაქციო უნარს პექტინი იჩენს pH 7,6-ისას. ამ პირობებში შებოჭილი სტრონციუმის რაოდენობა მზესუმზირის პექტინისათვის იყო 71,7%, ხოლო ჭარხლის - 63,9%. ეს მაჩვენებელი მანდარინის საკვები ბოჭკოების პრეპარატისათვის უფრო მაღალი იყო და შეადგენდა 76,0%-ს.

ჩატარებული კვლევის შედეგები საკვები ბოჭკოების პრეპარატის სტრონციუმის მიმართ რეაქციულობის უნარის დადგენაზე (არეს მჟავიანობის სხვადასხვა ხარისხისას) მიუთითებენ. pH- ის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად იზრდება საკვები ბოჭკოების უნარი შებოჭოს სტრონციუმი. აღნიშნული როგორც ჩანს აიხსნება იმ გარემოებით, რომ pH-ის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად საკვები ბოჭკოები დიეთიფიცირდება და წარმოებს უფრო ძლიერი ინტენსიური ურთიერთქმედება პექტინის მოლეკულას მჟავა რადიკალებსა და სტრონციუმის იონებს შორის.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგები საშუალებას იძლევა ჩატარედეს ბიოლოგიური ცდები საკვები ბოჭკოების პრეპარატის მოქმედების გამოკვლევაზე, როგორც პროფილაქტიკური საშუალებისა სტრონციუმის მიმართ.

დასკვნები:

1. გამოკვლეულია საკვები ბოჭკოების პრეპარატის რეაქციის უნარიანობა სტრონციუმის მიმართ რეაქციული ნარევის pH სხვადასხვა მნიშვნელობისას.
2. საკვები ბოჭკოების უნარი შებოჭოს სტრონციუმი იზრდება pH არეს ზრდასთან ერთად.
3. კუჭის წვენის pH-ზე საკვები ბოჭკოების რეაქციულობის უნარი რამდენიმე მცირდება და შებოჭილი სტროციუმის რაოდენობა შეადგენს 31,0-38,5%-ს.
4. ყველაზე აქტიურ რეაქციულ უნარს საკვები ბოჭკოების პრეპარატი იჩენს pH 7,6-ზე. ამ პირობებში შებოჭილი სტრონციუმის რაოდენობა შეადგენს 76,0%-ს.
5. საკვები ბოჭკოების პრეპარატი იჩენს აქტიურ რეაქციულ უნარს სტრონციუმის მიმართ, მასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია შემოწმდეს საკვები ბოჭკოების მოქმედების გამოკვლევა, როგორც სტრონციუმის შემბოჭველი აგენტისა ბიოლოგიურ ექსპერიმენტში.

РЕЗИЮМЕ

Изучение протекторного действия препарата пищевых волокон мандарина при интоксикации стронцием

Исследована реакционная способность препарата пищевых волокон мандарина по отношению к стронцию при различных pH реакционной смеси.

Уставлено, что способность пищевых волокон связывать стронций увеличивается с повышением pH среды.

ლიტერატურა

1. Данецкая Е.В., Рамзаев П.В. Гигиена и санитария, 1978, №11, с. 106-108.
2. Рамзаев П.В., Корзун В.Н., Данецкая Е.Д. Медич. Радиолог., 1971, №9, с. 49-53.
3. Дюбова Т.П., Здоровоохранение Белоруссии, 1986, №6, с. 12-14.
4. Рубановская А.Л. Гигиена труда, 1961, №4, с. 43-47.
5. Трахтейберг И.М., Краснокутская А.М., Попик С.Я., Набока М.В., Инструкция по профилактическому применению пектиновых веществ в условиях радиоактивного загрязнения, Киев, 1986, с. 15.
6. Методические рекомендации по санитарному контролю за содержанием радиоактивных веществ и объектах внешней среды. МЗ СССР, М, 1980.
7. Беззубов А.Д., Хатина А.И. Гигиена труда и проф. Заболевания, 1961, №4, с. 39-42.

სამედიცინო სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „მკურნალი“,
ქ.თბილისი, 2000, N 1(30), გვ.43-45.

ნანილი V

მეთოდური შრომაი

1. მეთოდური მითითებანი სამეურნეო ანგარიშზე მყოფ აფთიაქებში სრული ფარმაცევტული საქმიანობის შემოწმების ჩატარების შესახებ.
2. მეთოდური რეკომენდაციები რეგიონალური და შიდასავადმყოფო ფორმულარული სიების შედგენის შესახებ კარდიოლოგიური პრეპარატების მაგალითზე

მეთოდური მითითებანი

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ აფთიაქებში სრული ფარმაცევტული საქმიანობის შემოწმების ჩატარების შესახებ.
(ძირითადი საკითხები)

ზოგადი მითითებანი:

1. სააფთიაქო დაწესებულებების სრული ფარმაცევტული საქმიანობის შემოწმებისას აქტში კონკრეტულად უნდა აღინიშნოს დარღვევები და ნაკლოვანებები, ასევე სასურველია დაფიქსირებული იქნას სიახლეები და მიღწევები მათი შემდგომი განზოგადების მიზნით.
2. შემოწმების დაწყებამდე აუცილებელია:
 - ა) გავეცნოთ სამმართველოში ან აფთიაქში უკანასკნელი შემოწმების აქტს, რათა გაირკვეს რა შესრულდა და რა არა მიცემული შენიშვნებიდან.
 - ბ) გავეცნოთ მომარაგებაში არსებულ მდგომარეობას და პერსპექტივებს, საქონლის მარაგს საწყობში, დეფექტურის.
3. აუცილებლად უნდა გაისინჯოს საჩივრისა და წინადადების წიგნის არსებობა, მისი ადგილსამყოფელი. ეძლევა თუ

არა მომხმარებელს პირველი მოთხოვნისთანავე. დროულად და სწორად თუ წარმოებს საჩივრებზე პასუხის გაცემა.

4. რეკომენდირებულია მედსაქონლის შესყიდვა საკონტროლოდ ხელზე გასაყიდ და სარეცეპტურო განყოფილებებიდან-დაუსაბუთებელი უარის თქმის გასარკვევად, ტაქსირების სიზუსტის დასადგენად და წამლის ხარისხიანობის შესამოწმებლად.

5. შემოწმების პერიოდში უნდა მივიდეთ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში აფთიაქის მუშაობაზე ინფორმაციის მისაღებად, არის თუ არა პრეპარატებში აფთიაქის მუშაობის ან გამგის მიმართ.

აფთიაქის დახასიათება

1. აფთიაქის კატეგორია საქონელბრუნვით და ჯგუფი ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურებით. ადგილმდებარეობა, სამუშაო საათები და სამუშაო დღეთა რაოდენობა კვირაში. აფთიაქი თუ ღამის მორიგეა-აღინიშნოს.

2. რომელი განყოფილებებია ჩამოყალიბებული. მატერიალური პასუხისმგებლობა (ბრიგადული, ინდივიდუალური) სწორადაა თუ არა გაფორმებული ხელშეკრულებები მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან.

3. არის თუ არა გამორკვეული განცხადება სამუშაო საათების შესახებ, და უახლოესი სამკურნალო და სააფთიაქო დაწესებულებების შესახებ მათი მისამართების ჩვენებით.

4. ჩამოითვალოს მომარაგებაზე არსებული სააფთიაქო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები და დაქვემდებარებული ობიექტები.

5. შეესაბამება თუ არა დაკავებული ფართობი აფთიაქის მუშაობის მოცულობას. აქვს თუ არა სარდაფი, დამხმარე სათავსები.

6. იზოლირებულია თუ არა კოქტორიუმი, წყლის გამო-სახდელი აპარატი, ავტოკლავი, მაშრობი კარადა, საასისტენტო.

7. როგორი სახის რემონტს საჭიროებს აფთიაქი (კაპიტალურს, მიმდინარეს, თუ კოსმეტიკურ-შემალამაზებელს).

8. როგორია გათბობის სისტემა, განათება.

9. აფთიაქში არის თუ არა ასეპტიკური ბლოკი (ბოქსი) სტერილური ხსნარებისა და ასეპტიკური წამლის ფორმების მოსამზადებლად და თუ პასუხობს ბრძანება №79-ის მოთხოვნებს.

10. მატერიალურ ფასეულობათა დაცვის პირობები აქვთ თუ არა შუქმშოვანი სიგნალიზაცია, საგდულები, რკინის გისოსები. წესრიგშია თუ არა ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი და საშუალებები.

11. დაკომპლექტებულია თუ არა „პირველი დახმარების“ კარადა დამტკიცებული სიის შესაბამისად.

12. აფთიაქი უზრუნველყოფილია თუ არა ავეჯით, ინვენტარ-მოწყობილობებით, ბიურეტული სისტემით და მათი სამუშაო მდგომარეობა.

13. უზრუნველყოფილია თუ არა აფთიაქი ფარმაცევტული ცნობიერებითა და ლიტერატურით, აქვს თუ არა ძირითადი სახელმძღვანელო ბრძანებები და ინსტრუქციები და იცნობენ თუ არა მათ აფთიაქის თანამშრომლები.

14. ხალათებით, პირსახოცებით, ჩაჩებით (ან თავსაფრებით) უზრუნველყოფა. როგორ გამოიყურება პერსონალი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მხრივ.

15. ტექნიკის უსაფრთხოების წესების დაცვა, არის თუ არა ბრძანებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი. აქვთ თუ არა აპარატურასთან გამოკრული ინსტრუქციები მუშაობის რეჟიმის შესახებ.

16. ფარმაცევტული პერსონალის სამუშაო ადგილების სწორი ორგანიზაცია. საწარმოო პერსონალს აქვს თუ არა საკ-

ვების მისაღები ადგილი. როგორ არის მოწყობილი დასასვენებელი კუთხე, გასახდელი. ხომ არ აწყვია საწარმო მიზნებისათვის საჭირო ნივთები ან მედიკამენტები დერეფანში, გასახდელში, მოსაცდელ ოთახში.

17. როგორ სრულდება სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1957 წლის №79 და 1962 წლის №573 ბრძანებები. აფთიაქის საწარმოო ფართობის, ეზოსა და მომიჯნავე ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობა. ტარდება თუ არა სანიტარული დღე აფთიაქში.

18. რა დონეზეა სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა. არის თუ არა პლაკატები, სტენდები, ლიტერატურა. აქვთ თუ არა კითხვა-პასუხის დაფა.

19. მორიგე აფთიაქებში ღამის მორიგეს აქვს თუ არა მედსაქონელი და ავადმყოფის მოსავლელი საგნები სიის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია და შეთანხმებულია ადგილობრივ ჯანდაცვის ორგანოსთან. აღინიშნოს ღამის მორიგის სამედიცინო ჟანგბადით და ბალიშებით მომარაგების შესახებ.

ფარმაცევტული ნაწარმი

მედსაქონლის შენახვა

1. განლაგებულია თუ არა მედსაქონელი ჯგუფობრივად („ა“ და „ბ“ ჯგუფი). მათი ფიზიკო-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით (ცეცხლსაშიში, სუნის მიმცემი და შემღებავი, სინათლისადმი მგრძობიარე, აქროლადი, სინამის ადვილად ამთვისებელი მედიკამენტები, თერმოლაბილურები და სხვა პრეპარატები, რომლებიც საჭიროებენ შენახვის განსაკუთრებულ ტემპერატურულ რეჟიმს).

2. დაცულია თუ არა სამკურნალო მცენარეული ნედლეულის, სადეზინფექციო საშუალებების, რეზინის ნაწარმის,

შესახვევი საშუალებებისა და დამხმარე მასალების, სამედიცინო წურბლების, სამედიცინო ტექნიკის ნაწარმისა და პლასტიკის ნაწარმის შენახვის პირობები.

3. შექმნილია თუ არა შესაფერისი პირობები თერმობილური პრეპარატების შესანახად. ამ მიზნით გააჩნიათ თუ არა საჭირო რაოდენობით მაცივარ-დანადგარები და სწორად სწარმოებს თუ არა მაცივრებში ტემპერატურული რეჟიმის დაცვა და მისი აღრიცხვა.

4. სწარმოებს თუ არა ცეცხლსაშიში და ადვილადფეთქებადი ნივთიერებების შენახვა სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1981 წლის 15 მაისის №520 ბრძანების შესაბამისად. მოთავსებულია თუ არა ასეთი ნივთიერებები სარდაფებში ან ცეცხლგამძლე კარაღებში (ნებადართულია 5-6 კატეგორიის აფთიაქებში) ყურადღება გამახვილდეს ჟანგბადის ბალონების შენახვაზე.

5. არის თუ არა აღნიშნული პროცენტი ჭურჭლებზე, რომლებშიაც ჩასხმულია ადვილად ფუჭებადი ნაყენები და ჰიგროსკოპიული პრეპარატები (პერჰიდროლი, მალილმჟავა, ფორმალინი, იოდის სპირტიანი ხსნარი, ნატრიუმის ბრომიდი გლუკოზა, კალციუმის ქლორიდი, ნატრიუმის ქლორიდი და სხვა). ნიშადურის ანისულიანი წვეთები.

6. როგორ ინახება სტერილური ხსნარების მოსამზადებელი ფხვნილები და აქვთ თუ არა ანალიზი ქიმიურ სიწმინდეზე. სამკურნალო ნედლეულის შტანგლასებზე არის თუ არა აღნიშნული სერია და ანალიზის ნომრები.

7. დაცულია თუ არა ვარგისიანობის ვადები. ადგილი ხომ არ აქვს ვადაგასული ან ხმარებისათვის უვარგისი მედიკამენტების არსებობას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოკლევადიანი პრეპარატების ვარგისიანობის ვადების დაცვას, წარმოებს თუ არა მათი აღრიცხვა. გაფუთვებზე არის თუ არა აღნიშნული უვარგისიანობის ვადების გაგრძელებაზე.

8. შემოწმდეს შხამების, ნარკოტიკებისა და სპირტის შენახვა სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს №523, 1311 და 675 ბრძანების შესაბამისად.

ამოსაკრეფი მედსაქონლის აღრიცხვა და გაცემა

9. სწარმოებს თუ არა შხამ-ნარკოტიკების, სპირტისა და საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას დაქვემდებარებული მედიკამენტების აღრიცხვა დამტკიცებული ფორმის ჟურნალებში. სწარმოებს თუ არა აღნიშნული სახის მედიკამენტების ყოველდღიური ამოკრეფა ჟურნალში.

10. აწარმოებს თუ არა აფთიაქის გამგე შხამებისა და ნარკოტიკების ყოველთვიურ შემოწმებას აღრიცხვის მიხედვით და თუ დგება შედარებითი უწყისი (იხ. დანართი №1).

11. იცავენ თუ არა შხამ-ნარკოტიკებისა და სპირტის გაცემის წესებს სამკურნალო დაწესებულებებზე და ინდივიდუალური რეცეპტებით როგორაა გაფორმებული მოთხოვნილებები და რეცეპტები სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს №523, 675 და 1311 ბრძანების შესაბამისად.

12. ინდივიდუალური რეცეპტებით სუფთა სახის გაცემული სპირტი ტარდება თუ არა ლაბორატორიულ სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალში (ფორმა №2 აკ) და წარმოქმნილი ფასთასხვაობის ყოველთვიური აღრიცხვა ბუღალტრულად.

13. ამოსაკრეფი დეფიციტური და სპეციფიკური მედიკამენტების გაცემის წესები. როგორ სრულდება ამ მიმართებით №175 ბრძანება.

დესტილირებაულ-აპიროგენული წყლის მიღება და შენახვა

14. როგორ სრულდება სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1962 წლის 30 ნოემბრის №573 ბრძანება აპიროგენული (დესტილირებული) წყლის მიღებისას. წყლის გამოსახდელი აპარატის წარმადობა აკმაყოფილებს თუ არა ავთიაქის მოთხოვნებს.

15. სად და როგორ ინახება გამოხდილი წყლის მარაგი და რა ხნით. არის თუ არა ჭურჭელზე გამოხდის თარიღი და ანალიზის ნომერი.

16. გამოხდილი (აპიროგენული) წყლის მიღების ირგვლივ არის თუ არა ანტიმიკრობული დაცვა.

17. როგორი მეთოდით წარმოებს გამოხდილი (აპიროგენული) წყლის ხარისხის შემოწმება. აქვთ თუ არა წყლის ანალიზისათვის აუცილებელი რეაქტივები.

საინექციო ხსნარებისა და თვალის წვეთების მომზადება

18. ასეპტიკური ბლოკი, მისი გამართულება, პასუხობს თუ არა მოთხოვნებს. უზრუნველყოფილია თუ არა ბოქსში ჰაერის ბაქტერიოციდული სანაცია.

19. საინექციო ხსნარების მომზადებისას სწორად წარმოებს თუ არა ჭურჭლის, დამხმარე მასალის, პრეპარატების სტერილიზაცია. მათი შენახვის პირობები და სტერილურობის ხარისხი.

20. მზადდება თუ არა თვალის წვეთები ბოქსში ასეპტიკური წესების სრული დაცვით. ასეპტიკურ პირობებში მომუშავეები მუშაობენ თუ არა სტერილურ ხალათებში, ჩაჩებში და ლასტებში პირცხვირზე დოლბანდით. ხელებს დაბანის შემდეგ იმშრალევენ თუ არა სტერილური პირსახოცით.

21. სრულდება თუ არა საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის მიერ მიცემული რეკომენდაციები და წინადადებები საინექციო ხსნარებისა და თვალის წვეთების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე.

ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადება, გაფორმება, შენახვა და გაცემა

22. წყლიანი გამონაცემების, მონახარშების, თვალის მალამოებისა და სხვა სამკურნალწამლო ფორმების მომზადების სისწორე 10 სახელმწიფო ფარმაცოპიის მიხედვით. სწარმოებს თუ არა ბიურეტული დანადგარების გამოყენება სითხოვანი წამლის ფორმების მომზადებისას. გარდა ამისა ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადებისათვის რა მექანიზაციაა დანერგილი.

23. რა ვადებში სწარმოებს ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადება (აღინიშნოს კონკრეტულად) რა ღონისძიებები ტარდება წამლების მომზადების დროის შესამცირებლად.

24. იცავენ თუ არა ექსტემპორალურად მომზადებული წამლების შენახვის ვადებს, ასევე კონცენტრატებისა და ნახევარფაბრიკატების შენახვის ვადებს.

25. როგორ ფორმდება ექსტემპორალურად მომზადებული წამლის ფორმები. აქვთ თუ არა საკმარისი რაოდენობით ეტიკეტები, სიგნატურები და სხვა სახის დამხმარე მასალები.

26. შესწავლილია თუ არა აფთიაქის მიერ სამოქმედო მიკროუბნის რეცეპტურა. რომლის მიხედვით ხდება თუ არა მედიკამენტების წინასწარი დაფასოება დამზადება, შემოწმების დღეს რამდენიმე დასახელების მედსაქონელი იყო აფთიაქში დაფასოებული, გაფორმებულია თუ არა ყველა სავალდებულო რეკვიზიტების შევსებით.

27. საფასო-ლაბორატორიულ სამუშაოთა ტარება შესაბამისი ფორმის ჟურნალებში (ფორმა №11) ფასთაწარმოქმნა და ფასთა-სხვაობის ყოველთვიური აღრიცხვა.

28. რამდენ პროცენტს შეადგენს ექსტემპორალური რეცეპტურა საერთო საქონელბრუნვაში და რა ღონისძიებები ტარდება მზა ფორმების გაზრდისათვის.

29. სააფთიაქო ჭურჭლების (მათ შორის ხმარებაში ნამყოფი) დამუშავების სისწორე, მათი რეცხვა, შრობა, სტერილიზაცია, სუფთა ჭურჭლის შენახვის პირობები.

30. შიგა სააფთიაქო კონტროლი არის თუ არა საკონტროლო ანალიზური მაგიდა (კაბინეტი) აქვთ თუ არა ყველა საჭირო ხელსაწყოები და რეაქტივები.

31. უკეთდება თუ არა კონცენტრატებსა და ნახევარფაბრიკატებს ანალიზი მათზე სერიისა და დამზადების თარიღის აღნიშვნა.

32. აქვთ თუ არა აფთიაქს ხსნადობის, სტერილიზაციის, უმაღლესი ერთჯერადი და სადღეღამისო დოზები (შხამებისა და ძლიერმოქმედებისათვის) ცხრილები, შეუთავსებლობათა ცხრილი და ძირითადი წესები ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ.

33. შიგა სააფთიაქო კონტროლი გამოვლენილი უხეში შეცდომები და წუნი. მათი აღრიცხვა ცალკე ჟურნალში წუნის მომზადებლის მიმართ რა ზომებს ღებულობს აფთიაქის ადმინისტრაცია. იცავენ თუ არა წამლების საანალიზოდ ამოღების წესს.

34. გასულ და მ/წამლის განვლილ პერიოდში ადგილზე შიგა სააფთიაქო კონტროლით და საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის მიერ გამოვლინებული წამლის წუნის რაოდენობა წუნის გამომწვევი მიზეზები.

35. ფარმაცევტთა შორის ორგანიზაცია და მექანიზაცია რა სახის რაციონალური წინადადებებია აფთიაქში დანერგილი.

აფთიაქის მომარაგება და მოსახლეობის მომსახურეობა

1. როგორ და რა ვადებში მარაგდება აფთიაქი. სწორად ადგენენ თუ არა წლიურ, კვარტალურ და მიმდინარე განაცხადებს. აქვთ თუ არა საწყობში გაგზავნილ მიმდინარე და კვარტალურ მოთხოვნილებათა ასლები და თუ უკეთდება კორექტირება მედსაქონლის მიღების შემდეგ.

2. აქვს თუ არა აფთიაქს მედიკამენტების მარაგის სავალდებულო ასორტიმენტი სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1982 წლის 25 თებერვლის №175 ბრძანების დანართი №6 მიხედვით.

3. დაცულია თუ არა ურეცეპტოდ გასაცემი მედსაქონლის ასორტიმენტი სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1982 წლის 25 თებერვლის №175 ბრძანების დანართი №4 მიხედვით მათ შორის რა დასახელების მედსაქონელი არ არის აფთიაქში, რომელიც ფართო მოხმარების საშუალებად ითვლება. ჩამოთვლილ იქნას 15 მდე დასახელების ასეთი ხშირად გამოსაყენებელი სამკურნალო საშუალება.

4. ყეთილმოწყობილია თუ არა ვიტრინა. გამოფენილია თუ არა მასში ყველა სახის მზა სამკურნალო საშუალებები №175 ბრძანებიდან გამომდინარე, რომელიც გაცემული უნდა იქნას ურეცეპტოდ ვიტრინაში გამოფენილ მედიკამენტებზე არის თუ არა იარლიკები დასახელებისა და ფასების ჩვენებით.

5. სწარმოებს თუ არა ყოველდღიურად სპეციალურ ჟურნალებში მედსაქონლის დეფექტურის აღრიცხვა (ფორმა №1 და №2) მოიყვანეთ 10-მდე დასახელების დეფექტურაზე არსებული მედიკამენტი. რა ვადებში ხორციელდება მათი შემოზიდვა. მდგრადი დეფექტურა და მისი წარმოშობის მიზეზები.

6. არის თუ არა აფთიაქში ზენორმატიული ნაშთი. ჩაწოლილი მედსაქონლის და მათი წარმოშობის მიზეზები. რეგუ-

ლარულად ადგენს თუ არა აფთიაქი ჭარბი მედსაქონლის სი-
ებს სამმართველოში მათი შემდგომი გადანაწილების მიზნ-
ით.

7. აწარმოებს თუ არა აფთიაქი მოსახლეობის მიღებას
და აღრიცხვას წამლების მომსახურეობის საკითხებზე საქ.
სსრ ჯანდაცვის სამინისტროს 1983 წლის 21 ივნისის №442 (ო
ბრძანებით მოქმედებაში შესული ინსტრუქციულ მეთოდუ-
რი მითითებების „ამბულატორიული ავადმყოფების წამალ-
თა ხმარების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ საქ. სსრ
ჯანდაცვის სამინისტროს სააფთიაქო დაწესებულებების მი-
ერ“ შესაბამისად.

8. ფასების პოლიტიკის დაცვა. ამ მიზნით შემოწმდეს
შერჩევით რეცეპტებისა და მოთხოვნილებების დანიხვრის
სისწორე, პრეისკურანტების არსებობა და შეტანილია თუ არა
მასში ცვლილებები. დროულად და სწორად წარმოებს თუ
არა გადაფასება და ასეთი ფორმდება თუ არა დადგენილი
ფორმის აქტით.

9. როგორ სრულდება სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინის-
ტროს 1982 წლის 25 თებერვლის №175 ბრძანება რეცეპტების
გამოწერის, გაფორმებისა და წამლების გაცემის წესების დაც-
ვაზე. აღირიცხება თუ არა არასწორად გამოწერილი რეცეპტე-
ბი და გატარებული ღონისძიებანი.

10. შეღავათიანი და უფასო რეცეპტებით წამლების გაშვე-
ბის სისწორე. სამამულო ომის ინვალიდებზე მომსახურება.

11. იცავს თუ არა აფთიაქი სეზონური მედსაქონლის მა-
რაგის ნორმატივებს. რა სამუშაო ტარდება აფთიაქში მედსა-
ქონლის მოძრაობის კონიუქტურის შესასწავლად.

12. შემოწმდეს დასაბუთებული და დაუსაბუთებელი უა-
რისთქმა. ხომ არ არის უჯრებში და კარადებში დეფიციტური
მედსაქონელი გადანახული და რომ არ აქვს ადგილი მის გა-
ცემას მხოლოდ აფთიაქის გამგის ან მოადგილის მიერ.

13. ხომ არ არის მომსვლელთა რიგები აფთიაქში და რა არის ამის ხელისშემწყობი მიზეზები.

14. მოსახლეობის მომსახურეობის რა პროგრესული მეთოდი დანერგა აფთიაქმა უკანასკნელ წლებში.

15. წამალმომსახურეობის საკითხი საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა წარმოების პერიოდში. გასვლითი ვაჭრობის ორგანიზაცია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში. 2-ე ჯგუფის სააფთიაქო პუნქტების როლი ამ საქმეში.

16. რაციონტრალურ აფთიაქებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დაქვემდებარებული ობიექტების მონარაგებაზე, მათი ადმინისტრაციული, სამეურნეო, ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობის დონეზე, მაკონტროლებელი ფუნქციების შესრულების ხარისხზე.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დანახარებების მომარაგება

1. ჩამოთვალოს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, რომლებიც მარაგდებიან აფთიაქიდან.

2. გასინჯული იქნას საავადმყოფოების მოთხოვნილება და მათი დაკმაყოფილების დონე. აქვს თუ არა ადგილი დაუსაბუთებელ უარის თქმას. შეკვეთების შესრულების ვადები.

3. უწერს თუ არა აფთიაქი ფაქტურებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებების მედსაქონლის გაცემისას, მოთხოვნილებებსა და ფაქტურებში დანიხვრის სისწორე. იწერება თუ არა ლათინურად სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მოთხოვნილებები აფთიაქიდან შხამნარკოტიკული ნივთიერებებისა და ეთილის სპირტის შემცველ სამკურნალოწამლო საშუალებებზე. ასეთი მოთხოვნილებები გაფორმებულია თუ არა შტამპით, ბეჭედითა და დაწე-

სებულებების ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის ხელწერებით.

4. თანახმად სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1976 წლის 23 აპრილის №411 ბრძანებისა, ამოწმებს თუ არა აფთიაქი მომარაგებაზე მყოფ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, მათ განყოფილებებსა და კაბინეტებს მედიკამენტების შენახვის წესების დაცვაზე, ასევე შხამ-ნარკოტიკების, მწვავე დეფიციტური მედსაქონლის, სპირტისა და შესახვევი მასალის აღრიცხვა-ხარჯვაზე.

5. აწვდის თუ არა აფთიაქი მომარაგებაზე მყოფი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ექიმებს რეგულარულად ინფორმაციებს ახლადშემოსული პრეპარატების შესახებ, აფთიაქში დროებით არ არსებული და მათი ანალოგიური მედიკამენტების შესახებ. ასევე აწვდის თუ არა ანოტაციებს ახალ სამკურნალო საშუალებებზე. ესწრება თუ არა აფთიაქის წარმომადგენელი ექიმთა ყოველკვირეულ დილის თათბირებს.

6. როგორ წარმოებს მომარაგებაზე მყოფი სამკურნალო დაწესებულებების ბიუჯეტურ ასიგნობათა ხარჯვაზე კონტროლი.

სააფთიაქო მაღაზიების, სააფთიაქო პუნქტებისა და კიოსკების მუშაობა

1. აღინიშნოს აფთიაქის მომარაგებაზე მყოფი სააფთიაქო პუნქტები და კიოსკები. 1 კატეგორიის სააფთიაქო პუნქტი მარაგდება თუ არა აფთიაქიდან იმ ნომენკლატურით, რომელიც შეესაბამება 7-8 ჯგუფის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი აფთიაქებისათვის განსაზღვრული მედიკამენტების ჩამონათვალს.

2. ლებულობს თუ არა 2 ჯგუფის სააფთიაქო პუნქტი აფთიაქიდან მედიკამენტებს „ექიმის რეცეპტის გარეშე გაცემაზე

ნებადართული სამკურნალწამლო საშუალებების სიის“ შესაბამისად და შხამიანი და ძლიერმოქმედი სამკურნალო ნივთიერებების შემცველ მედიკამენტებს სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1982 წლის 25 თებერვლის №175 ბრძანების №3 დანართის მე-12 პუნქტის შესაბამისად.

3. 1 კატეგორიის სააფთიაქო პუნქტის კვარტალური და წლიური საქონელბრუნვის გეგმა დამტკიცებულია თუ არა იმ აფთიაქის მიერ, რომელზედაც მიმაგრებულია სააფთიაქო პუნქტი.

4. აქვთ თუ არა ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე 1 და 2 კატეგორიის სააფთიაქო პუნქტების გამგეების იმ აფთიაქის გამგესთან, რომელზედაც მიმაგრებული არიან მომარაგებაზე.

5. 1 და 2 კატეგორიის სააფთიაქო პუნქტები ნავაჭრს ყოველდღიურად აბარებენ და თუ არა აფთიაქს ან შემნახველ სალაროს აფთიაქის ანგარიშზე.

6. სააფთიაქო მაღაზიების მომარაგება ნავაჭრი თანხის აღრიცხვა და ყოველდღიურად ჩაბარება სამმართველოს ანგარიშზე. ადგილი რომ არა აქვს მაღაზიაში ისეთი მედიკამენტების შემოზიდვას, რომლებიც გაიცემიან მხოლოდ ექიმის რეცეპტით. მედიკამენტების შენახვის წესების დაცვა. ფასების პოლიტიკა და ვაჭრობის წესების დაცვა.

7. აბარებს თუ არა კიოსკი ნავაჭრ თანხას ყოველდღიურად აფთიაქს კიოსკში მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მდგომარეობა. კიოსკის რენტაბელობა და ადგილმდებარეობის მოხერხებულობა. როგორი კონტროლი აქვს დაწესებული აფთიაქს კიოსკის მუშაობაზე.

აფთიაქის შტაბი და კადრები

1. დაკომპლექტებულია თუ არა აფთიაქი საშტატო განრიგით. აქვთ თუ არა თანამშრომლებს გავლილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. რა სამუშაოები ტარდება თანამშრომლებთან იდეურ-პოლიტიკური და სპეციალური ცოდნის დონის ასამაღლებლად. რამდენ პროვიზორს არ გაუვლია ატესტაცია ცოდნისა და პრაქტიკული ჩვენების შესამოწმებლად.

2. ტარდება თუ არა საწარმოო თათბირები ტექნიკური შემსწავლელი წრის სხდომებში, განხილული საკითხები, მოქმედების გაფორმება, მიღებული ღონისძიებანი და მისი შესრულების შემოწმება. ბრძანების წიგნის შემოწმება. საწარმოო, შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დაცვა.

3. რა სახის დისციპლინარული სასჯელებია გატარებული და ვისზედ.

4. არის თუ არა გაფორმებული კოლექტიური და აფთიაქშიგა ინდივიდუალური სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები, გამოჰყავით თუ არა შედეგები ყოველდღიურად ინდივიდუალური და კვარტალში ერთხელ კოლექტიური სოცშეჯიბრებისა. აქვთ თუ არა აღებული გადადებული სოცვალდებულებები და მათი შესრულების მიმდინარეობა.

5. როგორ მონაწილეობენ კადრები ფარმაცევტული სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში. რამდენი კაცია გაერთიანებული და რა სახის თემებია წაკითხული სხდომაზე. არის თუ არა გაკეთებული დასაწინაურებელ მუშაკთა სარეზერვო სია.

6. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის (შმო) ჯგუფის არსებობა. აქვს თუ არა სამუშაო გეგმა დამტკიცებული მცირე მექანიზაციის დანერგვა, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლა. სპეციალისტთა სამუშაო ადგილების სწორი ორგანიზაცია. მომსახურეობის რა პროგრესული მეთოდები დანერგა შმო-ის ჯგუფმა.

7. გაშლილია თუ არა აფთიაქში დამრიგებლობა მისი ეფექტურობა და ხარისხი.

8. სწარმოებს თუ არა თანამშრომელთა მიერ სახელმძღვანელო ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესწავლა მოხდეს ცალკეულ მუშაკებთან გასაუბრება.

9. არის თუ არა გამოკრული შინაგანაწესი, სდგება თუ არა ტაბული. აქვთ თუ არა სამუშაო გრაფიკი ცვლაში მუშაობის აღნიშვნით დამტკიცებული აფთიაქის გამგის მიერ და შეთანხმებული პროფკომიტეტთან. აქვთ თუ არა ასეთივე წესით დამტკიცებული მუშაკთა შვებულების გრაფიკი.

10. არის თუ არა გაშლილი მოძრაობა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოსაპოვებლად. რამდენიმე კომუნისტური შრომის დამკვერელი ჰყავს. აფთიაქი ჩაბმულია თუ არა საზოგადოებრივ დათვალიერებაში.

11. კედლის გაზეთის გამოშვების საქმიანობა. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გამლა გაზეთის ფურცლებზე.

12. თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების წევრობა. შემოწმდეს სანიტარული წიგნაკების არსებობა.

აფთიაქის ორგანიზაციულ-მეთოდური და საინფორმაციო მუშაობა

1. აქვს თუ არა აფთიაქს ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმა და როგორ სრულდება იგი.

2. თანახმად №175 ბრძანებისა, აფთიაქის ხელმძღვანელობა წელიწადში არანაკლებ ორჯერ აკეთებს თუ არა მოსახლეობის წინაშე ანგარიშს წამალთ-დახმარების საკითხებზე და წლის ბოლოს უდგენს თუ არა სამმართველოს ინფორმაციას ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. ქალაქის აფთიაქს თუ აქვს აღებული შეფობა სოფლის აფთიაქზე აღინიშნოს. რა კონკრეტულ დახმარებას უწევს.

4. ცენტრალური რაიონული აფთიაქების შემოწმებისას ყურადღება გამახვილდეს შემდეგებზე.

4.1 უწევს თუ არა ც/რ აფთიაქი ორგანიზაციულ-მეთოდურ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას საჭირო დონეზე დაქვემდებარებულ სააფთიაქო დაწესებულებებს.

4.2 ატარებს თუ არა ც/რ აფთიაქი თათბირებს სააფთიაქო და სამკურნალწამლო-პროფილაქტიკური დაწესებულებებს ხელმძღვანელებთან მოსახლეობის წამალთდახმარების საკითხებზე.

4.3 ატარებს თუ არა საინფორმაციო სამუშაოებს სააფთიაქო და მედიცინის მუშაკთათვის მომარაგების პერსპექტივებში. მედიკამენტების მარაგისა და მიღების შესახებ, ახალ სამკურნალწამლო პრეპარატებზე. მოსახლეობას შორის სანიტარულ საგანმანათლებლო სამუშაოებს.

4.4 ც/რ აფთიაქი რეგულარულად ღებულობს თუ არა საინფორმაციო წერილებს, მთ.ს.ს. ბრძანებებს და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებს, ამრავლებს თუ არა ასეთს და უზრუნველყოფს თუ არა დაქვემდებარებულ ობიექტებს.

5. ატარებს თუ არა აფთიაქი საინფორმაციო სამუშაოებს მომარაგებაზე მყოფ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და მოსახლეობაში.

6. აღინიშნოს ცნობათა ბიუროს მუშაობის შესახებ (აფთიაქებში სადაც არის).

7. საინფორმაციო კაბინეტების მუშაობა. აღჭურვილია თუ არა საინფორმაციო კაბინეტი საჭირო ავეჯით. საცნობარო ლიტერატურითა და საინფორმაციო წერილებით. მისი მუშაობის ხარისხი და ეფექტურობა. როგორი კონტროლი აქვს დაწესებული აფთიაქს საინფორმაციო კაბინეტის მუშაობაზე.

დასკვნები, წინადადებები

შემმოწმებელმა აქტი უნდა გააკეთოს დასკვნები და მისცეს წინადადებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ვადების მიცემით.

შენიშვნა:

ფარმაცევტული საქმიანობის შემოწმების აქტი უნდა დაიწეროს 2 ცალად ასლგადამღები ქაღალდის ქვეშ. პირველ ეგზემპლიარს შემმოწმებელი წარუდგენს განსახილველად შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელს, ხოლო მეორე ეგზემპლიარი რჩება აფთიაქის გამგესთან. შემოწმების აქტი უნდა გაფორმდეს სათანადოდ. (დანართი №2).

*იბეჭდება პირველად (ისტორიზმის თვალსაზრისით
საინტერესოდ მივიჩნით).*

მეთოდური რეკომენდაციები რეგიონალური და შიდა საავადმყოფო ფორმულარული სიხების შედგენის შესახებ კარდიოლოგიური პრაქტიკის მებაღეებზე

მეთოდური რეკომენდაციები განკუთვნილია ჯანდაცვის ორგანიზატორებისათვის (სხვადასხვა დონისა და რანგის), სამკურნალო-პროფილაქტიკური და ფარმაცევტული დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის, კლინიკური ფარმაკოლოგებისა და ფარმაცევტებისათვის, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. აგრეთვე გამოადგებათ ჯანდაცვის მუნიციპალური ფონდებისა და სავალდებულო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მუშაკებს.

შესავალი

ბოლო პერიოდში მედიცინა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკას. მრავალი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა მიზნად ისახავს შეზღუდული ფინანსური რესურსების, რაც შეიძლება ეფექტიანად განაწილებას. ჯანდაცვის ეფექტურობის პრობლემა მოიცავს სამედიცინო, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს.

სამკურნალო საშუალებების მრავალათასიანი ასორტიმენტის არსებობის პირობებში აუცილებელია სამკურნალო საშუალებების შესახებ ხელმისაწვდომი, სარწმუნო და შეუღამაზებელი ინფორმაცია, რომელიც დაფუძნებული იქნება მათი უპირატესი რაციონალური გამოყენების ობიექტურ კლინიკურად დადასტურებულ კრიტერიუმებზე.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ კონკრეტული პაციენტის მკურნალობისათვის საჭირო ყველაზე უფრო აუცილებელი და ეფექტური სამკურნალო საშუალებების შერჩევის უნივერსალური ინსტრუმენტის როლს ასრულებს სამკურნალო საშუალებების ფორმულარული სისტემების დამუშავება.

სამკურნალო საშუალებების ფორმულარების შექმნა ცნობილია უძველესი დროიდან. ჯერ კიდევ ჩინეთში XIII-XIV საუკუნეებში გამოიყენებოდა ე.წ. „ისლამური ფორმულარი“, რომელშიც 517 დასახელების სამკურნალო საშუალება შედიოდა [ონგ. ჩ. ეტ ალ., 1996]. ანალოგიური სიები შემდგომშიც იქმნებოდა [შჰეკჰარდ, 1998].

თანამედროვე პირობებში მრავალჯერ იქნა დამტკიცებული, რომ ფორმულარული შეზღუდვები სახსრების მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა [ჭოოდწარდ ღ. შ. ეტ ალ., 1987; იმმელბერგ ჩ. ჟ. ეტ. ალ., 1991; ეალლა 1996; იამარელლოუ. ეტ ალ., 1997]. ამავე დროს, მნიშვნელოვნად მცირდება ფორმულარიდან ამოღებული პრეპარატების მოხმარება.

გამოკვლევლებით დადასტურებულია, რომ ფორმულარის მნიშვნელობა შესამჩნევად მცირდება, თუ პრეპარატების შესახებ ექიმებისა და ფარმაცევტების ინფორმირება ყველა დონეზე სათანადოდ არაა ორგანიზებული [ჩჰასე შ. ეტ ალ., 1998; უტტერს. ეტ ალ., 1998].

ფორმულარული სისტემა მედიცინის საინფორმაციო-ეკონომიკური და მეთოდოლოგიური დოქტრინაა, რომლის მიზანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურად ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის განვითარება. იგი მკაცრად არეგლამენტირებს სამკურნალო საშუალებების გამოყენებას.

სამკურნალო საშუალებების რეგიონალური და შიდასავადმყოფო ფორმულარების შემუშავება და დანერგვის აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგი პრობლემების არსებობით: თერაპიული ალტერნატივების რიცხვი მუდმივად იზრდება;

სამკურნალო საშუალებების არასწორი დანიშვნა და გამოყენება, ხშირად პოლიპრაგმაზია;

ბაზარზე არაეფექტური, საექვო ხარისხის მქონე პრეპარატების არსებობა, რომელთა უსაფრთხოების შესახებ სარ-

წმუნო, კლინიკურად დადასტურებული და ობიექტური ინფორმაცია არ მოიპოვება;

მრავალი დასახელების სამკურნალო საშუალების შესყიდვაზე, შენახვასა და გაცემაზე დიდი დანახარჯები; როგორც ფედერალური, ისე მუნიციპალური პროგრამების ფინანსირებისათვის საჭირო სახსრების ქრონიკული დეფიციტი, მოსახლეობის დეკრეტირებული ჯგუფების სამკურნალო საშუალებებით უზრუნველსაყოფად გაწეული დანახარჯების კომპენსირების პრობლემები.

ფორმულარის დანერგვა სტაციონარს საშუალებას მისცემს მართოს თერაპიული პროცესები, რათა მიაღწიოს სამკურნალო და ფარმაცოეკონომიკურ ეფექტიანობას, შეამციროს გვერდითი ეფექტების წარმოშობის რისკი, შეამციროს ავადმყოფთა სტაციონარში დაყოვნების ხანგრძლივობა. ფორმულარის გამოყენებით მცირდება საექიმო შეცდომათა და თერაპიულ გართულებათა რიცხვი, იზრდება საავადმყოფოს ბიუჯეტის ეკონომია განმეორებითი ჰოსპიტალიზაციებისა და მედიკამენტური თერაპიის გართულებების მკურნალობაზე ხარჯების შემცირების გზით. ფორმულარულ სიაში პრეპარატების შეტანის მთავარი პრინციპია ღირებულება /ეფექტი ანობის ოპტიმალური თანაფარდობა.

რეგიონალური (ტერიტორიული, რაიონული) ფორმულარის მიზანია შედარებით უფრო გავრცელებული დაავადებების მკურნალობისათვის ყველაზე უფრო ეფექტური წამლების შერჩევის ოპტიმიზაცია რეგიონალურ-ეპიდემიოლოგიური პრინციპებით მათი ღირებულების გათვალისწინებით.

ფორმულარული სისტემა საშუალებას იძლევა გადაწყდეს თერაპიული, ფარმაცევტული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემები. იგი ითვალისწინებს წამალთა რაციონალურ გამოყენებას. პრეპარატების შეზღუდული რაოდენობის ტენდერული (საკონკურსო) შესყიდვები, მუდმივი მიმ-

წოდებლებისაგან ფასდათმობები, სამკურნალო საშუალებების დასახელებათა ნაკლები ნომენკლატურა – ყველაფერი ეს განაპირობებს მათ შენახვასა და ტრანსპორტირებაზე დანახარჯების შემცირებას.

1. ფორმულარული სია და მისი ადგილი ფორმულარულ სისტემაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა მრავალრიცხოვანი არაკეთილსასურველი ფაქტორებითაა განპირობებული და ბოლო წლების ბუნებრივი, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სოციალური, ორგანიზაციულ-სამეურნეო და ფინანსური ცვლილებების ინტეგრალურ გამოსახულებას წარმოადგენს. ასეთი სიტუაცია მედიკო-დემოგრაფიულ მაჩვენებელზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს.

რეგიონების დონეზე ფარმაცევტული სექტორის განვითარების სტრატეგია მოიცავს ისეთი ამოცანების გადაჭრის აუცილებლობას, როგორცაა:

- რეგიონში შედარებით უფრო გავრცელებული დაავადებების სამკურნალო საშუალებების ფორმულარული სიების შედგენა;

- ფორმულარულ სიაში შეტანილ სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- სამკურნალო საშუალებების დანიშვნისა და გამოყენების შედარებით უფრო ეფექტური ხერხებისა და მეთოდების შექმნა;

- რაციონალური ფარმაცევტული მენეჯმენტის რეგიონალური სისტემის დამუშავება და დანერგვა, რომელიც გაითვალისწინებს სააფთიაქო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფის უფრო საიმედო სისტემას, წამლის ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმებს, რეგიონალური ფორმულარული სისტემის დანერგვის პროცესის

ინფორმაციულ-საგანმანათლებლო უზრუნველყოფის ორგანიზაციას;

– ისეთი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს ფორმულარული სისტემის დამუშავების, დანერგვისა და მუდმივი აქტუალიზაციის რეგლამენტირებას.

ფორმულარული სისტემის შექმნა საბაზრო ურთიერთობების პირობებში, განსაკუთრებით არასაკმარისი ფინანსირებისას, ჯანდაცვის დაწესებულებებისა და ორგანოების, ასევე სხვა სამედიცინო ორგანიზაციების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობაა.

ფორმულარული სისტემა – ეს არის ჯანდაცვაში სტრუქტურებისა და მმართველობითი ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს წამლების მომარაგებისა და გამოყენების რაციონალური (ორგანიზაციულად და ეკონომიკურად ეფექტიანი) მეთოდების გამოყენებას მაქსიმალურად მაღალი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისა და არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით.

ფორმულარული სისტემის მიზანია ფარმაკოთერაპიის ოპტიმიზაცია ანუ მკურნალობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა მედიკამენტური დანახარჯების გათვალისწინებით. იგი ხელს უწყობს პოლიპრაგმაზიის შემცირებას.

ცნობილი სამკურნალო საშუალებების ეფექტიანობისა და უსაფრთხოობის გაანალიზების შემდეგ შეიძლება მათგან შეირჩეს ყველაზე უფრო პერსპექტიული საშუალებები და შედგეს სამკურნალო საშუალებების სარეკომენდაციო ან შემზღლუდავი სიები. ტერმინი „სარეკომენდაციო“ ნიშნავს, რომ ექიმებს რეკომენდაცია ეძლევათ ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოიყენონ სიაში შეტანილი მედიკამენტები. ტერმინი „შემზღლუდავი“ ნიშნავს, რომ ექიმები, რომლებიც სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებს ასრულებენ, ვალდე-

ბულნი არიან გამოიყენონ მხოლოდ ის სამკურნალო საშუალებები, რომლებიც შესულია შემზღუდავ სიაში. სწორედ ასეთ სიას ეწოდება დახურული ფორმულარული სია ან შემოკლებით ფორმულარი. გარდა ამისა არსებობს ღია და წამქეზებელი ფორმულარული სიები.

ღია ფორმულარული სია – ესაა ქვეყანაში ყველა დარეგისტრირებული სამკურნალო საშუალების სია, რომელიც ჩამონათვალის გარდა შეიცავს ექიმებისათვის საჭირო საინფორმაციო მასალებს. ასეთი მიდგომები ექიმებს ხელს უწყობს დამოუკიდებლად ამოირჩიონ აუცილებელი წამლები. ფორმულარული სიების ეს ტიპი ფართოდ გამოიყენება აშშ-ში.

წამქეზებელი ფორმულარული სია - სამკურნალო საშუალებების სიაა, რომელიც შეიცავს მათი ფარმაკოთერაპიული, სამომხმარებლო და სხვა თვისებების შესახებ შედარებით ინფორმაციას, მაგალითად, ეფექტურობის ხარისხის შესახებ, ფასი/ხარისხი ფარდობის შესახებ. ამრიგად, ასეთი სია წააქეზებს (შეაგულიანებს) ექიმს ამოირჩიოს უფრო ეფექტური, უსაფრთხო, იაფი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებები, თუმცა არ ავალდებულებს, რომ ეს გააკეთოს.

მთელ რიგ სამამულო და საზღვარგარეთულ პუბლიკაციებში გვხვდება ტერმინი „ფორმულარი“, მაგრამ ავტორთა ერთი ნაწილი ამ ტერმინში აქსოვს აზრს, რომელიც „ფორმულარული ცნობარის“ ცნებას გამოხატავს, სხვები - „ფორმულარული სიის“ ცნებას. ტერმინ „ფორმულარის“ არაერთგვაროვანი განმარტებების გამო ჩვენ უპირატესად ვიყენებთ კონკრეტულ ცნებებს „ფორმულარული სია“ და „ფორმულარული ცნობარი“, რომელთაც აქვთ კონკრეტული აზრობრივი დატვირთვა.

ამრიგად, ფორმულარული ცნობარი შეიცავს ფორმულარულ სტანდარტებს ფორმულარულ სიაში შემავალ სამკუ-

რნალო საშუალებებზე და კლინიკურად მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციებს. ფორმულარული სიებისა და ფორმულარული ცნობარების ერთობლიობა ფორმულარულ სისტემაში იწოდება.

შეიძლება გამოიყოს ფორმულარული სიების ან ცნობარების შემდეგი ტიპები:

1) კონკრეტული სამკურნალო-სპროფილაქტიკური დაწესებულების ფორმულარული სია ან ფორმულარი. ასეთი ფორმულარული დოკუმენტები ავალდებულებს სამედიცინო პერსონალს მოცემული სამკურნალო დაწესებულების ფარგლებში გამოიყენოს მხოლოდ ის სამკურნალო საშუალებები, რომლებიც შედის ამ დაწესებულების მიერ დამტკიცებულ ფორმულარულ დოკუმენტებში.

2) რეგიონალური ან სამხარეო ფორმულარული სია ან ფორმულარული ცნობარი. ასეთი ფორმულარული დოკუმენტები სავალდებულოა იმ რეგიონის ან მხარის სათვის, სადაც იგი დამტკიცებულია.

3) ეროვნული ფორმულარული სია ან ფორმულარული ცნობარი გათვალისწინებულია ჯანდაცვის სისტემაში ქვეყნის მასშტაბით გამოსაყენებლად.

ფორმულარული სისტემის ფუნქციონირების მთავარი პირობაა - დინამიურობა. მუდმივად უნდა ხდებოდეს ფორმულარული სიებისა და ცნობარების განახლება. ასეთი სამუშაოების ჩატარება ევალება ფორმულარულ კომიტეტს, რომელსაც აქვს მექანიზმები, რათა ამოიღონ ამ დოკუმენტებიდან ესა თუ ის სამკურნალო საშუალება ან დამატებით შეიტანონ მასში.

ფედერალური (ეროვნული) ფორმულარული სისტემების დამუშავების დროს გამოყენებული პრინციპები და მეთოდები განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის ორგანიზაციის სისტემის თავისებურებით. ამის გამო, არ არსებობს მეთოდოლოგია, რომელიც ყველა ქვეყნი-

სათვის ერთნაირად გამოსადეგი იქნება. თუმცა არსებობს საკმაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც ფორმულარული სისტემის დამუშავებისა და დანერგვის პროცესი მოიცავს 4 ეტაპს: ადმინისტრაციული, ფორმულარული სიის დამუშავება, ფორმულარული ცნობარების დამუშავება, ფორმულარული სისტემის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება.

საქართველოში ამჟამად არ მოქმედებს არც ერთი დონის ფორმულარული სისტემა.

1995 წელს გამოიცა ფარმაკოლოგიური ფორმულარი ესენციალური (ძირითადი) სამკურნალო პრეპარატების ნუსხის მიხედვით, რომელიც ფორმულარულ ცნობარს ვერ ცვლის და ამავე დროს მოძველებულია.

წინამდებარე მეთოდური რეკომენდაციები ჩვენ დავამუშავეთ აჭარის რეგიონში მოძიებული მასალების საფუძველზე კარდიოლოგიური პრეპარატების მაგალითზე და მიზნად ისახავს არა ფორმულარული სისტემის მთლიანად, არამედ ფორმულარული სიების შედგენის მეთოდოლოგიის დამუშავებასა და აპრობაციას.

ანალოგიური მეთოდური რეკომენდაციები საქართველოში ადრე არ გამოცემულა.

2. ფორმულარულ-თერაპიული კომიტეტი და მისი ფუნქციები ფორმულარულ-თერაპიული კომიტეტის (ფთკ) მთავარი ამოცანაა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესაბამის დონეებზე სამკურნალო საშუალებათა გამოყენებისა და შესყიდვების მეთოდოლოგიისა და წესების დამუშავება და დანერგვა.

ფთკ-ის ფუნქციებია:

- სამკურნალო საშუალებების ფორმულარული სიის დამუშავება და მისი მუდმივი კორექცია;

- წამლის პოლიტიკის დამუშავება: ფორმულარული და არაფორმულარული სამკურნალო საშუალებების გამო-

ყენების რეგლამენტაცია, თერაპიული და ჯენერიკული შეცვლის წესები, ცალკეული სამკურნალო საშუალებების გამოყენებაზე შეზღუდვების შემოღება;

- სამედიცინო პერსონალისა და ადმინისტრაციის საკონსულტაციო დახმარება სამკურნალო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე;

- სამკურნალო საშუალებების შესახებ ობიექტური და თანამედროვე ინფორმაციით სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფა, შესაძლებლობის შემთხვევაში კი - ფორმულარული ცნობარების დამუშავება და გამოცემა;

- ფორმულარული სიის კორექციის მიზნით სამკურნალო საშუალებების გამოყენებასა და უკუინფორმაციის მიღებაზე კონტროლის უზრუნველყოფა.

რეგიონალური (საოლქო, სამხარეო) ფორმულარული სიის შედგენის დროს ფთვ შემადგენლობაში როგორც წესი, შეჰყავთ:

- 1) სხვადასხვა სამედიცინო სპეციალობების მიხედვით მთავარი (წამყვანი) სპეციალისტები;

- 2) ფარმაცევტული სამსახურის ხელმძღვანელები;

- 3) ჯანდაცვის ორგანიზატორები და მეცნიერები;

- 4) ჯანდაცვის ორგანოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილე.

ფთვ შემადგენლობა პროფესიული თვალსაზრისით უნდა იყოს ბალანსირებული. რიცხობრივად ყველაზე უფრო ოპტიმალურია ფთვ 7-11 ხმის უფლების მქონე წევრის შემადგენლობით.

ფორმულარული სიისათვის სამკურნალო საშუალებების შერჩევისას არაობიექტურობის თავიდან აცილების მიზნით ფთვ წევრებს სამკურნალო პრეპარატების მწარმოებლებთან ან დისტრიბუტორებთან საქმიანი კავშირები არ უნდა ჰქონდეთ.

ფორმულარული სისტემის დანერგვის პროცესში აუცილებელია ამ სისტემის დანერგვის წესებისა და მეთოდოლოგიის დამუშავება და სამკურნალო საშუალებების გამოყენების რეგლამენტაცია. ასეთი ღონისძიება ხელს უწყობს:


1) ფორმულარული სისტემის დანერგვის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას;

2) ფორმულარული სისტემის დანერგვის პროცესის დაგეგმარებასა და სტრუქტურირებას;

3) ფთკ-ის უფლებების რეალიზაციას, რათა მან შეძლოს სამედიცინო პრესონალისაგან ოფიციალურად მოითხოვოს თავისი გადაწყვეტილებების შესრულება.

**რეგიონალური და შიდასაავადმყოფო ფორმულარული
სიის შედგენის ძირითადი
ეტაპები**

რეგიონალური და შიდასაავადმყოფო ფორმულარული სიის შედგენის ჩვენს მიერ დამუშავებული ალგორითმი ასახულია ბლოკ-სქემაზე №1.



ბლოკ-სქემა №1
რეგიონალური და შიდასაავადმყოფო ფორმალური
სიხის შედგენის ეტაპები

სამკურნალო საშუალებათა კლასიფიკაციის ტიპის დამუშავება ან შერჩევა. ფორმულარული სიის დამუშავების ბლოკ-სქემიდან ჩანს, რომ ფორმულარის დამუშავება იწყება სამკურნალო საშუალებების კლასიფიკაციის მისაღები ტიპის დამუშავებით ან შერჩევით. არსებობს ოთხი ძირითადი საკლასიფიკაციო ტიპი:

1. ანატომიურ-ნოზოლოგიური პრინციპით (სამკურნალო საშუალებები, რომლებიც მოქმედებენ საყრდენ მამოძრავებელ აპარატზე, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, გამოიყენებიან ინფექციების სამკურნალოდ და ა.შ.)

2. თერაპიული გამოყენების მიხედვით (მაგალითად, ანალგეტიკები, ანტაგონისტები, ჰიპოტენზიური საშუალებები და ა.შ.);

3. ფარმაკოლოგიური მოქმედების მიხედვით (ანტიკოაგულანტები, დიურეზული საშუალებები, ვაზოდilatატორები და ა.შ.);

4. ქიმიური აღნაგობის მიხედვით (მაგალითად ალკალოიდები, საგულე გლიკოზიდები, სტეროიდული საშუალებები).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ მოწოდებულია სამკურნალო საშუალებების ATC (*Anatomical-Therapeutic-Chemical*-ანატომიურ-თერაპიულ-ქიმიური) კლასიფიკაცია. რომლის თანახმადაც ყოველ პრეპარატს ენიჭება შვიდნიშნა კოდი, რომელიც 5 დონისაგან შედგება. მაგალითად, ნიტროგლიცერინის კოდია

C 01 D A 02.
I II III IV V

პირველი დონე ანუ პირველი ნიშანი (ლათინური ასო) მიუთითებს დაავადების სფეროს, რომელშიც გამოიყენება კონ-

კრეტული მოქმედი ნივთიერების პრეპარატები (ჩვენს შემთხვევაში ჩ-გულ-სისხლძარღვთა სისტემა).

მეორე დონე – მეორე და მესამე ნიშანია (არაბული ციფრები), რომელიც მიუთითებს ძირითად თერაპიულ ჯგუფს (ჩვენს შემთხვევაში 01-პრეპარატები გულის დაავადებების მკურნალობისათვის);

მე-3 დონეა მეოთხე ნიშანი (ლათინური ასო), რომელიც მიუთითებს თერაპიულ ქვეჯგუფს (D-პერიფერიული ვაზო-დილატატორები გულის დაავადებების მკურნალობისათვის);

მე-4 დონეა მეხუთე ნიშანი (ლათინური ასო) - თერაპიულ-ქიმიური ჯგუფი (A-ორგანული ნიტრატები);

მე-5 დონეა - მეექვსე და მე-7 ნიშანი (არაბული ციფრები), - მოქმედი ნივთიერების დასახელება (ჩვენს შემთხვევაში 02-გლიცეროილტრინიტრეტი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებას უფლება აქვს (ან შეუძლია) დაამუშაოს კლასიფიკაციის საკუთარი ტიპი არსებული ძირითადი სისტემების კომბინირების საფუძველზე, მაგ., ფარმაცოთერაპია, ანატომიურ-თერაპიული, თერაპიულ-ქიმიური და სხვა.

მონაცემების შეკრება. ამ ეტაპზე წარმოებს ანალიზის მიზნით საჭირო ინფორმაციის შეკრება, კერძოდ, წლის განმავლობაში დაავადებიაზობისა და პაციენტების კატეგორიების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეკრება, ასევე წლის განმავლობაში გახარჯული (რეალიზებული) სამურნალო საშუალებების შესახებ ინფორმაცია.

ფორმულარული სიისათვის მედიკამენტების შერჩევითი სამუშაოების დაწყებამდე ფორმულარულ-თერაპიულმა კომიტეტმა აუცილებლად უნდა შეკრიბოს და გააანალიზოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მონაცემები დაავადებიაზობის სტრუქტურის შესახებ. რეგიონალური ფორმულარული სია უნდა შეესაბამებოდეს

მომსახურებაზე მყოფ რეგიონში დაავადებია-ნობის სტრუქტურას. ასეთი ანალიზის შედეგად უნდა შედგეს ძირითადი ნოზოლოგიების სია და გამოვლინდეს თითოეული ნოზოლოგიების მიხედვით ჰოსპიტალიზაციების შემთხვევების რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ბ) სამკურნალო საშუალებების არსებობის შესახებ ინფორმაცია. ფთვ თავისი ფორმულარული სისათვის სწორად ვერ არჩევს სამკურნალო საშუალებებს სათანადო სარწმუნო ინფორმაციის გარეშე, რომელზე დაყრდნობითაც ხმარებიდან უნდა იქნეს ამოღებული საექვო ეფექტიანობის სამკურნალო საშუალებები.

სამკურნალო დაწესებულებებმა, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება მათთან ფორმულარული სისტემის დანერგვის შესახებ, წინასწარგანზრახულობის გარეშე უნდა შეაფასონ სამკურნალო საშუალებების შესახებ მათ ხელთ არსებული ლიტერატურა და სხვა ობიექტური წყაროები.

გ) წინა წელს რეგიონში (ან მოცემულ კონკრეტულ დაწესებულებაში) შესყიდული და გამოყენებული სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალი.

რეგიონალურ ფთვ-ს ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს რეგიონალური ფარმაცევტული საბითუმო ბაზებიდან, ხოლო საავადმყოფოს შემთხვევაში - მისი აფთიაქის ან შესყიდვების განყოფილებისაგან. სასურველია აღებული იქნეს წინა სრული ერთი წელი, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იქნეს სეზონური გადახრები და თავიდან ავიცილოთ ინფორმაციის დამახინჯება. ანალიზის ჩასატარებლად აუცილებელია: სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა, წამლის ფორმა, შესასყიდი საბითუმო ფასი და საკვლევ პერიოდში გამოყენებული რაოდენობა.

დაავადებიანობის სტრუქტურის ანალიზი და სამკურნალო საშუალებათა გამოყენების შეფასება. დაავადებიანობის სტრუქტურის ანალიზის გზით დგინდება დაკმაყოფილებუ-

ლია თუ არა პაციენტების თერაპიული მოთხოვნილება და სწორად წარმოებს თუ არა სამკურნალო საშუალებების შესყიდვები და გამოყენება. ანალიზის ჩატარებისათვის აუცილებელია ხელთ გვქონდეს ზუსტი მონაცემები დაავადებია-ნობის სტრუქტურის შესახებ. ანალიზი ტარდება შემდეგნაირად:

დაავადებიანობის შესახებ არსებულ მონაცემებს (იდეალურ შემთხვევაში 50 ძირითადი ნოზოლოგია) განალაგებენ შემთხვევათა რიცხვის კლების თანმიმდევრობით. ამ ინფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამკურნალო საშუალებათა ჯგუფების ანალიზის დროს პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით.

განსაზღვრავენ დაავადებათა საერთო რიცხვში თითოეული ნოზოლოგიის პროცენტს (ანუ ხვედრით წილს). იმ დაავადებებს, რომლებიც არ საჭიროებენ წამლით მკურნალობას, არ განიხილავენ.

წამლის მოხმარების (ან საავადმყოფოში შესყიდვების) შესახებ მონაცემებზე დაყრდნობით აარჩევენ იმ სამკურნალო საშუალებებს (ასევე მონაცემებს მათი ღირებულების შესახებ), რომლებიც გამოყენებული იყო ძირითადი ნოზოლოგიების მკურნალობისას. ღირებულებაზე დაყრდნობით გამოითვლიან პროცენტს საკვლევ პერიოდში შესყიდული წამლების საერთო დანახარჯებთან მიმართებაში.

მას შემდეგ, რაც ფთკ ასეთი ანალიზის მეშვეობით გამოკვეთს დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აუცილებელია დადგინდეს, თუ კონკრეტულად რომელი საშუალებები მოიხმარება რეგიონში ყველაზე მეტად ან რომელ წამლებზე იხარჯება საავადმყოფოს ბიუჯეტის არსებითი ნაწილი.

C 01 D A 02.

და VEN ანალიზი. იმისათვის, რომ შერჩეულ იქნეს ოპტიმალური სამკურნალო საშუალება როგორც ეკონომიკური,

ისე თერაპიული მაჩვენებლებით, მიზანშეწონილია ჩატარდეს ABC /VEN ანალიზი.

ABC (აცტივიტეც ხასედ ჩოსტინგ) ანალიზი არის დანახარჯების ფუნქციონალური აღრიცხვის მეთოდი. იგი ანალიზის მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების ერთ-ერთი ვარიანტია, რომელიც გარკვეული კრიტერიუმებით დაჯგუფებს არსებულ ერთობლიობას (ჩვენს შემთხვევაში 2 კრიტერიუმით – ღირებულება და ნატურალური მაჩვენებლები). ABC ანალიზი ემყარება იმ მარკეტინგულ პრინციპს (პარეტოს კანონი), რომ კომპანიის მოგების (გაყიდვების) 80%-ს უზრუნველყოფს კლიენტების 20%.

სამკურნალო საშუალებები მათი წლიური მოხმარების მიხედვით იყოფა სამ კლასად;

A კლასი – მოიცავს წამლების 10-20%-ს, რომელზეც დახარჯულია ფულადი სახსრების 70-80%;

B კლასი – მოიცავს ასორტიმენტის 10-15%-ს, რაც შეესაბამება ფულადი სახსრების 10-15%-ს (მოხმარების საშუალო დონე);

C კლასის – ასორტიმენტული პოზიციების 60-75%-ზე მოდის ფულადი სახსრების 5-10%.

ABC ანალიზის პარალელურად ტარდება VEN ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა სამკურნალო პრეპარატების შერჩევის პრიორიტეტები დადგინდეს მათი კლასიფიკაციით სასიცოცხლო მნიშვნელობის კატეგორიებით: სასიცოცხლოდ აუცილებელი (Vიტალ, V). ძირითადი, ესენციალური (Eსენციალ, E) და არაესენციალურები (Nონ-ესენციალ, N). ამა თუ იმ კატეგორიაზე წამლის მიკუთვნება ხორციელდება მაღალკვალიფიციური ექიმ-ექსპერტების გარკვეული რეკომენდაციების საფუძველზე. ABC და VEN ანალიზების ინტეგრაცია საფუძველია იმისა, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამა თუ იმ პრეპარატის ფორმულარულ სიაში შეტანის ან იქედან მისი ამოღების შესახებ.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს აჭარის რეგიონში 2002 წელს მოხმარებული კარდიოპრეპარატების ცალკეული ჯგუფების ABC ანალიზის შედეგები და VEN ანალიზის ჩატარების მეთოდიკა, რომელიც ეყრდნობა ექიმ-ექსპერტთა ანონიმურ ანკეტურ გამოკითხვას.

ანგიოტენზინის გარდამქმნელი ენზიმის (აგე) ინჰიბიტორების აჭარის რეგიონში წლიური მოხმარების დადგენის შემდეგ მონაცემები შევიტანეთ კომპიუტერში ელექტრონული ცხრილის ფორმატით. დასახელებები შეიტანება ნებისმიერი თანმიმდევრობით. აუცილებელი მონაცემებია: დასახელება, წამლის ფორმა, ერთი შეფუთვის (კოლოფის) ფასი, წლიური მოხმარება და საერთო ღირებულება. ელექტრონული ცხრილის ფუნქციის მეშვეობით წარმოებს სიაში მოთავსებული პრეპარატების რანჟირება ღირებულებითა და ნატურალურ მაჩვენებლებში (კლებადი თანმიმდევრობით). ABC ანალიზი ჩავუტარეთ აგე ინჰიბიტორების 38 ასორტიმენტულ პოზიციას, რომლებიც კლასებად განაწილდა შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 1):

A კლასი – 5 პოზიციაზე (13,2%) მოდის მოხმარებული პრეპარატების ღირებულების 70%; B კლასი – 8 პოზიციაზე (21%) მოდის ღირებულების 20% და C კლასი – 25 პოზიციაზე (65,8%) მოდის ღირებულების 10%. ე.ი. B და C კლასი ერთად - ესაა პოზიციების 86,8%, რომლებზეც მოდის მოხმარების 30%.

აგე ინჰიბიტორების მსგავსად ABC ანალიზი ჩავუტარეთ კარდიოლოგიაში გამოყენებული სამკურნალო საშუალებების სხვა დიდ თერაპიულ კლასებს: ანტიანგინა-ლურ პრეპარატებს, ბეტა-ადრენობლოკატორებსა და კალციუმის ანტაგონისტებს (იხ. დანართები 1-3).

ცხრილი 1

აგე ინჰიბიტორების მოხმარების მოცულობის განაწილება ღირებულებითა და ნატურალურ მაჩვენებლებში ABC ანალიზის საფუძველზე, 2002 წ.

სამკურნალო საშუალება	ღირ-ბა	%
ენაბი-H 25მგ №20 ტ.	72995,00	44,6
კაპოტენი 25 მგ №40 ტ.	15440,00	9,0
ენაბი- HL 12,5 მგ №20 ტ	9295,00	5,7
კაპოტენი 25 მგ №30ტ	9004,00	5,5
ენაბი 10 მგ №20ტ	8520,00	5,2

A
70%

სამკურნალო საშუალება	შეფ-რაოდ	%
ენაბი- H 25 მგ №20ტ	28075	43,0
კაპოტენი 25 მგ №40ტ	4825	7,4
კაპოტენი 25 მგ №30ტ	4345	6,6
ენაბი 10 მგ №20ტ	4255	6,5
ენაბი- LH 12,5 მგ №30ტ	3575	5,5

69%

რენიტეკი 10 მგ №14ტ	7680,00	4,7
პრესტარიუმი 4 მგ №30ტ	6778,00	4,3
ენაბი 5 მგ №20ტ	4785,00	2,9
მონოპრილი 10 მგ №28ტ	3528,00	2,2
კაპოზიდი 50/25 მგ №20ტ	3097,00	1,9
ენალაპრილი-H 10 მგ №20ტ	2745,00	1,7
კაპტოპრიდი 25 მგ №20ტ	1825,00	1,3
კაპტოპრიდი 25 მგ, №20ტ	1834,00	1,1

B
20%

რენიტეკი 10 მგ №14ტ	3200	4,9
ენაბი 5 მგ №20ტ	3190	4,9
ენალაპრილი H 10 მგ №20ტ	1525	2,3
კაპტოპრიდი 25 მგ №20ტ	1825	2,8
კაპტოპრიდი 25 მგ №20ტ	1758	2,7
კაპტოპრიდი 25 მგ №20ტ	815	1,2
პრესტარიუმი 4 მგ №30ტ	807	1,2
ენალაპრიდი 10 მგ №20ტ	749	1,1

სლოგ-საქ-პოლინ.

კო-რენიტეკი 20-125მგ №14	2438,00	1,5
კაპტოპრიდი 25 მგ №20ტ	1406,00	0,9
რენიტეკი 20 მგ №14ტ	1259,00	0,8
ინჰიბეციხი 2,5 მგ №28ტ	1083,00	0,7
ელნიტი 5 მგ №28ტ	1026,00	0,6
ელნიტი 2,5 მგ №28ტ	998,00	0,6
ენალაპრიდი 10 მგ №20ტ	936,00	0,6
დიორტონი 10 მგ №28ტ	888,00	0,5

C
10%

კაპტოპრიდი 12,5 მგ №20ტ	715	1,09
ელნიტი 2,5 მგ №28ტ	665	1,01
მონოპრილი 10 მგ №28ტ	590	0,90
კაპოზიდი 50/25მგ №30ტ	525	0,80
ელნიტი 5 მგ №28ტ	540	0,80
კო-რენიტეკი 20/125 მგ №14ტ	530	0,80
კაპტოპრიდი 25 მგ №10ტ	470	0,72
რენიტეკი 14 მგ №14ტ	307	0,47

10%

ABC ანალიზის პარალელურად ჩავატარეთ კარდიოლოგიური პრეპარატების VEN ანალიზი. ამ მიზნით გამოვიყენეთ ექსპერტულ შეფასებათა მეთოდი, რომლის არსი ამა თუ იმ მოვლენის განვითარების თვისობრივი და რაოდენობრივი ტენდენციების შესახებ კომპეტენტური სპეციალისტების არგუმენტირებული აზრის განზოგადოებაში მდგომარეობს.

ექსპერტიზის ობიექტურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ექსპერტთა რაოდენობრივ და ხარისხობრივ შემადგენლობაზე. ჩვენეული გამოთვლებით, 95% ალბათობის გათვალისწინე-

ბით, რეპრეზენტა-ციული მონაცემების მისაღებად აუცილებელი ექსპერტთა რიცხვი არ უნდა იყოს 15-ზე ნაკლები.

ექსპერტთა ხარისხობრივი შემადგენლობა განისაზღვრა კომპეტენტურობის კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც გამოთვლილი იქნა შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

სადაც (1)

- ექსპერტის კომპეტენტურობის კოეფიციენტი; - ექსპერტის მიერ სამკურნალო საშუალებათა ნომენკლატურის ცოდნის კოეფიციენტი; -ექსპერტის მიერ შეძენილი გამოცდილების კოეფიციენტი; -ექსპერტის საკვალიფიკაციო დონის კოეფიციენტი; -ექსპერტის მიერ საანალიზო პრეპარატების არგუმენტირების კოეფიციენტი.

ექსპერტიზისათვის შეირჩა აჭარაში (ქ. ბათუმი, ქ. ქობულეთი, დაბა ხელვაჩაური) მომუშავე 18 ექიმი-კარდიოლოგი, რომელთა კომპეტენტურობის კოეფიციენტი 0,7-ზე მეტი აღმოჩნდა.

ანკეტის I ნაწილი, გაცნობითი ხასიათის კითხვებისა და შევსების მეთოდის გარდა, იძლეოდა ექსპერტთა პროფესიული მონაცემების ნათელ სურათს. ანკეტირებაში მონაწილე ექიმთა 67 % კარდიოლოგად მუშაობს 10 წ-ზე მეტი ხნის სტაჟით, 33% კი – 10 წლამდე, მათ შორის სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა 61%, სამეცნიერო ხარისხი აქვს ერთ ექიმს.

მხედველობაში მივიღეთ ის, რომ ფარმაცევტული ბაზარი წარმოდგენილია გულ-სისხლძარღვთა პრეპარატების დიდი ასორტიმენტით, რომელიც მუდმივად ივსება ახალი სამკურნალო საშუალებებითა და მათი წამალთფორმებით, ანკეტის II ნაწილში შევიტანეთ კითხვები, რომლებიც საშუალებას იძლეოდა შეფასებულიყო ახალი პრეპარატების შესახებ ექიმთა საინფორმაციო უზრუნველყოფის დონე.

ანკეტის III ნაწილი – პრეპარატების გამოყენების ბარათი (ე.წ. ექსპერიმენტული ნაწილი), ექსპერტებს რამდენიმე კრიტერიუმით პრეპარატების შეფასების საშუალებას აძლევდა.

ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ, პასუხები გამოესახათ ქულებში (0-დან 5-მდე). ანკეტის ამ ნაწილს თანდართული ჰქონდა კარდიოლოგიური პრეპარატების მიმოქ-ცევაში მყოფი ასორტიმენტის სრული ჩამონათვალი, რომელშიც 364 დასახელების ასორტიმენტული პოზიცია შედიოდა, ამათგან 338 იმპორტული და 26 საქართველოში წარმოებულია (7,1%).

გამოსაკვლევ სამკურნალო საშუალებებს შორის ბეტა-ადრენობლოკატორები წარმოდგენილი იყო 60 ასორტიმენტული პოზიციით (16,5%), კალციუმის ანტაგონისტები 47 პოზიციით (12,9%), ნიტროპრეპარატები 45 პოზიციით (12,4%), რენინ-ანგიოტენ-ზინის სისტემაზე მოქმედი პრეპარატები 47 დასახელებით (12,9%), ანტითრომბოზული საშუალებები – 41 პოზიციით (11,3%), ანტიარითმიული საშუალებები – 39 პოზიციით (10,7%), სხვადასხვა წვრილი ჯგუფები ერთად – 51 პოზიციით (14%). ყველა ეს მონაცემები რანჟირებული სახით მოყვანილია ცხრილიში.

სამკურნალო საშუალებათა შეფასების პროცესში ექსპერტს ყოველი პრეპარატი სასიცოცხლო მნიშვნელობისაგან დამოკიდებულებით უნდა მიეკუთვნებინა ერთ-ერთი კატეგორიისათვის თანახმად კლასიფიკაციისა: სასიცოცხლოდ აუცილებელი (), ძირითადი, ესენციალური () და არაესენციალური (). ამასთან ერთად წინადადება ეძლეოდათ, ეხელმძღვანელათ გარკვეული რეკომენდაციებით (ცხრილი 3).

ცხრილი 2

ანკეიტაში შეტანილი პრეპარატების გამსხვილებული ფარმაცოთერაპიული ჯგუფების რანჟირებული სია

რანგი	ფარმაცოთერაპიული ჯგუფის დასახელება	ფარმაცოთერაპიულ ჯგუფში სამკურნალო საშუალებათა ასორტიმენტული პოზიციების რაოდენობა	ხვედრითი წილი, %
1	ბეტა-ადრენობლოკატორები	60	16,5
2	აგე ინჰიბიტორები	47	12,9
3	კალციუმის ანტაგონისტები	47	12,9
4	ნიტრატები და ნიტრიტები	45	12,4
5	ანგიოტენზინოზოლი საშუალებები	41	11,3
6	ანტიარითმიული საშუალებები	39	10,7
7	დიურეზიკები	18	4,9
8	გულის უკმარისობის სამკურნალო საშუალებები	16	4,4
9-15	სხვადასხვა	51	14,0
სულ		364	100

ექსპერტიზის მონაცემების მათემატიკური დამუშავების პროცესში სასიცოცხლოდ აუცილებელ პრეპარატებს პირობითად მიენიჭა 3 ქულა, ესენციალურებს – 2, არაესენციალურებს კი – 1 ქულა.

ექსპერტულ დასკვნათა შედეგების შედარებითი ანალიზის უზრუნველსაყოფად იწარმოა თითოეული პრეპარატის ქულების გასაშუალებული მაჩვენებლების გამოან-გარიშებები. ამავდროს მხედველობაში მიიღებოდა ექსპერტთა კომპეტენტურობა. გამოთვლები წარმოებდა შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$Z_j = \frac{\sum_{i=1}^n (Z_{ij} \cdot K_i)}{\sum_{i=1}^n K_i}$$

სადაც (1)

Z_j - i ექსპერტის გასაშუალებული შეფასება;;

n - რეპარატის შეფასებაში მონაწილე ექსპერტთა რაოდენობა;

K_i - i ექსპერტის კომპეტენტურობის კოეფიციენტი;;

Z_{ij} - i ექსპერტის მიერ j პრეპარატის შეფასება.

ყველა სამკურნალო საშუალების გასაშუალებული შეფასებების ანალიზით გაირკვა, რომ 72 (19,8%) პრეპარატმა მიიღო 2,40 - 2,58 ქულა და მიეკუთვნა სასიცოცხლო მნიშვნელობის კატეგორიას. 126-მა პრეპარატმა მიიღო შეფასება 1,73-დან 2,08-მდე ქულა და შეტანილ იქნა ესენციალური წამლების სიაში, დანარჩენი 166 პრეპარატი მიეკუთვნა არაესენციალური სამკურნალო საშუალებების ქგუფს

(ცხრილი 4).

კარდიოლოგიაში გამოყენებული სამკურნალო საშუალებების კლასიფიკაცია სასიცოცხლო მნიშვნელობის კატეგორიებით

გასაშუალებული შეფასებების ინტერვალები, ქულები	სამკურნალო საშუალებების შეფასება (V-კატეგორიებით)	სამკურნალო საშუალება	
		დასახელება/რაოდენობა	ხვედრითი წილი, %
2,40 – 2,58	სასიცოცხლოდ აუცილებელი (V)	72	19,8
1,73 – 2,08	ესენციალური (E)	126	34,6
0,94 – 1,07	არაესენციალური (N)	166	45,6
სულ		364	100

**სასიცოცხლო მინიშნელობისაგან დამოკიდებულებით გარკვეულ
კატეგორიებზე სამკურნალო საშუალებების მიკუთვნების
პირითადი რეკომენდაციები**

პრეპარატის დახასიათება ან მდგომარეობა, რომელზედაც სამკურნალო საშუალება ზემოქმედებს	V		
ავადმყოფების ხვედრითი წილი, რომლებიც გამოიყენებენ მოცემულ პრეპარატს, %	3%-ზე მეტი	1-3%	1%-ზე ნაკლები
სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, რომელზეც მოქმედებს პრეპარატი	კი	ზოგ ჯერ	იშვიათად
შრომისუნარიანობის დაკარგვა იმ მდგომარეობის გამო, რომელზეც მოქმედებს პრეპარატი	კი	ზოგ ჯერ	იშვიათად
პრეპარატი კურნავს სერიოზულ დაავადებებს	კი	კი	არა
პრეპარატი მოქმედებს მსუბუქ სიმპტომებსა და მდგომარეობაზე, რომლებიც დამოუკიდებლად გაივლის	არა	შესაძლოა	კი
პრეპარატის ეფექტურობა დადგენილია	ყოველთვის	ჩვეულებრივ	სავალდებულო არაა

ექსპერტულ შეფასებათა შედეგები გამოყენებული იქნა საინფორმაციო ბაზის ფორმირებისათვის. სამკურნალო საშუალებების საინფორმაციო ბაზაში შეტანის კრიტერიუმებად გამოყენებული იქნა:

- დანიშვნათა სიხშირის პირობითად დადგენილი კოეფიციენტი, რომელიც კოეფიციენტის გამომანგარიშება ხდებოდა ყოველი პრეპარატისათვის. სამკურნალო საშუალება, რომელიც ყოველი 100 ავადმყოფიდან 3-ზე ნაკლებს ენიშნება, საინფორმაციო ბაზაში არ შეგვიტანია;
- რეკომენდაციები გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო საშუალებების გამოყენების შესახებ. ანალიზის დროს გამოვლინდა შემთხვევები, როცა ამა თუ იმ პრეპარატის გამოყენების კოეფიციენტი 3-ზე მეტი იყო, მაგრამ არ იყო

გათვალისწინებული მათი უკუჩვენებები. ამიტომ ასეთი პრეპარატებიც საინფორმაციო ბაზაში არ შეგვიტანია;

- პრეპარატის მიკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიაზე სასიცოცხლო მნიშვნელობისაგან დამოკიდებულებით. ფორმირებად სიაში დამატებით შეტანილი იქნა ის სამკურნალო საშუალებები, რომლებიც პრაქტიკაში ნაკლებად ან არ გამოიყენება, მაგრამ ექსპერტულ შეფასებათა პროცესში მიეკუთვნა ესენციალურ და სასიცოცხლოდ აუცილებელ სამკურნალო საშუალებებს;

- სამკურნალოწამლო ფორმის რაციონალურობა.

ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ფორმირებად საინფორმაციო ბაზაში შევიტანეთ 202 დასახელება (წამლის ფორმისა და დოზის გათვალისწინებით). საინფორმაციო მასივს, რომელიც განიხილება სამკურნალო საშუალებების ფორმულარული სიის შედგენის საწყის ბაზად, თერაპიული ანალოგებისა და სინონიმების ჭრილში პრეპარატების დანიშვნების უპირატესობების გამოვლენის მიზნით ჩაუტარდა დამატებითი ექსპერტული შეფასება.

პრიორიტეტული სავაჭრო დასახელების ამორჩევის მიზნით ერთნაირი გამოშვების ფორმის მქონე სამკურნალო საშუალებების დამატებითი ექსპერტიზის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- პრეპარატ-სინონიმები (ჯენერიკები) შეიცავენ ერთი და იგივე აქტიურ ინგრედიენტს ერთნაირი კონცენტრაციითა და ფორმით, მაგრამ დამხმარე ნივთიერებები (შემავსებლები) შეიძლება სხვადასხვა იყოს;

- ამან შეიძლება გამოიწვიოს ამ პრეპარატების ბიოშელწევადობის სხვადასხვა ხარისხი, ე.ი. ჯენერიკები (პრეპარატ-სინონიმები) ყოველთვის ბიოეკვივალენტური არაა;

- პრეპარატ-სინონიმების (ჯენერიკების) ღირებულება (ერთნაირი გამოშვების ფორმის და დოზის) განსხვავებულია.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო საშუალებათა ფორმულარულ სიაში შესატანი პრეპარატების ამორჩევას ვაწარმოებდით ჩვენს მიერ შემუშავებული ალგორითმის საფუძველზე, რომლის თანახმადაც საანალიზო პრეპარატების სრული ასორტიმენტი იყოფა რამდენიმე სიად:

1. ესენციალური და სასიცოცხლოდ აუცილებელი სამკურნალო საშუალებების საბაზისო სია (პირველი რიგის ამორჩევის პრეპარატები);

2. დამატებითი სია (ალტერნატიული სამკურნალო საშუალებების სია), რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა საბაზისო სიის პრეპარატი კონკრეტული პაციენტისათვის მიუღებელი და არაეფექტური აღმოჩნდება. დამატებითი სია ყოველთვის ხელთ უნდა ჰქონდეთ იმ სპეციალისტებს, რომლებიც წამლების შესყიდვაზე პასუხისმგებელნი არიან, რათა სამკურნალო დაწესებულების პაციენტები დროულად უზრუნველყონ.

სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ინიშნება კარდიოლოგიურ ავადმყოფთა 3%-ზე ნაკლებ შემთხვევაში და ექსპერტები აფასებენ როგორც სასიცოცხლოდ აუცილებელს, შეიტანებოდა საბაზისო სიაში, ხოლო ძირითადი წამლები – დამატებით სიაში, დანარჩენი პრეპარატები გადაიხაზებოდა. სამკურნალო საშუალებები, რომლებიც 3%-ზე მეტ შემთხვევებში გამოიყენება, შეგვქონდა საბაზისო სიაში, თუ მათ არ ჰქონდათ თერაპიული ანალოგები. თუ ასეთი იყო, მაშინ პრეპარატების ამორჩევა ხდებოდა დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით. ის სამკურნალო საშუალებები, რომელთა შესახებაც არ იყო საკმაო მონაცემები (რისკი/სარგებლიანობის თანაფარდობა, კლინიკური გამოყენების გამოცდილება და სხვა), ან შემდგომი ანალიზიდან ამოირიცხებოდა ან გადაიტანებოდა უფრო გულდასმითი შესწავლის სიაში. თანაბარი მაჩვენებლების შემთხვევაში საბაზისო სიაში

შესატანად პრიორიტეტი ენიჭებოდა საქართველოში წარმოებულ პრეპარატებს.

რეგიონალური ფორმულარული სიის საბოლოო ვარიანტის ფორმირებამდე წარმოებს ABR და VEN ანალიზების შედეგების ინტეგრაცია და ფარმაკოეკონომი-კური ანალიზი.

ABC და VEN ანალიზების შედეგების ინტეგრაცია საფუძველია იმისა, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამა თუ იმ წამლის შესახებ შეტანილი იქნეს თუ არა შემდგომი შესყიდვების სიაში, ამოღებული იქნეს თუ არა არაესენციალური წამლების თავდაპირველი სიიდან და მაღალი ღირებულების ანალოგების ჩამონათვალიდან. ანალიზის ამ ეტაპზე ყურადღება ექცევა თერაპიული ასპექტების გათვალისწინებას, რაც გულისხმობს პაციენტისათვის აღმოჩენილი დახმარების ხარისხის ამაღლებას ნაკლებფექტური ან არაუსაფრთხო წამლების გამოყენებაზე უარის თქმას. აღნიშნული ღონისძიებები გავლენას ახდენს მკურნალობის ღირებულებაზეც და ქმნის საავადმყოფო ბიუჯეტების უფრო ეკონომიური ხარჯვის საფუძველებს.

რეგიონის ან დიდი საავადმყოფოს ფთკ-ს მოუწევს ათასობით პრეპარატის გაანალიზება და ამ პროცესმა შეიძლება მოიცვას ერთ წლამდე დრო. ამიტომ ფთკ-მა ორი ალტერნატივიდან უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი:

ფთკ-მა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოცემულ მომენტში საავადმყოფოში (ან რეგიონში) გამოყენებაში მყოფი სამკურნალო საშუალებები ჩათვალოს პირველად ფორმულარულ სიად, შემდეგ კი ანალიზის პროცესში ამ სიიდან ზოგი წამალი იქნება ამოღებული ან შეიტანება ახლები. ასეთი მიდგომა უფრო გავრცელებულია.

მეორე ალტერნატივა იმაში მდგომარეობს, რომ ფორმულარული სია იქმნება ცალკეულ სამკურნალო საშუალებათა თერაპიული კლასების განხილვის კვალობაზე თანდათანობით. პირველი თერაპიული კლასის ანალიზის დასრულების

შემდეგ შექმნილ ფორმულარულ სიაში იქნება მხოლოდ ამ კლასის სამკურნალო საშუალებები. ასეთი სია ამოქმედდება და თანდათანობით დაემატება შემდგომი თერაპიული კლასები.

ABX და VEN ანალიზების შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს სამკურნალო საშუალებათა თერაპიული კლასების განხილვის კალენდარული გეგმის შესადგენად. პირველ რიგში მიზანშეწონილია განხილული იქნეს ის თერაპიული კლასი, რომელზეც საავადმყოფოს ბიუჯეტის ყველაზე დიდი წილი იხარჯება. პირველი რიგის ანალიზის პრიორიტეტი ასევე შეიძლება მიენიჭოს წამალთა იმ ჯგუფებს, რომლებიც წარსულში ქმნიდნენ პრობლემებს (მაგალითად, იწვევდნენ ძლიერ გვერდით ეფექტებს).

სამკურნალო საშუალებათა თერაპიული კლასების ანალიზის განრიგის შედგენის შემდეგ ფთკ-მა უნდა განსაზღვროს, თუ კომიტეტის რომელი წევრები იქნებიან პასუხისმგებელნი ამა თუ იმ თერაპიულ კლასზე. თუ საჭიროა იმ ექსპერტთა აზრი, რომლებიც არ შედიან ფთკ-ს შემადგენლობაში, მაშინ კომიტეტის თავმჯდომარე მიიწვევს საჭირო სპეციალისტებს. უფრო წარმატებული საქმიანობის მიზნით ფთკ-ს წევრი ან მოწვეული სპეციალისტი ქმნის სამუშაო ჯგუფს სამკურნალო საშუალებათა ცალკეული კლასების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა სამუშაო პროცესში ჩაერთოს რეგიონის ან საავადმყოფოს სპეციალისტთა დიდი რიცხვი. ფთკ თავის სხდომებს ატარებს თვეში არანაკლებ ერთჯერ და ყოველ სხდომაზე იხილავს სამკურნალო საშუალებათა ერთ რომელიმე კლასს.

4. ფარმაკოეკონომიკური ანალიზი

ფარმაკოეკონომიკური ანალიზი ეყრდნობა უკვე კლასიკად ქცეულ ეკონომიკური ანალიზის მეთოდს - ფუნქციონალურ-ღირებულებით ანალიზს, რომელიც პირველად იქნა

გამოყენებული მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს კორპორაცია ჯენერალ-მოტორსის მიერ.

დროთა განმავლობაში ეკონომიკური ანალიზი გაფართოვდა და ამჟამად მოიცავს იმ დანახარჯებსაც ან / და გასავლებს, დაკავშირებულს სამკურნალო საშუალებების გამოყენებასთან, რომლებიც არც თუ ისე თვალნათლივია. ამგვარი დანახარჯები სამკურნალო დაწესებულებების მიერ ფარმაცოთერაპიაზე გაწეული საერთო ხარჯების ნაწილია და აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. წამლით მკურნალობასთან დაკავშირებული დანახარჯების გაფართოებული ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა თანამედროვე პირობებში, როცა ჯანდაცვაზე საბიუჯეტო სახსრები მცირდება, ხოლო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ხარჯები კი მუდმივად იზრდება. ჯანდაცვაზე და მამასადამე, საზოგადოებაზე მთლიანად, ფარმაცოთერაპიის ეკონომიკური ზემოქმედების ცოდნა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება წამლით მკურნალობის ეკონომიკური ასპექტების ანალიზი მოიცავს სამკურნალო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯებისა და შედეგების (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური) გამოვლენას, გაანგარიშებასა და შედარებას, ვინაიდან პრეპარატის შესასყიდი ღირებულება არის ანალიზის მხოლოდ ერთი ასპექტი.

დანახარჯების რეგისტრაციისა და შეფასების მიმართ მიდგომა ფუნდა-მენტალური თვალსაზრისით ერთნაირია ფარმაცოთერაპიის ეკონომიკური ანალიზის ყველა სახეობისათვის. მაგრამ ფარმაცოთერაპიაზე გაწეული დანახარჯების ანალიზთან დაკავშირებულია დანახარჯების განსაზღვრა და აღრიცხვა. ფარმაცოთერაპიაში დანახარჯები იყოფა რევალენტურ და არარევალენტურ ხარჯებად და მათი კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგნაირად:

- პირდაპირი სამედიცინო;
- პირდაპირი არასამედიცინო;

- არაპირდაპირი (ინდირექტ ცოსტს).

პირდაპირი სამედიცინო დანახარჯები მოიცავს: მკურნალობის კურსზე საჭირო სამკურნალო საშუალებების ღირებულებას, დავადებათა დიაგნოსტიკებაზე გაწეულ ხარჯებს, სტაციონარული მკურნალობისას საწოლდღეების ღირებულებას, სამედიცინო მუშაკების ხელფასს, წამლების გვერდითი ეფექტების თავიდან აცილების დანახარჯებს და სხვ.

პირდაპირი არასამედიცინო ხარჯებია: ავადმყოფის სამედიცინო დაწესებულებამდე მიყვანის ხარჯი, დანამატები დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე, რომლებიც სტანდარტით არაა გათვალისწინებული, ურეცეპტო წამლების ღირებულება, დიეტაზე დანახარჯები, ხარჯები დაკავშირებული სამედიცინო დამხმარე მასალებთან, სამედიცინო ტანსაცმელსა და ფეხსაცმელთან და ა.შ. ჩამოთვლილი დანახარჯების უდიდესი ნაწილი კომპენსირდება თვითონ ავადმყოფების მიერ. სადაზღვევო კომპანიებისათვის პირდაპირი არასამედიცინო ხარჯები ითვლება არარევალენტურ დანახარჯებად.

არაპირდაპირი (ირიბი), ან, როგორც უწოდებენ, არამატერიალური ხარჯები ისეთი დანახარჯებია, რომლებიც წარმოიშობა იმის გამო, რომ ავადმყოფ მოქალაქეს აღარ შეუძლია იყოს სასარგებლო საზოგადოებისათვის, საწარმოო პროცესისათვის. ამ ტიპის დანახარჯები ეხება თვით ავადმყოფს, ვინაიდან მცირდება ხელფასის რაოდენობა, ცხოვრების დონე.

დანახარჯების ღირებულების დანსაზღვრის კრიტერიუმებისა და მეორეს მხრივ, კლინიკური მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ფარმაკოეკონომიკაში ჩამოყალიბებულიყო წამლით მკურნალობის ანალიზის ობიექტური სტანდარტიზებული ეკონომიკური მეთოდები. მათი მოკლე დასახიათება მოყვანილი ცხრილში 5.

ღირებულება/ეფექტიანობა ანალიზის მეთოდია, რომლის დროსაც მკურნალობის ღირებულება შეფასდება ფულადი გამოსახულებით, ხოლო კლინიკური უპირატესობა, როგორც

წესი, სიცოცხლის დამატებითი წლების სახით. ეს ანალიზი შეიძლება ჩატარდეს სპეციალური კლინიკური გამოკვლევების შედეგების ან სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებიდან აღებული მონაცემების საფუძველზე. ეს მაჩვენებელი რაც უფრო მცირეა, მით უფრო მაღალია პრეპარატის საზოგადოებისათვის უპირატესობა. ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა სხვადასხვა პრეპარატისათვის იცვლება ასაკის, სქესის, რისკის ფაქტორების, აგრეთვე სიცოცხლის ხარისხის შეფასებისაგან დამოკიდებულებით.

ღირებულება/ეფექტიანობის მეთოდი ყველაზე უფრო გავრცელებულია და მისი გამოყენება განსაკუთრებით გამართლებულია მწვავე ხასიათის დაავადებათა მკურნალობისას.

ღირებულება/სარგებლიანობა ანალიზის მეთოდი, რომლის დროსაც მკურნალობის ღირებულება შეფასდება ფულადი გამოსახულებით, კლინიკური უპირატესობა კი – სიცოცხლის დამატებითი წლების სახით ხარისხის გათვალისწინებით (QALY - სიცოცხლის ერთი წელი ხარისხის გათვალისწინებით). ანალიზის ეს უფრო ხშირად გამოიყენება ქრონიკული დაავადებების მკურნალობისას (მაგ. გულის უკმარისობა, ეპილეფსია, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ.). სიცოცხლის ხარისხის შეფასება საკმაოდ რთული პროცედურაა და კვლევები ჩვეულებრივ რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება.

ფარმაკოეკონომიკური ანალიზის მეთოდები

ფარმაკოეკონომიკური ანალიზის მეთოდები	ინგლისური ტერმინი	ეფექტიანობის შესწავლის ხერხი
ღირებულება - ეფექტიანობა	cost-effectiveness analysis – CEA	ბიოლოგიური მაჩვენებლები
ღირებულება - სარგებლიანობა	cost-utility – CUA	პირადი შეგრძნებები, განცდები
ღირებულება - უპირატესობა	cost-benefit – CBA	ფინანსური მაჩვენებლები
ღირებულების მინიმიზაცია	cost-minimization – CMA	ეფექტიანობას არ შეისწავლიან
დაავადების ღირებულება	cost of illness – COI	ფინანსური მაჩვენებლები

„ღირებულება/უპირატესობა“ ანალიზის მეთოდია, სადაც ორივე მაჩვენებელი – ღირებულებაც და უპირატესობაც ფულად ეკვივალენტებში გამოისახება. ანალიზის ეს სახე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამედიცინო პროგრამების შესადარებლად, როცა რესურსები შეზღუდულია და მხოლოდ რომელიმე მათგანი უნდა განხორციელდეს. არჩევანი კეთდება იმ პროგრამის სასარგებლოდ, რომელსაც აქვს უფრო მეტი სუფთა მოგება. იგი განისაზღვრება როგორც სხვაობა პროგრამის უპირატესობასა (მაგალითად, დაავადებათა თავიდან აცილებული ახალი შემთხვევების რიცხვი) და მის ღირებულებას შორის. როცა რესურსები არაა შეზღუდული, ანალიზი ღირებულება-უპირატესობა საშუალებას იძლევა შეფასდეს პროგრამის სუფთა მოგება.

ანალიზი ღირებულების მინიმიზაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს მკურნალობის ორი სახეობის შესადარებლად ერთნაირი კლინიკური შედეგების არსებობის დროს. არჩევანის სტრატეგია ასეთ შემთხვევაში ისაა, რომლის დროსაც მკურნალობის ღირებულება შედარებით დაბალია.

სამედიცინო დაწესებულების მიერ გარკვეული დაავადების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვას ემყარება დაავადების ღირებულების ანალიზის მეთოდი. ალტერნატიული სამედიცინო ტექნო-

ლოგიების შეფასებისათვის გამოიყენება ღირებულება – ეფექტიანობისა და ღირებულების მინიმიზაციის ანალიზის მეთოდები.

იმის მიუხედავად, რომ ხუთივე მეთოდს საფუძვლად უდევს ფუნდამენტალური იდეები, რომლებიც საკმაოდ გამჭვირვალეა, ამ მეთოდების გამოყენება გარკვეულ სირთულეებთან მაინცაა დაკავშირებული. თუ ანალიზის დროს გამოტოვებული იქნა რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი, ამან შეიძლება მიგვიყვანოს თერაპიული მოგების ხარჯებთან გადამეტების შესახებ არასწორ დასკვნებამდე.

ფარმაკოეკონომიკური ანალიზის ჩატარების დროს წარმოებს:

✓ დაავადებათა გარკვეული ჯგუფის სტაციონარული ან ამბულატორიული მკურნალობის ან რეაბილიტაციის ფინანსური დანახარჯების განსაზღვრა:

✓ ერთნაირი შედეგების მქონე მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდებზე დანახარჯების შეფასება;

✓ სხვადასხვა სამედიცინო პროექტებზე ფინანსური სახსრების გამოყენების სარგებლიანობისა და დანახარჯების შეფასება;

✓ განსხვავებული ეფექტურობის, მკურნალობის სხვადასხვა ალტერნატიული მეთოდების ღირებულების შედარება;

✓ განსხვავებული ეფექტების მქონე თერაპიის ახალი მეთოდით დადებითი სარგებლის მისაღებად საჭირო დანახარჯების შეფასება.


შემოთავაზებულია, რომ რეგიონალური (საოლქო, სამხარეო და ა.შ.) ფორმულარების შექმნის დროს ყველა სახის ფარმაკოეკონომიკური გამოკვლევები ჩატარდეს შემდეგი კონცეპტუალური სქემით (ნახ. 1).

ამრიგად, ფარმაკოეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს როგორც ცალკეული დაწესებულების, ასევე მათლიანად ჯან-

დაცვის სისტემის საქმიანობის სამედიცინო და ეკონომიკური ეფექტურობის ურთიერთკავშირის ოპტიმიზაციის მათემატიკურ ინსტრუმენტს. ეს კავშირი შეიძლება განხილულ იქნეს ფარმაცოეკონომიკური ანალიზის მატრიცის სახით დანახარჯები-ეფექტურობის კრიტერიუმით (ნახ. 2):

ნახ. 1

რეგიონალური ფორმულების დამუშავებისას ფარმაცოეკონომიკური გამოკვლევების ჩატარების კონცეპტუალური



როგორც მოცემული მატრიციდან ჩანს, მკურნალობის ალტერნატიული მეთოდების შეფასების დროს შესაძლებელია ცხრა ვარიანტი. ფორმულარული სიისათვის წამლების ლოგისტიკური შერჩევის ყველაზე უფრო მისაღები ვარიანტი ოთხია, ე.ი. როცა:

სამკურნალო საშუალებას არა აქვს თერაპიული ეფექტი, მაგრამ ამცირებს მკურნალობაზე დანახარჯებს (მკურნალობის კურსის ღირებულება);

სამკურნალო საშუალება აუმჯობესებს თერაპიის რეზულტატს და მკურნალობაზე დანახარჯებსაც ამცირებს;

სამკურნალო საშუალება აუმჯობესებს თერაპიის რეზულტატს და დანახარჯებს არ ცვლის;

სამკურნალო საშუალებას აქვს მაღალი ღირებულება, მაგრამ მისი გამოყენება ამცირებს პარალელური წამლების დანიშვნის შემთხვევებს, ამცირებს გვერდითი ეფექტების წარმოქმნის სიხშირეს და ამცირებს მკურნალობის პროცესთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს.

ამ ბოლო ვარიანტის ბაზისია ე.წ. ფარმაკოეკონომიკური პარადოქსი: ძვირი (მაგრამ ეფექტური) წამლების გამოყენება ხშირად უფრო ხელსაყრელია იაფფასიან პრეპარატებთან შედარებით საავადმყოფო ხარჯების შემცირების გამო, რომლებიც მკურნალობის საერთო ღირებულების 80%-მდე შეადგენს.

ნახ. 2 ფარმაკოეკონომიკური ანალიზის მატრიცა

ფარმაკოეკონომიკური ანალიზის მატრიცა	შემცირებული	3 მიუღებელ	4 მიუღებელია	9 მისაღებია
	არ	2 მიუღებელია	5 გარემოებისდა ა მიხედვით	8 მისაღებია
	მაღალი	1 მიუღებელია	6 მისაღებია	7 მისაღებია
		იზრდება	არ აცვლდება	მცირდება
		სამედიცინო ეფექტიანობა		

უნდა აღინიშნოს, რომ დანახარჯების ეფექტურობის ეკონომიკური გაანგარიშებანი ტარდება არა მარტო სახსრების დაზოგვისათვის ამ სიტყვის საყოველთაო გაგებით. ისინი წარმოადგენენ ფინანსური რესურსების განაწილების ოპტიმიზაციის საშუალებას სპეციალურად დაგეგმარებული კონტროლირებადი კლინიკური გამოკვლევების შედეგების ეკონომიკური ანალიზის გზით. ასეთ გამოკვლევებში განისაზღვრება წამლის კლინიკური ფასეულობა, ან დადგინდება მკურნალობის ალტერნატიული ხერხებიდან ყველაზე უფრო ეფექტური. ქვემოთ მოგვყავს აგე ინჰიბიტორების ფარმაკოეკონომიკური ანალიზის შედეგები „ღირებულების მინიმიზაციის“ მეთოდის გამოყენებით (ცხრილი 6)

საშუალო სადღეღამისო თერაპიული დოზის (CTD) გაანგარიშებას თითოეული პრეპარატისათვის ვაწარმოებდით შემდეგი ფორმულების გამოყენებით: თუ ცნობილი იყო მხოლოდ სადღეღამისო დოზის ზედა და ქვედა ზღვარი, მაშინ

$$CTD = \frac{C_{D_1} + C_{D_2}}{2}, \text{ სადაც} \quad (1)$$

D_{D_1} – პრეპარატის მინიმალური სადღეღამისო დოზაა;

C_{D_2} – პრეპარატის მაქსიმალური სადღეღამისო დოზაა.

იმ შემთხვევაში, როცა ცნობილია ერთჯერადი დოზის ზედა და ქვედა ზღვარი (P_{D_1} და P_{D_2}), დღე-ღამეში მიღებათა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა (K_1 და K_2), მაშინ გამოიყენება შემდეგი ფორმულა

$$CTD = \frac{P_{D_1} + P_{D_2}}{2} \times \frac{K_1 + K_2}{2} \quad (2)$$

შემდეგ ეტაპზე, საშუალო სადღეღამისო თერაპიულ დოზებზე დაყრდნობით ხდება დანახარჯების გამოანგარიშება ერთ ავადმყოფზე მკურნალობის თვიურ და წლიურ კურსზე. მკურნალობის ერთი თვის კურსზე დანახარჯების გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა:

$$C_{MK} = \frac{CTD \times 30}{T_H \cdot D_T} \times U_1, \quad \text{სადაც} \quad (3)$$

C_{MK} – თვიურ კურსზე დანახარჯების ღირებულება;

CTD – საშუალო სადღელამისო თერაპიული დოზა;

T_H – ტაბლეტების რაოდენობა ერთეულ შეფუთვაში;

D_T – ერთი ტაბლეტის დოზა (მგ-ში);

U_1 – ერთი შეფუთვის (კოლოფის) საბითუმო ფასი.

ცხრილი 6

აგამიანი ინჰიბიტორების ფარმაცოეკონომიკური პარამეტრები

სამკურნალო საშუალებების საერთაშორისო სახელწოდება (INN)	პრეპარატის საფეხრო (საფეხროსაშარ) სახელწოდება	გამომშვების ფორმა	საბითუმო ფასი * 01.09.03. პ.გ.	დანახ. მკურნ. თვიურ კურსზე პ.გ.	დანახ. მკურნ. წლიურ კურსზე პ.გ.	საშუალო სადღელამისო თერაპ. დოზა	პრეპარატის ფარმაცოეკონომიკური კმეყანა
1	2	3	4	5	6	7	8
ენალარისის მალეატი	ენლიტი	ტაბ. 5მგ N#28	1,90	8,14	97,68	20 მგ.	უნგრეთი
	ენლიტი	ტაბ. 2,5მგ N#28	1,50	12,86	154,32	20 მგ.	უნგრეთი
	ენლიტი	ტაბ. 10მგ N#28	2,65	5,68	68,16	20 მგ.	უნგრეთი
	ენლიტი	ტაბ. 20მგ N#28	4,30	4,61	55,32	20 მგ.	უნგრეთი
	ენალილი-H	ტაბ. 10მგ N#20	1,25	3,75	45,00	20 მგ.	საქარ.
	ენაპი	ტაბ. 10მგ N#20	2,0	6,00	72,00	20 მგ.	სლოვენ.
	ენაპი	ტაბ. 20მგ N#20	3,2	4,80	57,6	20 მგ.	სლოვენ.
	ენაპი	ტაბ. 5მგ N#20	1,5	9,00	108,00	20 მგ.	სლოვენ.
	ენლიტეკი	ტაბ. 10მგ N#14	2,40	10,28	123,36	20 მგ.	ნიდერლ.
ენლიტეკი	ტაბ. 20მგ N#14	4,10	8,78	105,36	20 მგ.	ნიდერლ.	
კაპტოპრილი	კაპოტენი	ტაბ. 25მგ N#40	3,20	4,80	57,60	50 მგ.	რუსეთი
	კაპოტენი	ტაბ. 25მგ N#40	2,61	3,92	47,04	50 მგ.	ავსტრია
	კაპტოპრილი	ტაბ 12,5მგN#20	0,80	4,80	57,60	50 მგ.	სლოვენ.
	კაპტოპრილი	ტაბ 25მგ N#20	1,00	3,00	36,00	50 მგ.	სლოვენ.
	კაპტოპრილი	ტაბ 25მგ N#40	2,25	3,38	40,56	50 მგ.	პოლონ.

	კაპტოპრილი	ტაბ 25 მგ№20	0,80	2,40	28,80	50 მგ	საქ. GMP
	კაპტოპრილი	ტაბ 50 მგ№20	2,30	3,45	41,40	50 მგ	პოლონ.
	კაპტოპრილი	ტაბ12,5მგ №20	0,60	3,60	43,20	50 მგ	საქ. GMP
	კაპტოპრილი	ტაბ 25მგ №10	0,52	3,12	37,44	50 მგ	რუსეთი
	კაპტოპრილი	ტაბ 25მგ №40	2,10	3,15	37,80	50 მგ	რუსეთი
	კაპტოპრილი	ტაბ 12,5მგ№30	0,80	3,20	38,40	50 მგ	პოლონ.
პერინდოპრილი	კოვერეჟსი	ტაბ 4 მგ №30	12,8 0	12,80	153,60	4 მგ	უნგრეთი
	პრესტარუმი	ტაბ 4 მგ №14	5,60	12,00	144,00	4 მგ	საფრანგ.
	პრესტარუმი	ტაბ 4 მგ №30	8,40	8,40	100,80	4 მგ	საფრანგ.
ფოზინოპრილი	მონოპრილი	ტაბ 10 მგ №28	12,8 1	5,98	71,76	20 მგ	იტალია
	მონოპრილი	ტაბ 10 მგ №28	9,99	9,33	111,96	20 მგ	იტალია
ლიზინოპრილი	დიროტონი	ტაბ 10მგ №28	4,40	9,43	113,16	20 მგ	უნგრეთი
	დიროტონი	ტაბ 20მგ №28	7,00	7,49	89,88	20 მგ	უნგრეთი
	დიროტონი	ტაბ 5მგ №28	3,10	13,28	159,36	20 მგ	უნგრეთი
ცილაზაპრილი	ინაპიბისი	ტაბ 2,5მგ №28	5,67	6,07	72,84	2,5 მგ	შვეიცარ.
	ინაპიბისი	ტაბ 5მგ №28	10,1 2	5,42	65,04	2,5 მგ	შვეიცარ.


შენიშვნა*: ფასები აღებულია შპს „ჰეკატეს“ საბითუმო ბაზიდან

ანტიანგინალური სამკურნალო საშუალებებით მკურნალობის ერთი თვის კურსზე დანახარჯების მოცულობა და სხვა ფარმაცოეკონომიკური პარამეტრები მოყვანილია

ანტიანბინალური საშუალებების ფარმაცოეკონომიკური პარამეტრები

სამკურნალო საშუალების საერთაშორისო დასახელება	პრეპარატის საეჭრო დასახელება	გამოშვების ღირსა, ფორმა	საბითუმო ფასი 01.09.03. პ.ე.	დანახარჯები ერთი თვის კურსზე პ.ე.	საშუალო სადღეღამი, თერაპიული დოზა	პრეპარატის შეფუთვა, მძიმე
1	2	3	4	5	6	7
გლიცეროლტრინიტრატი	ნიტროგლიცერინი	kafs. 0,0005 #20	0,20	1,20	2 mg	რუსეთი
	ნიტრო-მაკი რეტ. მიტე	2,5mg #30 kafs.	2,00	8,00	10 mg	სლოვაკეთი
	ნიტროგლიცერინი სუბლინგუალური.	0,0005 #40 t.	0,54	0,40	0,5 mg	რუსეთი
	ნიტროგრანულონგი	0,00052 #10 t.	0,15	1,73	20 mg	რუსეთი
	ნიტრონგი ფორტე	6,5 mg #25 t.	2,10	7,75	20 mg	სლოვენია
	სუსტაკი-მიტე	2,6 mg #25 t.	0,93	4,29	10 mg	სლოვენია
	სუსტაკი-ფორტე	6,4 mg. #25 t.	1,30	4,87	20 mg	სლოვენია
იზოსორბიდ დინიტრატი	ნიტროსორბიდი	0,01 #10 t.	0,09	3,24	120 mg	რუსეთი
	ნიტროსორბიდი	0,01 #25 t.	0,25	3,60	120 mg	რუსეთი
	ნიტროსორბიდი	0,01 #50 t.	0,45	3,24	120 mg	რუსეთი
	იზო-მაკი	20 mg #30 t	1,65	9,90	120 mg	სლოვაკეთი
	იზოინიტი	10 mg #60 t	0,70	4,20	120 mg	ბულგარეთი
	კარდიკეტი რეტ.	20 mg #20 t	1,25	11,25	120 mg	გერმანია
	კარდიკეტი რეტ.	40 mg #20 t	2,05	9,23	120 mg	გერმანია
იზოსორბიდ მონიტრატი	მონო-მაკი	20 mg #50 t	4,00	7,20	60 mg	გერმანია
	მონო-მაკი	40 mg #50 t	5,00	9,00	60 mg	გერმანია
	მონინტი	20 mg #20 kafs.	0,80	7,20	120 mg	საქართველო
	ოლიკარდი რეტ.	40 mg #20 kafs.	3,62	16,29	120 mg	გერმანია
მოლსიდომინი	კორუატონი რეტ.	8 mg #30 t.	11,70	11,70	8 mg	გერმანია
	მოლსიდომინი	2 mg #30 t	1,50	4,50	6 mg	პოლონეთი
	სიდნოფარმი	0,002 #30 t	1,17	3,51	6 mg	ბულგარეთი
ტრიმეტაზიდინი	პრედუქტალი	20 mg #30 t	9,60	28,80	60 mg	საფრანგეთი

შიდასაავადმყოფო ფორმულარული სიების შედგენის მიზნით სტაციონარებში ტარდება ფარმაკოეკონომიკური გამოკვლევები. სამკურნალო დაწესებულებებში ფარმაკოეკონომიკური გამოკვლევების ჩატარების ალგორითმი ნაჩვენებია სქემაზე 2.



კარდიოლოგიური პრეპარატების შიდასაავადმყოფო ფორმულარული სიის შედგენის მიზნით შევისწავლეთ ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების 2002 წლის მონაცემები (ავადმყოფობის ისტორიები). შესწავლილი და გაანალიზებული იქნა 589 დანიშნულების ფურცელი (ავადმყოფობის ისტორია). გაანგარიშებული იქნა საერთო და მათ შორის მედიკამენტური დანახარჯები როგორც ერთი ავადმყოფის მკურნალობის კურსზე, ისე საშუალოდ ერთ საწოლდღეზე დაავადებათა ცალკეული ნოზოლოგიების მიხედვით შედეგები მოყვანილია

ცხრილში 8

მედიკამენტური და საერთო საშუალო დანახარჯები ერთ ავადმყოფზე მკურნალობის კურსზე, პ.ე.-ში

დაავადებათა ნოზოლოგია (დიაგნოზი)	სტაციონარში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა (საწ./დღე)	მკურნალობის კურსზე ერთ ავადმყოფზე საშუალო საერთო დანახარჯები (პ.ე.)	მკურნალობის კურსზე ერთ ავადმყოფზე საშუალო მედიკამენტური დანახარჯები	
			პ.ე.	%
არასტაბილური სტენოკარდია	4,3	40,94	5,58	13,6
მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	9,7	148,39	19,38	13,1
გულის მწვავე უემარისობა	5,4	38,37	9,82	25,6
პაროქსიზმული ტაქიკარდია.	1,7	15,98	1,81	11,4
ჰიპერტონიული კრიზები	1,5	14,08	1,16	8,3

**საერთო და მედიკამენტური დანახარჯები საშუალოდ ერთ
საწოდღეზე დაავადებათა ცალკეული ნოზოლოგიების
მიხედვით**

დაავადებათა ნოზოლოგია (დიაგნოზი)	მეკონსილიუმის გადასახადით საწოდღე	სტაციონარში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა საწოდღე	საერთო დანახარჯები საშუალოდ ერთ საწოდღეზე (პ.ე)	სახელმწიფო სტანდარტული ზედა ზღვრული ტარიფები ერთ საწოდღეზე პ.ე	მედიკამენტური დანახარჯები საშუალოდ, ერთ საწოდღეზე	
					პ.ე	%
არასტაბილური სტენოკარ.	4	4,3	9,52	16,20	1,29	13,6
მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	10	9,7	15,29	18,24	1,99	13,0
გულის მწვავე უკმარისობა	4	5,4	7,10	12,93	1,82	25,6
პაროქსიზმული ტაქიკარდია	2	1,7	9,40	12,41	1,07	11,4
ჰიპერტონიული კრიზები	2	1,5	9,38	12,30	0,77	8,3

პრაქტიკულად საავადმყოფოებს აქვთ დანახარჯების შესახებ აშკარად ცუდი მონაცემები. ჩვეულებრივ მათ არ შეუძლიათ განსაზღვრონ საავადმყოფოში დაყოვნების არც ჭეშმარიტი სადღეღამისო ეკონომიკური ღირებულება, არც მოცემული დაავადების საავადმყოფოში ეპიზოდური მკურნალობის ღირებულება.

ჩვენს მიერ დასახული მიზნიდან და შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის ღირებულების შეფასება მოვახდინეთ მხოლოდ ფარმაცოთერაპიაზე დანახარჯების ანალიზის საფუძველზე, ვინაიდან სწორედ ეს დანახარჯები ახდენს მკურნალობის შედეგებზე უფრო მეტ ზეგავლენას და განსაზღვრავს ფარმაცევტული ბაზრის მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს.

შემდგომ გავანალიზეთ მკურნალობის პროცესში გამოყენებული პრეპარატების დანიშნაობა სიხშირე აბსოლუტურ და ფარდობით მაჩვენებლებში დაავადებათა ცალკეული ნოზოლოგიების მიხედვით და ვაწარმოეთ მათი რანჟირება.

მაგალითისათვის ქვემოთ მოგვყავს არასტაბილური სტენოკარდიის სტაციონარული მკურნალობის დანიშნულებათა ფურცლების (ავადმყოფობის ისტორიების) ანალიზის შედეგები (ცხრილი 10)

ცხრილი 10

არასტაბილური სტენოკარდიის მკურნალობისას გამოყენებული საშუალებების ასორტიმენტი და დანიშნაობა სიხშირე

სამკურნალო საშუალებების დასახელება	ავადმყოფობის ისტორია – 194		რანგი
	დანიშნაობა რაოდენობა		
	აბს.	%	
ნიტროსორბიდი ტაბ.	173	89,2	1
ანალგინი ამპ.	159	81,9	2
ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარი	155	79,9	3
ასპირინი ტაბ.	154	79,4	4
ჰეპარინი ფლ.	143	73,7	5
დიმედროლი ამპ.	99	51,0	6
კაპოტენი ტაბ.	95	48,9	7
სედუქსენი ტაბ.	83	42,8	8
ბისოპროლოლი ტაბ.	81	41,7	9
სედუქსენი ამპ.	67	34,5	10
ბარალგინი ამპ.	55	28,3	11
კაპტოპრილი ტაბ.	55	28,3	12
ფუროსემიდი ამპ.	39	20,1	13
ლიდოკაინი ამპ.	35	18,0	14
მორფინი ამპ.	35	18,0	15
კარდიამინი ამპ.	23	11,8	16
პრედნიზოლინი ამპ.	21	10,8	17

1	2	3	4
პლატიფილინი ამპ.	18	9,3	18
ლაზიქსი ამპ.	18	9,3	19
იზოკეტი ამპ.	16	8,2	20
და ა.შ. სულ 35 დასახელება			21-35

დასრულებული ფორმულარული სია რეგიონის დონეზე მტკიცდება ჯანდაცვის რეგიონალური სტრუქტურის ხელმძღვანელის მიერ (ავტონომიურ რესპუბლიკებში ჯანდაცვის მინისტრების მიერ), ხოლო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მთავარი ექიმის ბრძანებით.

შემდგომი ღონისძიებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების სამედიცინო პერსონალი გაეცნოს არაფორმულარული სამკურნალო საშუალებების გამოყენების, ფორმულარულ სიაში ახალი წამლების შეტანის ან ამოღების, ჯენერიკული და თერაპიული შეცვლის განხორციელების პოლიტიკასა და რეგულირებას.

რ ე ზ ი უ მ ე

1. ამრიგად, კარდიოლოგიური პრეპარატების მაგალითზე შემუშავებულია რეგიონალური და შიდასაავადმყოფო ფორმულარული სიების შედგენის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც:

1.1. ფორმულარულ სიაში სამკურნალო საშუალებები შეტანილი უნდა იქნეს საერთაშორისო არაპატენტირებული ან საერთაშორისო გენერიკული სახელწოდებით;

1.2. სამკურნალო საშუალებების ამორჩევის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო ეფექტურ და უსაფრთხო პრეპარატებს, რომლებიც პასუხობენ ხარისხის შესახებ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს, აქვთ ნაკლები გვერდი-

თი ეფექტები და მინიმალური უკუჩვენებები, ღირებულება/ეფექტურობის კეთილსასურველი თანაფარდობა, ეკონომიკურად უფრო ხელმისაწვდომია, წარმოებულია საქართველოში, ნაკლებად ურთიერთქმედებენ სხვა სამკურნალო საშუალებებთან და საკვებ პროდუქტებთან და ამალეებენ ავადმყოფის ცხოვრების ხარისხს.

2. მოწოდებულია რეგიონალური და შიდასაავადმყოფო ფორმულარების შედგენის ბლოკ-სქემა, რეგიონალური ფორმულარების დამუშავებისას ფარმაკოეკონომიკური გამოკვლევების ჩატარების კონცეპტუალური სქემა და სამკურნალო დაწესებულებებში ფარმაკოეკონომიკური გამოკვლევების ჩატარების ალგორითმი.

3. ფარმაკოეკონომიკური გამოკვლევები სამეცნიერო კვლევითი პროცესია, დაკავშირებული გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთან, ამიტომ რეკომენდაციები ითვალისწინებს, რომ საჭიროა ამ კუთხით სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და ფედერალურ დონეზე ფარმაკოეკონომიკური გამოკვლევების ცენტრის შექმნა. ფედერალური ცენტრი მიზანშეწონილია შეიქმნას სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო თან.

რეგიონალურ დონეზე ასეთი ცენტრები შეიძლება შეიქმნას მსხვილ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან და სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის რეგიონალურ სტრუქტურებთან.

1. Горьков В.А., Быков А. В., Медведев О.С. и др. Медицина, основанная на доказательствах//Провизор. – 1998. - №17. – с.25-27.
2. Громовик Б. П. Роль и место фармакоэкономического анализа в логистических технологиях учреждений здравоохранения.// Провизор. 2000. - №17. – с.24-27.
3. Залиска О.Н. Использование методов фармакоэкономической оценки лекарственных средств в Украине /Методические рекомендации). Львов.-2002.-23с.
4. Залоська О. М.Класифікація фармакоекономічних витрат //Галицька аптека. – 2000. - №6. – с. 10.
5. Залоська О. М. Фармакоекономіка: Навчальний посібник: В 2 ч./ За ред. Б. Л. Парновського. – Львов: Простор – М., 2000. – Ч. I. Теоретичні основи фармакоекономіки. – 64с.: - Ч. 2. Фармакоекономічний аналіз. – 71с.
6. Ивлева А. Я. Фармакоэкономическое обоснование для применения липосодержащих средств//Кардиология. – 1998. - №4. –с. 4-8.
7. Кобина С. А. Экономика здравоохранения: введение в фармакоэкономику //Ремедиум. – 1999. - №4. – с. 38-44.
8. Леонтьев С.Л., Михайлов В.П. и др. Менеджмент фармакотерапии и система формуляров // фармация. – 1998. - № 6.-стр.30-32
9. Лошаков Л.А. Теоретические и методические основы формирования организации лекарственного обеспечения учреждений здравоохранения на территориальном уровне в условиях обязательного медицинского страхования. Автореф. дис. докт. фарм. наук. М.; 1999.

10. Мнушко З.Н, Коберник Т.Н фармакоэкономическое обоснование выбора антидепрессантов // провизор. – 2002. - № 18.- стр. 12-18
11. Подколзина М.В., Немченко А.С. фармакоэкономический анализ: Проблемы доступности сердечно-сосудистых лекарственных средств. // Провизор. – 2000 - № 6.- стр. 20-22
12. Сафиуллин Р.С // разработка формулярной системы по лекарственным средствам в республике Татарстан. Ж. Фармация, 2000, № 5-6,- стр.7-10.
13. Солонина А.В., Устюгова А.М. Методологические подходы к разработке формулярного списка лекарственных средств для лечения новорождённых детей.// Фармация. – 1999. - № 1.- стр. 10-12
14. Стародубов В.И., Гончаренко В.Л., Яицкий Н.А, Дорофеев В.И. Концептуальные вопросы развития здравоохранения и фармацевтического сектора Российской Федерации. Под ред.Ю.Л. Шевченко. СПб: Издательство СПбГМУ: 1999
15. Хвещук П.Ф., Рудакова А.В. формуляр лекарственных средств: методология разработки. - СПб.: ВМедА, 2002.- стр. 183
16. Чубарев В.Н фармацевтическая информация. М., 2000. стр. 316-348
17. Шеенко О.Н формуляр лекарственных средств – новый подход к рациональному использованию финансовых ресурсов. // Фармация . – 1999.- № 6.- стр. 40-41
18. Шашкова Г.Б., Ушкалова Е.А. Развитие формулярной системы по лекарственным средствам в России. // Фармация. – 1998. - № 5 -стр. 6-10

ნაწილი III რეცენზია, გამოხმაორება, ოპონირება

1. რეცენზია დოქტორანტ დალი ბერიძის მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე: „აჭარისა და აჭარა-ლაზე-თის ენდემური მცენარეული სახეობების ბიოეკოლოგიური და ფარმაცოგნოსტური კვლევა“.

2. გამოხმაურება ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თეა ოშხერელის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატზე: “რუსტომექტინის ანტი დემოდეკოზური ეფექტურობა“.

3. ოფიციალური ოპონენტის დასკვნა ნათია კვიციანიძის სადისერტაციო ნაშრომზე; “სამკურნალ საშუალებების მიმოქცევის თავისებურებები საქართველოში”, რომელიც წარმოდგენილია ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობით სამალთა ტექნოლოგია და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია 15.00.01

4. ოფიციალური ოპონენტის დასკვნა ნესტან ნიკურაძის სადისერტაციო ნაშრომზე: „ფარმაცევტული ინფორმაცია და ფარმაცევტული ზრუნვის კონცეპტუალური საფუძვლები“, რომელიც წარმოდგენილია ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობით წამალთა ტექნოლოგია და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია 15.00.01.

რეკენზია

დოქტორანტ დალი ბერიძის მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე: „აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების ბიოეკოლოგიური და ფარმაცოგნოსტური კვლევა“

მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე მკვეთრად იზრდება მცენარეული წამოშობის სამკურნალო საშუალებათა ხედვითი წილი, რაც განპირობებულია მისი მაღალი ეფექტურობით, ორგანიზმის მიერ ადვილად ათვისებადობით და გვერდითი მოვლენების სიმცირით. მცენარეული წამალთფორმების ნომენკლატურის გაფართოება თანამედროვე ფარმაციისა და მედიცინის აქტუალური ამოცანაა.

სამკურნალო მცენარეთა ეფექტიანობა პირდაპირ დაკავშირებულია მცენარის ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტებთან, რომელთაც ჯანმრთელობის გაუმჯობესება შეუძლიათ. დღეისათვის მედიცინაში გამოყენებული წამალთფორმების 30%-მდე მცენარეული წარმოშობისაა.

მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისაგან მიღებული პრეპარატები წარმატებით გამოიყენება კარდიოლოგიაში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ, ონკოლოგიაში სიმსივნეების სამკურნალოდ. მართალია მცირეა იმ მცენარეების რიცხვი, რომლებიც გამოიყენება სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიაში, მაგრამ *in vitro* კვლევებით მრავალ მცენარეს აღმოაჩნდა ანტისიმსივნური მოქმედება. სწორედაც ამის გამო ძალზე საშური და გადაუდებელი საქმეა შემდგომი კვლევების ჩატარება, რათა დადგინდეს მცენარეული წარმოშობის პრეპარატების ეფექტურობა და გაიზარდოს სამკურნალოწამლო საშუალებათა ასორტიმენტი.

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური ფლორა ძალზედ მრავალფეროვანია. იგი წარმოდგენილია 168 სახეობით, რომლებიც 88 ოჯახის 150 გვარში ერთიანდებიან. მრავალფერო-

ვანია აჭარის ფლორისტული რაიონის ენდემური ფლორის გეოგრაფიული სტრუქტურაც: 68 სახეობა კავკასიის ენდემია, 52 კოლხეთის, 21 საქართველოს, 19 აჭარა-ლაზეთის და 8 აჭარის.

აჭარის ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნებას, მის გამორჩეულობას, როგორც ცნობილია განსაზღვრავს ის, რომ სამხრეთ კოლხეთი გამყინვარების პერიოდში რელიქტებისა და ენდემების თავშესაფარი იყო. რელიქტების მნიშვნელოვანი ნაწილი კი ხშირ შემთხვევებში ენდემურია.

ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში მწირი მონაცემებია აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების ბიოეკოლოგიური შეფასებისა და ფარმაკოგნოსტული შესწავლის კუთხით. ზოგიერთი ენდემური მცენარეული სახეობა გადაშენების საფრთხის წინაშეცაა, ამიტომ მათი დროული შესწავლა, უპირველესად, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ბოტანიკოსებისა და ფარმაკოგნოსტებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისერტანტმა მიზნად დაისახა აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემების ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა და მათი გამოკვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე, მათი ფარმაკოგნოსტური დახასიათება და მედიცინაში გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტებად შერჩეულია ენდემების ის სახეობები, რომლებიც ამ მიმართულებით ჯერ არ შესწავლილა.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ხუთი ძირითადი ნაწილით-შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, ექსპერიმენტული ნაწილის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხით.

შესავალში ნაშრომის დახასიათებაა წარმოდგენილი, სადაც ნათლად არის ასახული ნაშრომის აქტუალობის დასაბუთება; კვლევის მიზანი და ამოცანები; ნაშრომის მეცნიერული

სიახლე; ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება; კვლევის შედეგების აპრობაცია.

პირველ თავში - აჭარის ფლორისტული რაიონი და მისი ენდემური მრავალფეროვნება - აღწერილია აჭარის ფლორისტული რაიონის გეოგრაფიული საზღვრებისა და სახეობრივი შემადგენლობის თავისებურებები. მოცემულია კავკასიის, საქართველოს, კოლხეთის ენდემური მცენარეების შემადგენლობა აღნიშნულ რაიონში. გამოყოფილია ფლორისტულ რაიონში მოზარდი ლოკალური გავრცელების აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების ამ ეტაპზე არსებული მცენარეთა ნუსხა, რომელიც შედგება აჭარის 8 და აჭარა-ლაზეთის 18 ენდემური სახეობისგან.

მეორე თავში - მცენარის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და მათი შესწავლის მნიშვნელობა-დოქტორანტი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე აღწერს მცენარის შემადგენლობაში არსებული პირველადი და მეორადი მეტაბოლიტების ქიმიურ ბუნებას, მათ მნიშვნელობას სამკურნალო მიზნებით. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეორადი მეტაბოლიტების: ტერპენოიდების (იზოპრენოიდები), ალკალოიდების, ფენოლური ნაერთების აღწერას, ვინაიდან სწორედ ეს ნივთიერებებია, რომელთა შემცველობის მიზეზითაც მრავალი მცენარეა დანერგილი ფარმაციასა და მედიცინაში და მრავალს ჯერ კიდევ წინ აქვს გამოყენებისა და დანერგვის პერსპექტივა, მითუმეტეს წარმოდგენილი ნაშრომის მთავარი მიზანიც ეს არის. მოყვანილი აქვს სტატისტიკური მონაცემები ამა თუ იმ დაავადების, მათ შორის, ონკოდაავადებების მკურნალობაში რაც ნათლად აჩვენებს, თუ რაოდენ დიდია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი მცენარეების მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ უცხოელ მცენარეთა გვერდით, ქართველ მეცნიერთა ამ მიმართულულებით ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ჩატარებუ-

ლი კვლევებისა და მიღწეული შედეგების ანალიზიც არის გაკეთებული.

მესამე თავში-კვლევის ობიექტები და მეთოდები - წარმოდგენილია აჭარისა და აჭარა-ლაზეთის დღეისათვის არსებული ნუსხიდან საკვლევად აღებული მცენარეული სახეობები, სულ 21, ვინაიდან დანარჩენი შესწავლილია და გამოყენებას ჰპოვებენ მედიცინაში (*Galanthus, Cyclamen...*).

ჩამოთვლილი და აღწერილია კვლევის მეთოდები, ბიოეკოლოგიური კვლევის დროს გამოყენებული ლიტერატურა და მეთოდიკები; ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე გამოყენებული სკრინინგის მეთოდები და ტანდემური ქრომატო-მასსპეტრომეტრიის თანამედროვე GC/MS/MS მეთოდი, მოცემულია მისი გამოყენების თანმიმდევრული პროცესები; აღწერილია თუ როგორ მომზადდა ექსტრაქტები და ლიპოსომალური ნაწილაკები ციტოტოქსიკური მოქმედების დასადგენად.

მეოთხე თავში-აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების გავრცელების არეალის ნიადაგურ-კლიმატური პირობების ზოგადი დახასიათება-მოცემულია საკვლევი ობიექტების ზღვისპირეთიდან აჭარის მაღალმთის ჩათვლით გავრცელების არეალის კლიმატური პირობებისა და ნიადაგების ტიპების ზოგადი დახასიათება.

მეხუთე თავში-აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების ბოტანიკური დახასიათება-დისერტანტი საკუთარი დაკვირვების და ლიტერატურული მონაცემების შეჯერების საფუძველზე გვაძლევს საკვლევი ობიექტების ბალახოვანი, ბუჩქოვანი და ხე-მცენარეებით წარმოდგენილი სასიცოცხლო ფორმების ბოტანიკურ დახასიათებას. დოქტორანტურის პერიოდში განხორციელებული მრავალი ექსპედიციური გამოკვლევა იძლევა ამის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში წარმოდგენილია დოქტორანტის მიერ მოპოვებული ორიგინალური ფოტომასალა.

მეექვსე თავში-აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების გავრცელების არეალების დაზუსტება-დოქტორანტი ასევე მრავალჯერადი ექსპედიციური გამოკვლევების გზით აზუსტებს კვლევაში გამოყენებული ობიექტების GPS-კოორდინატებს, წარმოდგენას გვიქმნის აჭარის ფლორისტულ რაიონში აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემების გავრცელების თავისებურებებზე

მეშვიდე თავში-აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების ზრდა-განვითარების თავისებურებები-აღწერს ყოველწლიურად მარტიდან ოქტომბრის ჩათვლით სხვადასხვა დროს განხორციელებული ექსპედიციური გამოკვლევებისა წარმოებული ფენოლოგიური დაკვირვებების შედეგებს - ბალახოვანი, ბუჩქოვანი და ხე-მცენარეებით წარმოდგენილი საკვლევი ობიექტების სეზონურ დინამიკაში გაანალიზებულ ვეგეტაციური განვითარების, ზრდის, ყვავილობის, თესლის წარმოქმნის თავისებურებებსა და მიახლოებით ვადებს. დადგენილია ხანმოკლე და ხანგრძლივი ვეგეტაციის, ხანმოკლე და ხანგრძლივად მოყვავილე სახეობები, შეფასებული თესლწარმოქმნის პროცესები. მითითებულია ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობაზე დამოკიდებული ცვალებადობები. მეტეოროლოგიური მონაცემები ცხრილის სახით თვალსაჩინოდ აჭარისწყლის მაგალითზეა მოყვანილი, ვინაიდან, საკვლევი ენდემური სახეობების გავრცელების „სიმძიმის ცენტრი“ აჭარისწყალზე მოდის.

მერვე თავში-აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების კვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე - პირველ ქვეთავში დაწვრილებით არის აღწერილი ალკალოიდების, ფლავონოიდების, კუმარინების შემცველობის კვლევის თანმიმდევრობა 21 სახეობაზე და მიღებული შედეგები.

მეორე ქვეთავში მოცემულია აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების შესწავლა ბიოლოგიუ-

რად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე ქრომატომას-სპექტრომეტრის GC-MS/MS მეთოდით. ამ შემთხვევაშიც დაწვრილებით არის აღწერილი კვლევის ამ უახლესი მეთოდით განხორციელებული კვლევის თანმიმდევრობა, შედეგები თვალსაჩინოდ არის ასახული მრავალრიცხოვანი ცხრილებისა და დიაგრამების, კვლევის დამადასტურებელი ფოტოსურათების სახით. აღსანიშნავია, რომ ამ კვლევის შედეგად გამოვლენილია არა მარტო ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა ძირითადი კლასები, არამედ კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ნივთიერებები, რაც მოწმობს აჭარისა და აჭარა-ლაზეთის მანამდე შეუსწავლელი, ან ნაწილობრივ შესწავლილი ენდემური მცენარეული სახეობების მდიდარ, სამკურნალწამლო მნიშვნელობის შემადგენლობას.

მეცხრე თავში-აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების შესწავლა ციტოტოქსიკურ მოქმედებაზე - კვლევის ამ ეტაპის საკვლევ ობიექტებს წარმოადგენდა: აჭარის ენდემური მცენარეები: *Allium adzharicum* M. Pop., *Angelica adzharica* M.Pop., *Centaurea adzharica* Sosn., *Erysimum contractum* Somm. Et. Levier., *Psoralea acaulis* var. *Adzharica*, *ranunculus ampellophylus* var. *adzharica*, *rubus adzharicus* Sanadze, აჭარა-ლაზეთის ენდემური სახეობა: *Astragalus adzharicus* M. Pop.

აღნიშნულ კვლევაში ჩართული იყო ადამიანის კანის ფიბროპლასტები WS1 (ATCC CRL-1502), ადამიანის ფილტვის კარცინომა A-549 (ATCC CCL-185), სწორი ნაწლავის ადენოკარცინომა DLD-1 (ATCC CCL-221) და RAW 264,7 (ATCC TIB-71) ციტოსტატიკური აქტიურობის გამოკვლევის შედეგები სარძევე ჯირკვლის MCF-7 ადენოკარცინომის კულტივირებადი უჯრედების მიმართ.

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მიღებული შედეგები - კვლევაში ჩართული ობიექტებიდან ირკვევა, რომ *Erysimum contractum*-ის მეთანოლიანი ექსტრაქტი

ინჰიბიტორულ მოქმედებას ახდენს ფილტვის კარცინომის უჯრედებზე (A-549) IC-11,4±0,4mg/ml, შედარებით ნაკლებად DLD-1 სწორი ნაწლავის ადენოკარცინომაზე IC-59 ± 10mg/ml და არ ხასიათდება გამოხატული ტოქსიკურობით კანის ნორმალურ ფიბროპლასტების (WS-1) მიმართ IC-121 ± 32mg/ml ეტოპოზიდთან მიმართებაში. სხვა საკვლევი ნიმუშები რიგ შემთხვევებში არ ამჟღავნებენ ინჰიბიტორულ მოქმედებას ან ხასიათდებიან მაღალი ტოქსიკურობით. ციტოტოქსიკურ მოქმედებაზე პასუხისმგებელი ნაერთების გამოვლენის მიზნით, შემდგომი კვლევა გაგრძელდა Erysimum contractum-ის ბალახისგან მიღებულ ახალგალენურ პრეპარატებზე და მის შემცველ ლიპოსომურ ნანონაწილაკებზე და გამოვლინდა, რომ ახალგალენური პრეპარატის შემცველი ლიპოსომური ნანონაწილაკები ავლენენ სელექციურ მოქმედებას. მათ გააჩნიათ მაღალი ციტოტოქსიკური მოქმედება სიმსივნური უჯრედების მიმართ და იმავდროულად არ არიან ტოქსიკურები კანის ნორმალური, ფიბროპლასტების მიმართ.

აღნიშნული კვლევის სტრატეგიიდან (სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით პერსპექტიული სამკურნალო მცენარეული სახეობის გამოვლენა და მისი ფარმაკოლოგიური შეფასება) გამომდინარე, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, პერსპექტიულ ობიექტად შერჩეული იქნა აჭარის ენდემური მცენარეული სახეობა შეჯგუფული ერიზიმუმი E. Contractum, შესწავლილი იქნა შეჯგუფული ერიზიმუმის წყლიანი, მეთანოლიანი მშრალი ექსტრაქტების და საგულე გლიკოზიდებით მდიდარი ფრაქციის მოქმედება in vitro ცდაში სიმსივნურ უჯრედებზე. ციტოტოქსიკურ აქტიურობაზე კვლევა ჩატარდა in vitro ცდაში ბელორუსიაში, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სიმსივნურ უჯრედებზე კერძოდ, მკერდის სიმსივნურ უჯრედებზე MCF-7(მკერდის ადენოკარცინომა) და კანის კერატინოციტებზე HaCaT.

მიღებულია შედეგი-აჭარის ფლორისტული რაიონის ენდემური მცენარის-შეჯგუფული ერიზიმუმის გამოკვლეულ პრეპარატებს არ გააჩნიათ კურკუმინის ტოლფასი სპეციფიკური ციტოტოქსიურობა ადამიანის სარძევე ჯირკვლის ადენოკარცინომის უჯრედული ხაზი MCF-7-ის მიმართ. ამავე დროს პრეპარატებს: 2 (მეთანოლიანი) და 3 (საგულე გლიკოზიდები) გააჩნიათ მაღალი სპეციფიკური ციტოტოქსიურობა კერატინოციტებთან მიმართებაში. გამომდინარე აქედან ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოტენციური ფარმაკოლოგიური საშუალებები კერატინოციტების მაღალი პროლიფერაციით გამოწვეული პათოლოგიების გარეგანი თერაპიისთვის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ის, რომ შესწავლილია აჭარის 6 და აჭარა-ლაზეთის 15 ენდემური მცენარეული სახეობა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე. დადგენილია სხვადასხვა კლასის ნაერთების: ფლავონოიდების, კუმარინების, ალკალოიდების, მთრიმლავი ნივთიერებების, ტერპენოიდების და ა.შ. შემცველობები.

გამოვლენილია შემდგომი შესწავლისათვის პერსპექტიული სახეობა-შეჯგუფული ერიზიმუმი-*Erysimum contractum* Somm. Et Levier, რომლისგანაც მიღებული ახალგაღენური პრეპარატის შემცველ ლიპოსომურ ნანონაწილაკებს გააჩნიათ სელექციური სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ფიტოქიმიური და ფარმაკოლოგიური კვლევების საფუძველზე გამოვლენილია აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობები, რომელთა შემდგომი შესწავლაც გადაუდებელ და აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნებში 10 პუნქტად არის ჩამოყალიბებული აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ბიოეკოლოგიური და ფარმაკოგნოსტური კვლევის ძირითადი შედეგები. დასკვნები შეესაბამება ნაშრომის მიზანსა და ამოცანებს.

სადისერტაციო ნაშრომი ორიგინალურია, შესრულებულია ავტორის მიერ. გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა მოიცავს კლასიკური და თანამედროვე შრომების 140 დასახელებას. გამოყენებული ლიტერატურული წყაროები სათანადოდ არის ციტირებული.

ნაშრომი ენობრივად გამართულია. იკითხება კარგად. ნათლად ჩანს ბოტანიკური და ფარმაკოგნოსტური მიმართულებით ჩატარებული კვლევითი მიმართულებები.

ორივე მიმართულებით ჩატარებული კვლევა, კვლევის ბაზები, გაფორმებული მასალის სპეციფიურობა ნათლად მიგვითითებს დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების, მათი სამეცნიერო პარტნიორების მონოლითური, ურთიერთშეთანხმებული და ღირებული კვლევის პროცესზე. დოქტორანტს თითოეულ კვლევაში-ექსპედიციურ გამოკვლევასა და ბოტანიკურ-ეკოლოგიურ აღწერებში; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის ლაბორატორიებში; ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტოქსიკოლოგიისა და ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიაში; ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში ჩატარებული აქვს შრომატევადი სამუშაოები.

მიღებული მრავალფეროვანი და კონკრეტული შედეგები არის დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელების შემდგომი კვლევების უშრეტი წყარო პრაქტიკაში დანერგვის პერსპექტივით.

სადისერტაციო ნაშრომს აქვს როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული ღირებულება და ცხადყოფს დისერტანტის მაღალ პროფესიონალიზმს.

მთლიანობაში დალი ბერიძის სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევას მცენარეთა ბიომრავალფეროვნების შესწავლის საქმეში, სრულად პასუხობს სადისერტაციო ნაშრომებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და საჯარო დაცვაზე მისი დაშვება მიზანშეწონილია.

გამოხმაურება

ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **თეა ომხერელის** მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატზე: „**რუსტომექტინის ანტიდემოდეკოზური ეფექტურობა**“.

დემოდეკოზით ავადდება ყველა სახის ცხოველი, იგი შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც აღინიშნება ადამიანებშიც. ამიტომ ეს თემა მედიკოსებისა და ფარმაცევტების ინტერესის საგანსაც შეადგენს. დემოდეკოზით დაავადებული ძაღლების მკურნალობა ერთის მხრივ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (რთულია მის გამომწვევ ტკიპთან ბრძოლა, ხშირია რემისიის შემთხვევები და სხვა), ხოლო მეორეს მხრივ, ამჟამად არსებული საწინააღმდეგო საშუალებები არ ხასიათდებიან მაღალი ეფექტურობით. ახალი ანტიდემოდეკოზური საშუალებების ძიება, მათი შერჩევა და პრაქტიკაში დანერგვა ვეტერინალური ფარმაკოლოგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აქედან გამომდინარე დისერტანტის თემა მეტად აქტუალურია.

როგორც ავტორეფერატიდან ჩანს, დისერტანტმა დასახული მიზნის მისაღწევად შეისწავლა პრეპარატ რუსტომექტინის ეფექტურობა დემოდეკოზით დაავადებულ ძაღლებში, დაადგინა ძაღლების ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ცვლილებები, როგორც დაავადებულ, ისე პრეპარატით ნამკურნალევ ცხოველებში. შეარჩია ამ სამკურნალწამლო საშუალების დოზები დემოდეკოზით დაავადებული ცხოველის მკურნალობის დროს, განსაზღვრა რუსტომექტინის ტოქსიკურობის ძირითადი პარამეტრები.

დისერტანტის მიერ ჩატარებული კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მან პირველმა გამოიყენა პრეპარატი რუსტომექტინი ძაღლების დემოდეკოზის სამკურნალოდ და დაამტკიცა მისი მაღალი თერაპიული ეფექტურობა.

დისერტანტის გასაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან საკმაოდ ღრმად შეისწავლა პრეპარატის გავლენა სხვადასხვა ორგანოებზე და დაამტკიცა, რომ სხვა ანტიდემოდეკოზური საშუალებებისაგან განსხვავებით რუსტომექტინი თერაპიულ დოზებში უარყოფით გავლენას არ ახდენს ღვიძლზე.

ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე დისერტანტმა გააკეთა მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულებების მქონე დასკვნები, რომლებიც უეჭველად გამოადგებათ ვეტერინარ ექიმებს პრაქტიკულ საქმიანობაში დემოდეკოზის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარების დროს, აგრეთვე ექიმებსა და ფარმაცევტებს ანალოგიური თემის დამუშავებისას.

დისერტანტ თ. ოშხერელის მიერ ჩატარებული სამუშაო შესრულებულია სწორი მეთოდური მიდგომით, მუშაობისას გამოყენებულია კვლევის თანამედროვე ფიზიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური მეთოდები. ცდებში მიღებული შედეგები დამუშავებულია სტატისტიკურად. თვით დისერტაციის ავტორეფერატი დაწერილია გამართული ქართული ენით, გაფორმებულია თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, მის მიერ გაკეთებული დასკვნები შეესაბამება ტექსტის შინაარსს.

მთლიანობაში თ. ოშხერელის სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი თემაზე: „რუსტომექტინის ანტიდემოდეკოზური ეფექტურობა“ სრულიად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც წარედგინება ავტორეფერატს ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაკოვებლად.

თფიციალური ოპონენტის დასკვნა

ნათია კვიციანიძის სადისერტაციო ნაშრომზე; „სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის თავისებურებები საქართველოში“, რომელიც წარმოდგენილია ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობით სამალთა ტექნოლოგია და ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია 15.00.01

წამლის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკიდან გამომდინარეობს, მიზნად ისახავს მოსახლეობის უზრუნველყოფას უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით. წამალთპოლიტიკის რეალიზაციის სტრატეგიულ მიმართულებებში უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია- წამლის ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, მისი რაციონალური შერჩევა და გამოყენება, წამლის შესახებ ობიექტური ინფორმაციული სისტემის შექმნა და ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელება სამედიცინო დარგის მუშაკებისა და მოსალოცისათვის, ფარმაცევტისა და აფთიაქის როლის ამაღლება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და სხვა.

სამკურნალო საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ წამლის ნომენკლატურულ მრავალფეროვნებაზე, არამედ არსებული ასორტიმენტის რაციონალურ გამოყენებაზე. წამლის რაციონალური გამოყენება გულისხმობს ძირითადი (ესენციალური) წამლების უპირატეს მოხმარებას, წამლის ხელმისაწვდომობას და ფინანსური რესურსების ეფექტურად ხარჯვას.

თუ ჯანდაცვის ეკონომიკური ეფექტიანობა წამლის ხელმისაწვდომობასა და რაციონალურ ხარჯვას გულისხმობს, სოციალური ეფექტიანობა კი-სოციალურად ორიენტირებულ ფარმაცევტულ ბაზარს, რომელიც ითვალისწინებს მის მექანიზმში მოსახლეობის სოციალური დაცვის სპეციალური

სისტემების ჩართვასაც, საჭიროებს მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტასა და მოგვარებას.

ქვეყნის კანონმდებლობა, მისი შესაბამისობის ხარისხი ჯანმო-ს რეკომენდაციებთან, საქართველოს ფარმაცევტული ბარის თავისებურებები, რაც უპირველესად გამოიხატება სააფთიაქო დაწესებულებების განლაგების დროს დემოგრაფიული და გეოგრაფიული პრინციპების უგულვებელყოფაში, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს წამალთა რაციონალურ გამოყენებაზე. პრობლემას ამძაფრებს ისიც, რომ ქვეყანაში ძირითად და სასიცოცხლოდ აუცილებელ (ესენციალურ) წამლებზე არ არსებობს ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემა, რეკლამა სამკურნალო საშუალებებზე არ იცავს ეთიკურ პრინციპებს და იგი “აგრესიულია”, ცალმხრივია, არ მოქმედებს რეცეპტის ინსტიტუტი, საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია თვითმკურნალობამ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისერტანტმა მიზნად დაისახა საქართველოში სამკურნალო საშუალებების მიმოქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება მათი რეციონალური გამოყენების მიზნით.

ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტის სახით 113 გვერდზე. მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, საკუთრივ გამოკვლევებს, დასკვნებსა და დანართებს. ბიბლიოგრაფია მოიცავს 185 ლიტერატურულ წყაროს, რომელთაგან 25 ქართულ, 49 რუსულ და 110 ინგლისურ ენებზეა.

დისერტაცია შედგება 5 თავისაგან:

I სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის თავისებურებები მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში;

II კვლევის ობიექტები და მეთოდები;

III პაციენტის, როგორც მომხმარებლის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლის შედეგები;

IV ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემის თავისებურებების შესწავლა საქართველოში;

V ფარმაცევტული საქმიანობის სახეები და მასთან დაკავშირებული ფარმაცევტული, პროფესიული თვითშეგნება.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა: სტატისტიკური მონაცემები, დადგენილებები, კანონები და კანონქვედებარე აქტები, ჯანმო-ს რეკომენდაციები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, წამლის სააგენტოს და სახელმწიფო სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის კომპანიის მონაცემები.

კვლევის პროცესში გაანალიზებულია მონაცემები, რომლებიც შეეხება სამკურნალო წამლო საშუალებების დანიშვნას, რაციონალურ გამოყენებას, ფარმაცევტის როლს სოციალურად (პაციენტზე) ორიენტირებული ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ჩატარებულია 2200 მომხმარებლის (პაციენტის) და 800 სამედიცინო და ფარმაცევტულ პერსონალის სოციოლოგიური გამოკითხვა ანკვირებისა და ინტერვიუების ფორმით გარდამავალ პერიოდში ფარმაციაში მიმდინარე პროცესების შეფასების მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია კვლევის შედეგი მეთოდები: სოციოლოგიური, ისტორიული, ექსპერტული შეფასების.

კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები სტატისტიკურად დამუშავებულია სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

დისერტანტის მიერ ჩატარებულია ჯანმო-ს რეკომენდაციებისა და საქართველოს ფარმაცევტული კანონდებლობის ანალიზი, შესწავლილია საქართველოში წამლის მიმოქცევის თავისებურებები, საქართველოს რეგიონებში 1999-2003 წლებში ჩატარებულია სოციოლოგიური გამოკვლევები, რის საფუძველზეც მეცნიერული შეფასება მიეცა წამლის დანიშვნასთან, შესყიდვასთან, გამოყენებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

შედგენილი და მოწოდებულია საზოგადოებრივი აფთიაქის დროებითი ტიპური დებულების პროექტი;

შედგენილია მეთოდური რეკომენდაციები “სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის თავისებურებები საქართველოში”.

პაციენტის, როგორც მომხმარებლის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლის შედეგად დისერტანტმა დაადგინა - გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 58% აღნიშნავს, რომ კარგად ერკვევა საკითხებში, რომლებიც შეეხება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ხოლო 27% ცუდად ერკვევა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებში. 30%-ისათვის წამლის ყიდვისას ინფორმაციის წყაროა ფარმაცევტი, 35%-ისათვის კი ექიმი. (გვ. 51) რჩევა-დარიგებისათვის კი რესპოდენტთა 40% მიმართავს ფარმაცევტს, ხოლო მხოლოდ 31%-ექიმს (გვ.66). დისერტანტის მოსაზრებით, მოსახლეობის მიმართვიანობის სიხშირის მატებას ფარმაცევტებთან სათანადო დახმარებისა და ინფორმაციის მიღების მიზნით განაპირობებს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობები, ექიმთა არასათანადო კვალიფიკაცია ან ნაკლები ყურადღებიაანობა (გვ.65). ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების დროს რესპოდენტთა მხო-

ლოდ 29% მიმართავს პოლიკლინიკას და 28 % უბნის ექიმს. (გვ.55), რესპოდენტთა 35% არ მიმართავს ექიმს კონსულტაციისათვის ეკონომიკური პირობების მიუხეზით, ხოლო 19% იმიტომ, რომ არ სჯერა ექიმის (გვ.62).

წამლის მოსამზადებლად აფთიაქს მიმართავს რესპოდენტთა მხოლოდ 19%, ხოლო 64% ურეცეპტოდ შეიძენს მისთვის საჭირო მზა წამალთფორმებს (გვ. 67), რომელთაგან 40% საინექციო წამალთფორმებია, 20% ტაბლეტირებული, 15% საინჰალაციო და ა.შ. ყოველივე ზემოღნიშნული მიუთითებს იმ სერიოზულ ძვრებზე, რომლებიც ბოლო წლებში მოხდა ჩვენს ქვეყანაში. მოსახლეობის დაბალი მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში, რეცეპტის უგულებელყოფა, კონკურენცია სააფთიაქო დაწესებულებებს შორის, მათი დაინტერესება მედიკამენტების ურეცეპტო რეალიზაციაში, საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ასევე თვითმკურნალობის ფართო გავრცელებას. ეს სიტუაცია შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებითაც, რომ პაციენტი ეძებს იაფ, სწრაფად მოქმედ წამალს, რომელიც ხშირად იხმარება არა მთლიანი კურსით, არამედ წარმოშობილი სიმპტომების შერბილებამდე.

სამედიცინო განათლების მქონე რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგად (გვ.75) დისერტანტმა გაარკვია, რომ მათი ყველაზე დიდი ნაწილი - 39% წამლის შეძენისას ყურადღებას ანიჭებს მის ფარმაკოლოგიურ ეფექტურობას, 15%-ისათვის გადამწყვეტია სოციალური, 14%-ისათვის ბიოფარმაცევტული, 13%-ისათვის კი ეპიდემიოლოგიური ფაქტორები. მოსახლეობის 19% არ ფლობს ინფორმაციას ზემოთ ხსენებული ფაქტორების შესახებ. მოსახლეობის გათვითცნობიერება ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული სამკურნალო საშუალებების შესახებ საკმაოდ შრომატევადი და ფინანსურად ძვირადღირებული პროცესია, თუმცა ამავე დროს უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი საკითხია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში არ მუშაობს რეცეპტის ინსტიტუტი. ჩვენ ვეთანხმებით დისერტანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არა მარტო უნდა აღდგეს რეცეპტის გამოწერის პრაქტიკა, არამედ რეცეპტის მნიშვნელობაც უნდა გადაიხედოს. დისერტანტი გვთავაზობს, რომ რეცეპტის კლასიკური ოთხი მნიშვნელობიდან სამი - სამედიცინო, იურიდიული და ფინანსური დავტოვოთ უცვლელად, ტექნოლოგიური შევცვალოთ ფარმაცევტული მნიშვნელობით და დავუმატოთ მეხუთე - სოციალური მნიშვნელობა. რეცეპტი უნდა იქცეს სხვადასხვა სოციალურ - ეკონომიკური სტატუსის მქონე მოქალაქეების კვალიფიციური და სრულფასოვანი სამედიცინო დამარების გარანტიად და მისი საშუალებით უნდა მოხდეს მოსახლეობის დეკრეტირებული ფენების (პენსიონერები, ინვალიდი და სხვა.) უზრუნველყოფა სამკურნალო საშუალებებით უფასოდ ან შეღავათიან ფასებში.

დისერტანტმა გამოიკვლია საქართველოში ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემა და მისი პრობლემები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საავადმყოფოების არაადეკვატური ბიუჯეტის გამო ავადმყოფები თვითონ ყიდულობენ წამლებს, რაც იწვევს საავადმყოფოს აფთიაქების ფუნქციის დაკარგვას (მოშლას) და წამალთა არარაციონალურ გამოყენებას, სამკურნალო საშუალებების რეგლამენტირების სფეროში კანონისა და კანონქვემდებარე აქტების ნაჩქარევი მიღების გამო მათ დანერგვა-შესრულებასთან დაკავშირებულია სერიოზული პრობლემები, პროფესიული მომსახურების ხარისხი და დონე მოთხოვნილების არაადეკვატურია, მოგება გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც გამოიწვია მომსახურების ხარისხის დონის გაუარესება. ამ მსჯელობას ადასტურებს გამოკვლევის შედეგებიც. თბილისში, ფარმაცევტული საქმიანობით დაკავებული 201 ულიცენზიო ობიექტის ანკეტირების შესწავლის საფუძველზე დი-

სერტანტმა გაარკვია, რომ 43 განთავსებულია ჯიხურში (21.4%), 78 წარმოდგენილია ცალკე დახლით (38.8%) და 80 ობიექტი (39.8%) განლაგებულია კაპიტალურ შენობაში. ასეთ ობიექტებში დასაქმებული 201 პირიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 37-ს (18.4%), საშუალო ფარმაცევტული განათლება - 42 (20.9%), უმაღლესი და საშუალო სამედიცინო განათლება - 27, სხვადასხვა სპეციალობისა იყო 56 პირი, ხოლო საშუალო სკოლის განათლებით - 25 (12.4%), სურათი ძალიან მძიმეა და დამაფიქრებელი.

დისერტაციის ერთი თავი (მე-5) ეძღვნება ფარმაცევტის როლისა და მისი პროფესიული თვითშეგნების საკითხების კვლევას. ჯანმო-ს სტრატეგიული დოკუმენტი-პაციენტზე ორიენტაცია, რომლის მიზანია ფარმაცევტის როლისა და ადგილის შეცვლა ჯანდაცვის სისტემაში, მოითხოვს უფრო მეტ ორიენტაციას პროფილაქტიკაზე და არა მკურნალობაზე, პაციენტზე და ნაკლებად პროდუქტზე, ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის პრინციპებს და უპირატესობას ანიჭებს წამლის რაციონალურად გამოწერას და გამოყენებას. ფარმაცევტის ამოცანების და როლის ახლებური გააზრებისათვის მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ხედავს საკუთარ ფუნქციებს ფარმაცევტი ჯანდაცვის სისტემაში ანუ როგორ აქვს გაცნობიერებული ფარმაცევტს თავისი პროფესიის მნიშვნელობა სამედიცინო მომსახურების სფეროში.

სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე დისერტანტმა გაარკვია, რომ ფარმაცევტის როლი აფთიაქში პროფესიული ხედვის ტიპების მიხედვით მეტად მრავალფეროვანია და ყველა შემთხვევაში ორიენტირებულია მომხმარებელზე/პაციენტზე (37%). აფთიაქის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგად გაანალიზებული იქნა ფარმაცევტის როლი და ამოცანები ჯანდაცვის სისტემაში, მისი პროფესიული თვითშეგნება. დადგენილ იქნა, რომ აფთიაქებში მომუშავე ფარმაცევტთა 55% უპირატესობას ანიჭებს შეგუებით ხედვას, 27%-

ტექნიკურ, 12%-საქმიან და მხოლოდ 6%-ჰუმანურ ხედვას. მიღებული შედეგები თვალნათლივ აჩვენებენ, რომ ფარმაცევტები ნაკლებად არიან გათვითცნობიერებულნი ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა: პროფესიული ხედვის მოდელები და ჰუმანური ხედვის უპირატესობანი, მათი მახასიათებლები. ჯანმო მისწრაფვის ფარმაცევტის ჰუმანური ხედვის განვითარებისკენ, რომელიც აყალიბებს ფარმაცევტის ახალ ფუნქციებს. საკუთარი და მომხმარებლის როლის უფრო ფართო გაგება - ასეთი ხედვა უნდა განვითარდეს ფარმაციაში, რაც მნიშვნელოვანია პირველადი სამედიცინო დახმარების სისტემაში ფარმაცევტის წინაშე არსებული ამოცანების გადაჭრისათვის.

ამ ფონზე სავსებით ვეთანხმებით დისერტანტის დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ ის საჭიროდ მიიჩნევს ისეთი საკითხების გაანალიზებას და ხელშეწყობას, როგორცაა: კვლევები, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს დააკავშირებს ჰუმანური ხედვისაკენ მიმართულ სამუშაოებს, ხელს შეუწყობს ჰუმანური ხედვის დანერგვას ფარმაცევტულ სფეროში; განათლება, რომელიც დაფუძნებულია ჰუმანურ ხედვაზე; იმ ფარმაცევტების დახმარება, რომელთაც სურვილი აქვთ შეცვალონ თავიანთი როლი.

შევაჩერებთ ყურადღებას რამდენიმე შეკითხვაზე, რომლებზეც ველით პასუხს საჯარო პაექრობის დროს.

1. დისერტაციის 49გვ-ზე თქვენ ბრძანებთ, რომ “სამკურნალო საშუალებები მიმოქცევის თავისებურებების შესწავლის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს სოციოლოგიური კვლევა წარმოადგენს”-ო

ამავე დროს ცნობილია, რომ სოციოლოგიური გამოკითხვა პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება (გვ.46). პირველად ინფორმაციაზე დარდნობით გაკეთებულია კვლევითი ნაწილის დასკვნები და რეკომენდაციები. ხომ ვერ მოგვახსენებთ, რამდენად დიდი შეიძლება

იყოს დასკვნების ცთომილება მხოლოდ სოციოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების დროს?

2. პირველი თავის 1.2. ქვეთავის დასკვნ N3 (გვ. 34) ეწინააღმდეგება მე-13 გვერდზე მოტანილ სქემას, კერძოდ, დასკვნაში წერია, რომ „წამალთა რაციონალურ გამოყენებაზე მოქმედებს სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები“. სქემიდან კი ჩანს, რომ წამალთა გამოყენებაზე მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური, ფარმაცოლოგიური, ეპიდემიოლოგიური და ბიოფარმაცევტული ფაქტორები (გვ. 13). მე-12 გვერდის ბოლო აბზაცში წერია, რომ ბიოფარმაცევტული ფაქტორები დამატებით თქვენი შემოტანილია. გთხოვთ უფრო დაწვრილებით განგვიმარტოთ ამ სიახლის არსი.

3. სადაოდ მიგვაჩნია მტკიცება, რომ “ფარმაცევტებისათვის უფრო მეტად მისაღებია მართვის კოლექტიური ფორმა, რომელიც ემყარება მესაკუთრეს და აფთიაქში მომუშავე პერსონალს შორის არსებულ თანაბარ უფლებებზე”. თანაც სურ. 31-ზე, (გვ. 99), სადაც ნაჩვენებია მართვის ფორმები აფთიაქში, კოლექტიური ფორმა არ ჩანს, ხოლო იერარქიული მართვის ფორმა ორჯერ მეორდება - მარცხნივ 18%-ია, იქვე მარჯვნივ 9%-ით. არსებობს იერარქიული ანუ ხაზობრივი ანუ ვერტიკალური (ისევე როგორც ჰორიზონტოლი) ორგანიზაციული სტრუქტურები და არა მართვის ფორმები. გთხოვთ განგვიმარტოთ საბაზრო მართვის ფორმის სპეციფიკა აფთიაქისათვის.

4. დისერტაციის 81-ე გვერდზე წერია, რომ 2003 წელს ქ. თბილისში გაიხსნა 47 აფთიაქი, ხოლო 83-ე გვერდზე არსებულ ცხრილში 142 აფთიაქია მითითებული. რომელია სწორი?

ვთვლით, რომ დისერტაციის ავტორის მიერ განხორციელებულია ფართო, მრავალმხრივი კვლევა, რომელიც შეეხება

ფრიად აქტუალურ პრობლემას და გააჩნია როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული ღირებულება.

დისერტანტის მიერ მოწოდებული დასკვნები და რეკომენდაციები ეყრდნობა კვლევის მონაცემებს და დისერტაციის შინაარსიდან გამომდინარეობენ, სრულად პასუხობენ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს.

დისერტანტის მიერ გამოქვეყნებული შრომები და დისერტაციის ავტორეფერატი სრულყოფილად ასახავენ დისერტაციის შინაარსს და ძირითად დებულებებს.

მთლიანობაში ნათია კვიციანიძის სადისერტაციო ნაშრომი “სამკურნალო საშუალებების მიმოქცევების თავისებურებები საქართველოში“, წარმოადგენს მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევას ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციისა და ეკონომიკის დარგში. მიმაჩნია, რომ დისერტაცია პასუხობს უმაღლესი საატესტაციო კომისიის მოთხოვნებს, რომელიც წაეყენება ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომს და მისი ავტორი კი იმსახურებს სამიებელ ხარისხს.

ოფიციალური ოპონენტის დასკვნა ნესტან ნიკურაძის სადისერტაციო ნაშრომზე:

„ფარმაცეპტული ინფორმაცია და ფარმაცეპტული ზრუნვის კონცეპტუალური საფუძვლები“, რომელიც წარმოდგენილია ფარმაცეპტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობით წამალთა ტექნოლოგია და ფარმაცეპტული საქმის ორგანიზაცია 15.00.01.

ჯანდაცვის თანამედროვე სისტემის განვითარების აუცილებელი პირობაა ფარმაცეპტის ფუნქციებში ფუნდამენტალური ცვლილებები, როცა წამლის ბანალური რეალიზატორიდან ის თვითმკურნალობის სისტემაში შეუცვლელ რგოლად ყალიბდება. მედიკამენტური დახმარების აღმოჩენა (უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე სოციალური დახმარებისა) მოითხოვს ექიმისა და ფარმაცეპტის პირად კონტაქტებს, ერთის მხრივ და მომხმარებლის (პაციენტის) - მეორეს მხრივ. ამ დახმარების განხორციელება ხასიათდება პაციენტისადმი საექიმო-ფარმაცეპტული მიდგომის მაღალი ინდივიდუალობითა და არასტანდარტულობით.

სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის მოთხოვნათა შუქზე ტერმინი „ფარმაცეპტული ზრუნვა“ დამკვიდრდა როგორც ფარმაცეპტის პრაქტიკული საქმიანობის იდეოლოგია, რომელიც ავადმყოფსა და საზოგადოებას განიხილავს ფარმაცეპტული მომსახურების პირველად მომხმარებლებად და პაციენტზე უწყვეტი ზედამხედველობის პირობებში ფარმაკოთერაპიის ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე ორიენტირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისერტანტმა მიზნად დაისახა „ფარმაცეპტულ-ინფორმაციული მომსახურების მენეჯმენტში, საზოგადოებრივი აფთიაქებისათვის, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ რეკომენდებული, „ფარმაცეპტული ზრუნვის კონცეფციის“ ასპექტებისა და მეთოდოლოგიის ადაპტირება ქვეყნის ფარმა-

ცევტული მომსახურების სფეროში-მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის.

ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე, კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტის სახით 89 გვერდზე, მთლიანად სადისერტაციო მასალა კი მოიცავს 125 გვერდს და შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, საკუთარი გამოკვლევების, დასკვნებისა და დანართისაგან, ნაშრომი ილუსტრირებულია 12 ცხრილით, 19 ნახატიითა და 4 სქემით. ბიბლიოგრაფია მოიცავს 144 ლიტერატურულ წყაროს.

დისერტაცია შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც დაყოფილია შემდეგ ოთხ თავად:

თავი 1. ფარმაცევტული ინფორმაციისა და ფარმაცევტული ზრუნვის კონცეპტუალური საფუძვლები ფარმაცევტული მომსახურების მართლზომიერ პრაქტიკაში. ანტიბაქტერიული სულფანილამიდების გამოყენებაზე სამეცნიერო კვლევების ანალიზი.

თავი 2. კვლევის მასალა და მეთოდები

თავი 3. ფარმაცევტულ მომსახურებაში „ფარმაცევტული ზრუნვის“ ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიული მიდგომის კონცეფციები და მეცნიერული საფუძვლების შემუშავება.

თავი 4. „ფარმაცევტული ზრუნვის“ ორგანიზაციული განვითარებისა და განხორციელების სტრატეგია.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა ფარმაცევტული და სამედიცინო დაწესებულებები, საანგარიშო-სტატისტიკური მონაცემები, სამართლებრივ-ნორმატიული აქტები, ასევე ნომენკლატურული სტატისტიკა, ოფიციალური მასალები და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: სოციოლოგიური, ევალუაციური-რეტროსექტული დაკვირვების, მონიტორინგის, ეპი-

დემიოლოგიური კვლევის ობსერვაციული ანალიზის და მათემატიკური მოდელირების.

დისერტანტის მიერ ჩატარებულია ფარმაცევტული ინფორმაციის თეორიული და სამართლებრივი საფუძვლების, საერთაშორისო ორგანიზაციების (ჯანმო/ ფსფ) რეკომენდაციებს, „ფარმაცევტული ზრუნვის“ საერთაშორისო გამოცდილების სამეცნიერო-კვლევითი წყაროების ანალიზი და შემოტანილია ფარმაცევტული საქმიანობის ქართულ სინამდვილეში „პაციენტზე უწყვეტი ზრუნვის“ დეფინიცია და კონცეფციები როგორც პაციენტზე და თერაპიულ შედეგებზე ორიენტირებული, ფარმაკოთერაპიის ეფექტურობისა და უსაფრთხოების ფარმაცევტული პრაქტიკა.

დამუშავებულია „ფარმაცევტული ზრუნვის“ მაღალეფექტური პროექტის შესაძლებლობები შემდეგ მიმართულებებში: თვითმკურნალობასა და რაციონალურ ფარმაკოთერაპიაში, სამკურნალო საშუალებების (ანტიბაქტერიული სულფანილამიდების) ზოგადი ღირებულების ევოლუციაში, აფთიაქის მარკეტინგული საქმიანობის გაუმჯობესებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ფარმაცევტული ზრუნვის განვითარების დასავლეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებათა კონტენტ-ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულია ფარმაცევტული ზრუნვის მეთოდოლოგია სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის, ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით რეკომენდებულია საზოგადოებრივ აფთიაქებში დასანერგად პაციენტების ეფექტური ფარმაცევტულ-ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის.

შემუშავებულია ფარმაცევტული ზრუნვის პრაქტიკის რეალიზაციის მონაცემთა ბაზა და დამუშავებულია ზრუნვის ძირითადი ასპექტების დოკუმენტირებისა და პრაქტიკული გადაწყვეტის სქემები.

შედგენილია მეთოდური რეკომენდაციები „ფარმაცევტული ზრუნვის“ კონცეპტუალური საფუძვლები.

